



ს. 150  
ი. ა. ბ.

საქელოვანებო მეცნიერებათა პირგანი №3 (32), 2007

**Research in Art Sciences Nr3 (32), 2007**

769  
2007

შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს ენივერსიტეტი

**Shota Rustaveli Theatre and Film University**

შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს  
უნივერსიტეტი

Shota Rustaveli Theatre and Film  
University

სახელმწიფო მეცნიერებათა პირანი  
№3 (32), 2007

**RESEARCH IN ART SCIENCES**  
**№3(32), 2007**



გამომცემლობა „კენტავრი“  
თბილისი – 2007

**UDC(უაკ) 7(051.2)**  
**ს-364**

**შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს უნივერსიტეტი**

**სახელოვნებო მეცნიერებათა ბიუბანი №3 (32), 2007**

სარედაქციო საბჭო	კრებულისათვის მოწოდებული მასალა
გიორგი	უზრუნველყოფილი უნდა იყოს
ცეიტიშვილი	შესაბამისი სამეცნიერო პარატით. თან
ნინო მხედიძე	უნდა ახლდეს მონაცემები ავტორის
იური მღვარიშვილი	სამეცნიერო კვალიფიკაციის შესახებ
გამომცემლობის	ქართულ და ინგლისურ ენებზე, აგრეთვე
რედაქტორი	ნაშრომის ინგლისურენოვანი რეზიუმე.
<b>ლაშა ჩხარტიშვილი</b>	კრებულის სტამბური გამოცემა
გარეკანის დიზაინერი	ეგზავნება სხვადასხვა საერთაშორისო
ლევან დადიანი	კვლევით ცენტრებს.
დამკაბადონებელი	
<b>ლაშა ჩხარტიშვილი</b>	ნაშრომები მოგვაწოდეთ და
კორექტორი	ცნობებისათვის მოგვმართოთ:
მანანა გოგაძე	0102, თბილისი, დავით აღმაშენებლის
ოპერატორი	გამზირი №40, შოთა რუსთაველის
ნანა ესიტაშვილი	თეატრისა და კინოს უნივერსიტეტი,
	II კორპუსი.
	ტელ/ფაქსი: +995(32) 9 36 408
	E-Mail: kentavri@tafu.edu.ge
	Web: www.tafu.edu.ge

**თმატრაცოდნეობა**

ლაშა ჩხარტიშვილი „მუცე ლირის“ სცენური  
ინტერპრეტაციის პირველი ცდები ქართულ თეატრში ---- 8

**გუსიკათმცოდნეობა**

ნათია ღებაცისიძე ბიძინა კვერნაძის ოპერა  
„იყო მერვესა წელსა“ (ლიტერატურული პირველწყარო,  
ლიბრეტო, კომპოზიტორისეული ვერსია) ----- 22

**კინოაცოდნეობა**

დავით გუჯაბიძე ზელის ვიდეოკამერა –  
ტექნოლოგია თუ კინო-ენა? ----- 40

25/166

მაია ლევანიძე გამომსახველობითი სტრუქტურის  
თვისებურება XX საუკუნის 80-90 წლების  
ქართულ კინოში ----- 50

ოლიკო ქლენტი კინოკომიქსის უანრულ-სტილისტური  
თვისებურება და მასობრივი კულტურა ----- 60

თმა ჩაშაპაშვილი ფრანგული კინო  
მუნჯი პერიოდი (1895-1929) ----- 68

გიორგი ღვაძეაძე ნატო ვაჩნაძე ივანე პერესტიანის  
ფილმში „სამი სიცოცხლე“ ----- 74

**ხელოვნების ფილოსოფია**

ირა ღემიტრაძე „ნაციონალისტური ტრაგედია“ ---- 83

საქართველოს
პარლამენტის
მოწვევაში
გილორი

## ენდიოლოგია

ნანა ღოლიძე ქართული სატელევიზიო სივრცის თავისებურებები -----	93
---	----

## კულტურულობია

სულიკო (ლამარა) პირვალიძე ანტიკური საბერძნეთის კულტურა -----	100
---	-----

ბალრი ცხადაშვი ბგერითი სიმბოლიკის გზით წარმოქმნილი ზოგიერთი ქართული ეთნოქორეოგრაფიული ტერმინის ნაირსახეობისათვის (ფუნდრუკ, ხუნტრუც, ცუნდრუკ, ჯუნდრუკ და ბუნდრუკ სიტყვაფორმათა ლინგვისტურ-ეტიმოლოგიური ანალიზი) -----	109
---	-----

## შემოქმედებითი ფსიქოლოგია

მანანა მაჩაბელი ინფორმაცია განსჯისათვის -----	117
---	-----

რუსულან მირცხ ულავა გარდასახვის ფსიქოლოგიური შესაძლებლობის შესახებ (ფსიქოლოგიური როლიდან სცენიურ როლამდე) -----	128
---	-----

საავტორო მონაცემები -----	138
---------------------------	-----

## CONTENTS

### THEATRE STUDIES

- Lasha Chkhartishvili** "FOR KING LEAR" SCENE  
INTERPRETATION'S FIRST ATTEMPT ----- 143

### MUSIKSTUDIES

- Nathia Dekanoidze** The opera of B. Kvernadze  
(Story origins, libretto, musical score) ----- 144

### FILM STUDIES

- David Gujabidze** HAND CAMERA – TECHNOLOGY  
OR SPECIAL LANGUAGE OF CINEMA? ----- 146

- Maia Levanidze** CHARACTERISTICS OF EXPRESSION  
STRUCTURE IN GEORGIAN FILM OF 80S AND 90S. ----- 147

- Oliko Jgenti** "GENRE-STYLISTIC CHARACTERISTICS  
OF FILM COMICS AND MASS CULTURE" ----- 148

- Tea Kashakashvili** FRENCH CINEMA Mute period (1895-1929) ----- 149

- Giorgi Gvaladze** NATO VACHNADZE – IN "THREE LIVES"  
BY IVANE PERESTIAN ----- 150

### ART PHILOSOPHY

- Ira Demetradze** NATIONALISTIC TRAGEDY ----- 151

### MEDIA STUDIES

- Nana Dolidze** CHARACTERISTICS OF GEORGIAN  
TELEVISION REALM ----- 152

## **CULTURAL STUDIES**

**Suliko /Lamara/ Kirvalidze CULTURE OF ANCIENT GREECE ----- 153**


**Badri Tskhadadze CERTAIN GEORGIAN ETHNOGRAPHIC  
TERMS CREATED FROM SOUND SYMBOLISM ----- 153**

## **CREATIVE PSYCHOLOGY**

**Manana Machabeli INFORMATION FOR DISCUSSION ----- 154**

**Rusudan Mirtskhulava ON PSYCHOLOGICAL POSSIBILITIES OF TRANS-  
FORMATION (From psychological role to stage role) ----- 155**

# ତୋରମୁଦ୍ରାଗୀରିବା



„მეცნ ლირის“ სცენური ინტერპრეტაციის  
აირველი ცდები ქართულ თეატრზე

XIX საუკუნის II ნახევრიდან სამშობლოს უბრუნდებიან „თერგდალულები“, რომლებიც სათავეში უდგებიან ეროვნულ-გამათ-ავისუფლებულ მოძრაობას. საქართველოს დამოუკიდებლობის აღდ-გენა – ამ ისტორიული მისიის შესრულება იყო უპირველესი საზრუნვი ახალი თაობისა, რომლის ლიდერიც იღია ჭავჭავაძე გახლდათ.

XIX საუკუნის 60-იანი წლებიდან საქართველოში დიდი ცვ-ლილებები ხდება. იგი შეეხო სულიერი და მატერიალური ცხ-ოვრების ყველა სფეროს. „განახლების სიო დაპქროლა ყელგან, ახალი ნაკადი შეიჭრა ლიტერატურასა და ხელოვნებაში, ეკონომიკასა და პოლიტიკაში. გამძაფრდა ბრძოლა ძველსა და ახალს შორის. წარმოიქმნა ურთიერთობათა ახალი ნორმები. ამ დროს ყველაზე მნიშვნელოვანი იყო ის, რომ მაღლდება ეროვნული თვითშეგნება“. (1; გვ. 43)

1979 წელს იღია ჭავჭავაძის თაოსნობით და მთელი ქართუ-ლი საზოგადოებრიობის უშუალო ძალისხმევით შესაძლებელი გახ-და ქართული თეატრის აღდგენა, ჩამოყალიბდა „მუდმივი სცენა“. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ „გაჩნდა დიდი ტრიბუნა“, რომელსაც გამორ-ჩეული როლი უნდა შეესრულებინა ეროვნულ მოძრაობაში. მის მთავარ ფუნქციას შეადგენდა ქართული ენის დაცვა და განვითარება. ეროვნული თვითშეგნების ამაღლება, საგანმანათლებლო როლის შესრულება, ესთეტიკური აღზრდა“. (2; გვ.4) იღია შეეცადა, თე-ატრი გამოეყენებინა ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის რეპორტაჟ. სწორედ ეს გახდა მთელი არსი ქართული თეატრის არსებობისა. თითქმის ორი საუკუნე საქართველოს არსებობა უხდე-ბოდა რუსული სისტემის პირობებში, თვით ეს ფაქტი თავისებურად განსაზღვრავდა ქართული თეატრის ცხოვრების მიზანს. იგი ყვე-ლანაირად ცდილობდა შეენარჩუნებინა თავისი ნაციონალური მეობა, მეტად გამოხმაურებოდა ერის სიხარულს თუ მწუხარებას.

„ქართულმა თეატრმა პირნათლად შეასრულა ეროვნული მი-სია – ერისა და ხალხის სამსახურში ჩადგა. იღიამ კარგად

იცოდა, რომ სცენა არის ის აჯგილი, სადაც შესაძლებელია, სადაც გრიმების გამოაცოცხლებს, გონებას გამოაფხიხლებს“, (3; გვ. 22) მაგრამ იღიას კარგად ესმოდა ისიც, რომ ამ მიზნის მისაღწევად იაფეთასიანი კოდევილები და კომედიები აღარ გამოდგებოდა. ამიტომაც დღის წესრიგში დაგდა სარეპერტუარო პოლიტიკის შემუშავება, რომლითაც შესაძლებელი გახდებოდა „ახალ“ ისტორიულ პირობებში სასცენო ხელოვნების განვითარება ფართო განზოგადების, მასშტაბური ხასიათების შექმნის, მისი სოციალურ – ისტორიული და ზნეობრივი არსის სიღრმისეული გახსნის გზით“. (4; გვ.56) ამ მოთხოვნების შესაბამისი ეროვნული დრამატურგია ფაქტობრივად არ არსებოდდა, ამიტომაც მახვილი კეთდებოდა უცხოური „კლასიკური მემკვიდრეობიდან საუკეთესო ქმნილებათა ათვისებაზე, რაც ხელს შეუწყობდა თეატრს სრულფუასოვნად განეხორციელებინა თავისი ძირითადი იდეურ-აღმზრდელობითი ამოცანა – ქცეულიყო „ცხოვრების სარკედ“, „ზნეობის ჭეშმარიტ სკოლად“. (4; გვ.56) ამ მხრივ საუკეთესო საშუალება აღმოჩნდა შექსპირი, რადგან მასში ერთდროულად შეიძლებოდა ეროვნული იდეოლოგიის გატარებაც და ქართული სასცენო ხელოვნების ნაკლოვანი მხარეების გამოვლინებაც. „მუდმივი სცენის“ 4 წლიანი ისტორიის მანძილზე უკვე განხორციელებულია შექსპირის „ვენეციელი ვაჭარი“ და „პამლეტი“. ეროვნული ინტერესებისათვის ბრძოლის საშუალებათა რკალში შექსპირი თავიდანვე მოექცა. ამ მხრივ კიდევ ერთი წინ გადადგმული ნაბიჯი იყო 1883 წელს „მეფე ლირის“ სცენაზე გაცოცხლება.

თარგმანის დასრულების შემდეგ, ჯერ კიდევ „მუდმივი სცენის“ დარსებამდე, „მეფე ლირის“ დადგმის სურვილი გამოთქვეს მამია გურულმა, დავით ერისთავმა და ნინო ორბელიანმა, მაგრამ მათ სურვილს წინ აღუდგა იღია ჭავჭავაძე, რადგან თვლიდა, რომ ასეთი როული ნაწარმოების განხორციელებას განსაკუთრებული მომზადება სჭირდება. ამასთანავე, „მეფე ლირი“ უნდა გამხდარიყო აღდგენილი ქართული თეატრის პერსპექტივის განმსაზღვრელი. „ლირს“ მაქიმალურად უნდა გამოეკვეთა ახალბედა ქართველ არტისტთა შემოქმედებითი პოტენცია.

სწორედ ამიტომ 1879 წელს ქართული პროფესიული თეატრის აღდგენის პირველი დღიდან იღია ჭავჭავაძე იწყებს ფიქრს

„მეფე ლირის“ სცენურ ხორცშესხმაზე. მას არცერთი უცხოური ნაწარმოებისადმი არ გამოუჩენია ისეთი ცხოველი ინტერესი, როგორც „მეფე ლირისადმი“ (5; გვ. 224), როგორც ჩანს, იგი ყველაზე ძეტად ამ პიესაში ხედავდა იმ საყრდენებს, როთაც განმსჭვალული იყო ეროვნული მოძრაობის იდეური ხედვა. ამასთანავე, იღიას აზრით, ეს იყო ის პიესა, რომელიც შეეხმიანებოდა ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერთა მისწრაფებებსა და ოცნებადქცეულ სურვილებს, ერის თავისუფლებას. „მეფე ლირიც“ სწორედ ამ მტკიცნეულ საკითხებს ეხებოდა. შექსპირის XIX საუკუნის საქართველოსთან სიახლოვემ ათქმევინა „ივერიის“ ფურცლებზე იღიას: „შექსპირი ღვიძლი შვილია XIX საუკუნისო“.

იღია განსაკუთრებული პასუხისმგებლობით რომ უდგება აღნიშნულ საკითხს იქიდანაც ჩანს, რომ მან ამ პიესის პირველი სცენური ვერსიის შექმნისას საქმეში ჩართო საზოგადო მოღვაწეები: მ. გურიელი, მ. ბებუთაშვილი, დ. ყიფაინი, ივ. მაჩაბელი, აკ. წერეთელი და სხვები. იღია უშუალოდ ხელმძღვაველობდა „ლირის“ სცენაზე განხორციელების პროცესს; მასთან შეთანმების საფუძველზე წყდებოდა ნებისმიერი უმნიშვნელო დეტალიც კი. ცნობილია, რომ ლირის როლის განხორციელება იღია ჭავჭავაძემ დიმ. ყიფაინს შესთავაზა. თეატრისა და კინოს სახელმწიფო მუზეუმში დაცულია დიმ. ყიფაინის წერილი იღია ჭავჭავაძისადმი, რომლითაც ირკვევა ამ „პროექტის“ განუხორციელებლობის მიზეზები. დიმიტრი ყიფაინი იღიას სთხოვდა, ნება მიეცა თავად მას ეთარგმნა მხოლოდ ლირის როლი, რაზედაც ბუნებირვია, მთარგმნელებისაგან მტკიცე უარი მიიღო. ამის შემდეგ ლირის როლის პირველი შემსრულების შერჩევის მიზნით გამოცხადდა კონკურსი. კონკურსანტებს „მეფე ლირის“ III მოქმედების მე-3 სურათი – წყევლის სცენა – მხატვრულად უნდა წაეკითხათ.

იღიამ „ლირის“ შემსრულებელთა შესარჩევ კონკურსში მონაწილეობის მიღება შესთავაზა კოტე ყიფაინს, რადგანაც სწორედ გასში ხედავდა ლირის როლის საუკეთესო შემსრულებელს. ჯერ კიდევ ახალგაზრდა მსახიობზე იღია წერდა: „ყიფაინი საკმაოდ ღონიერი ნიჭია და ნიჭს გარდა დახელოვნებული არტისტიც არის... იშვიათია შემთხვევა, რომ მათ თავის სათამაშო ოდესმე გააფუჭოს რაც არ უნდა არ შეესაბამებოდეს“ (3; გვ.66), თავად კოტე

ყოფიანი კი ლირის როლზე დანიშნულის ისტორიას ასე იგორებს: „იღვიამ 1879 წლის გიორგობისთვეში დამიძარა თავის სახლში და მითხრა, რომ შენ უნდა იკისრო მეფე ლირის როლის შესწავლაო. შენ შეგნებული კაცი ხარ და მოამზადე როლი ისე, როგორც გესმის, ნურა კრიტიკოსის თხზულებას, ნურა რეცეზიას ლირზედ ნუ წაიკითხავ, თორემ აგერევა გზა და კვალი, თვითონ შენით უნდა შექმნა ლირის ხასიათი და მერწმუნე უკეთესად გამოგივა“ (6; გვ. 27). დიმიტრი ყიფიანმა კი შეიღს ურჩია „ააღე წიგნები გარს შემოიწყვე და რაც სადმე წერია როლის ხასიათზე, სხვა-დასხვა არტისტების შეხედულებაზე ყოველი რეცეზია და კრი-ტიკა გადაიკითხე, რომ შენ ივითონ შეგეძლოს შექმნა ლირის ხასიათი“ (7;). კოტე ყიფიანი გატაცებით შეუდგა ლირის როლის შესწავლას და კონკურსშიც მიიღო მონაწილეობა. კონკურსი, რომელიც იღიას სახლში ჩატარდა, ერთი დღე გაგრძელდა. ლი-რის როლის შემსრულების უფლება ბოლო კონკურსანტმა კ. ყი-ფიანმა მოიპოვა იმ ურის გადაწყვეტილების საფუძველზე, რომ-ლის შემადგენლობაშიც შედიოდნენ იღია ჭავჭავაძე, რაფიელ ერისთავი, ივ. მაჩაბელი, მიხეილ ბებუთაშვილი, ალ. პალბი (თბილი-სის რუსული თეატრის ხელმძღვანელის მამა).

თეატრმცოდნე ეთერ დავითაია მიჩნევს, რომ „კ. ყიფიანი სამეტყველო აპარატის ტექნიკით კი არ ხიბლავდა მსმენელებს, არამედ შინაგანი განცდით გადამოსცემდა გმირის სულიერ გაწყო-ბილებას“ (8; გვ.161), თავად მსახიობის თქმით, მისი გამარჯვება განაპირობა იმან, რომ „დავით ერისთავი კითხულობდა დიდი პა-თოსით, მამია გურული კი სიტყვების უცნაური ტკეპით და გაგრ-ძელებით. ორივეს აკლდა თეატრალური მიხერა-მოხვრა მეტადრე გურიელს, ასე რომ, გამოცდის დროს, რომელსაც ძალიან ბევრი დაესწრო იღიას სახლში, ერთ ხმად გამომაცხადეს მეფე ლირად“ (6; გვ.28). ეს იყო 1879 წლის დეკემბრის მიწურულს.

იმის ფონზე, თუ რა მცირე დროს ანდომებდნენ რეკისორ- ორგა-ნიზატორები აღდგენილი ქართული თეატრის პირველ პერიოდში სპექტაკლების დაგვას (ჩვეულებრივი მოვლენა იყო ახალი სპექტაკ-ლის მომზადება ერთი ან ორი კვირის შუალედში), „მეფე ლირზე“ მუშაობას ყველაზე მეტი დრო დასჭირდა. კონკურსის შედეგის გამოცხ-ადებიდან „ლირის“ პრემიერა ოთხი წლის შემდეგ გაიმართა.



Կոնծուլուս, Ռոմ ոլլու քաջքավածուս, օշանք մահածլուս և մանելով ծեցուտաժուլուս եղանակաշառակալու ան հայէթուուցուուս ծեմդեց օյնա Շարմուղցենուլու. (տշմցա արևեծոծ ք. պոյուանուս մոշառնեծապ „Ճազություտ հայէթուուցուու ծեցուտաժուլուս եղանակաշառակալու և 60 հայէթուուցուու ծեմդեց զուտամաժետ „Ընորո“, Բայենմա Շարմուղցենամ թշվենուցրած Բայարա, 1880-ին ու 1881-ին յարցած ալար մակեսուս, ու յու զուցու, Ռոմ չեր տծուլուսնու զուտամաժետ, ծեմդեց յիշտածուս և ծատութիւնու“ (9:). յարտաշը տշագրմուռնետա շմրաշ-լլուսունա (Յ. Կիյնածե, Յ. Մարշամե, Յ. Հազուտաս, Լ. Շահունաշա և Սեբածու) յարտաշը սպանաչե „մեջու լուրուս“ პորտալու և ճաջմանու տարուած մուսնեցւ 1883 վլուս 16 տեծերցալու. մատու մուսաթուրեա մուրուտաճած այսումնեծա Կրյսաս, Նաջապ մուտությունուա პրեմուրեանու (և Ռուգուու Շարմուղցենուն) յանկրյաթյունու տարուած. Կրյսաչե ճայրունուուտ որկայա, Ռոմ „Ընորո“ 1883 վլուս Նեթոննի սուլ սամչեր օյնա Շարմուղցենուլու 12,16 և 19 տեծերցալու.

յարտաշը օնքալուցուուցուա ճուռու օնքերցուուտ յլուռա „մեջու լուրուս“ սպանաչե. սաթուցալու գրացեւուս ճաջման առա մարտու յայլաթուրուլ պետական մոմենար մեծանունուան մուլլունած ալույսա, առամեծ - սաթուցալու օնքալու մուլլունածապ. ցանչետու „ճրուցա“ մուս յամուշյամդա ամ րուսու პոյսուս ճաջման յամու: „Յնախու Ռուցու հայունուս եցալ մեջու լուրու, Շեյսպուրուս յրու սմենուլուսու նահարմուեծուացանու. Յնախու եռմ առ յայաճուուրդա հայեն նոյնուրու արդուուտի պոյուանու, Ռոմ յետու մեղու պոյսա առիսա ծենցուուսուտուս և յետ մեղու Ռուլու Ռուցուուց լուրուուսա, մոյուրա եցուու“ (26:).

„մեջու լուրուս“ պրեմուրա ճայմութեա յարտաշը տշագրմու մուրունար հայուրումքեծ. տայած ու յայէթու, Ռոմ „Ընորո“ ան հայէթուուցուուս ծեմդեց օյնա Շարմուղցենուլու, Ռապ սամ տպաչե մեթու ճրուա, մույտուութեծ առա մեռլու օմաչե, Ռոմ Շեյսպուրուս ճաջման սուլուցե-նու ձասեսեսմցեծլուուտ յուրացեա յարտաշը տշագրու, առամեծ օմաչեպ, Ռոմ յարտաշը տշագրմու յուեն օյուուցեա հայուրությարուլու տշագրու և պ. մացուածուան մուշանուուս“ մետուու. մի ճրուուս տշագրուուս յրու-յրու յցուլաչե ճուռ ձրուելումած, Ռամապ „մեջու լուրմուց“ օհունա տայու, ոյս անսամբլուրուուս քրուելումա. „մուրունած մուրուրու ոյս յար-մու սկուլպտուրեծու, այլուալուրու օնդուուլուալուութմուս օնստությութու, Ռոմ սպանաչե եմուր ծեմտեզեյամու մտավարու յամուրուս յարդա տուումիւս

ყველაფერი იძირებოდა „საერთო პლანში“. ეს იყო რეჟისურის ყველაზე დიდი საზრუნავი“. ამ მხრივ, კ. ყიფიანი სამაგალითო რეჟისორად ასახელებს მ. ბებუაშვილს. მისი აზრით, მას დისციპლინაც ჰქონდა და მსახიობთანაც იციდა მუშაობა, თუმცა სპეციალის ცენტრში რომ იდგა კ. ყიფიანი, როგორც არტისტი კარგად ჩანს „დროებაში“ გამოქვეყნებული კორესპონდენციებიდანაც. მაგრამ „ლირზე“ მუშაობის დროს ძალზე აქტიურ მონაწილეობას იღებდა მ. ბებუაშვილი არა მხოლოდ როგორც სპეციალის ორგანიზატორი, არამედ რეჟისორ – ინტერპრეტატორი. იგი „მსახიობებთან ერთად ზედმიწევნით ამუშავებდა თვითონეულ სახეს, ყიფიანი ითვალისწინებდა რა მასზე დაკისრებული ამოცანის სირთულეს, გულმოდგინედ სწავლობდა ლირის ხასიათს“, (4; გვ.58).

წარმოდგენის მთლიანობაში დანახვა, ანსამბლის გრძნობა, სცენოგრაფიის როლის ამაღლება, პატარა როლის შესრულებისთვის დიდი მნიშვნელობის მინიჭება, „მსახიობთა ყურადღება“, „სიჩქმის მოსმენა“, „ურთიერთ შეთანხმება“ – ყველაფერი ეს რეჟისორულ გადაწყვეტაზე მიუთითებდა“ (2; გვ. 84). მაგრამ ყოველივე ეს მხოლოდ ჩანასახის სახით არ ებობდა. თეატრში ლიდერი მაინც მსახიობი იყო. ამას გულისხმობს მკვლევარი პ. ურუშავე, როცა წერს „ქართული სცენა იმხანად ჯერ კიდევ გზაგასაყარზე იდგა და გარკვეული რისკის წინაშეც იმყოფებოდა, რათა არ გაემორჩინა ბერი მისი თანამდროვე თეატრის სავალალო გამოცდილება. ამ არასახარბიელო პერსპექტივის ნიშნები კი იშვიათად როდი იჩნდა თავს სპეციალის უმწიფობასა, თუ გაუმართაობა-დაუხვეწაობაში. ამას ერთვოდა მსახიობის რეპერტუარის სირთულეც, რაც ყოველთვის არ იძლეოდა მსახიობის მიერ ერთხელ მიგნებულის დამუშავებისა და განმტკიცების საშუალებას, როლზე მუშაობის დროს შეძნილი სასცენო გამოცდილების გადამუშავების საშუალებას“ (4; გვ.57). ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე მ. ბებუაშვილის რეპერტიციები „იმ დროისათვის წინ გადადგმული ნაბიჯი იყო და ამავე დროს საინტერესო შედეგსაც აღწევდა.. ამას მოწმობს სპეციალის მხატვრული დონე“ (11; გვ.223), აქედან გამომდინარე, საინტერესოა, რა შედეგი მოჰყვა მ. ბებუაშვილის და კ. ყიფიანის ერთობლივ „ლირს“, რას უწენებდა მას კრიტიკა, რა საერთო და განმასხვავებელი ნიშნები ჰქონდა ყიფიანისეული ლირის სამ სცენურ ვერსიას

(1883-1899-1902 წ.-ն.), რա հոլով Շյակերուղա արհնօშնուղմա սկզբակլմա յարտուղա տշագրուս ցանցուարեծուս մոմքացնո շրապնչյ դա ռամջունաց ոյշոնա ցազլենա Շյէսկորուս Շյմջամո დագմեծուս ցաթշրեծանչյ. ամանչյ ձասեւես մոշոնեցեծսա դա օմքրունուղը პրեսամո ու մոզոմուցու. 1883 წլուս դագմուս პայծլուկացուցեծուս ցաբնունուսա ամբարա եցեա, ռոմ մուշեցազա դամջացնո շշացուս մոբաժնունցուսա, „մեռյ լուրմա“ ցեր ցամարտուա սանոցագունեծուս մոյցու արածա սկզբակլուս წարմացեա աւետո սանցմուցու մոմթացնուս Շյմջաց, տոտյուս սայշչու առ շնուր պոյուղուց, մոտ շմերյու, ռոմ ամ ճրուս յարտուղ տշագրուն սասկեցույս մալցուս ոյս տաշմուրուու - ք. պոյունո, ք. մեսես, զ. ամանու, մ. սայարուց, մաշրամ սկզբակլմա սայրու ալուարյեա մանց ցեր մուուուց. այս մացալուտագ, ցաթշու „ճրունեա“ նշերուա: „պոյունանմա տազուս ծենցունուտցուս դագա, „մեռյ լուրմա“, մաշրամ ցան ամուստանա դագման. ჩշեն մապուրեցելուն Շյցանցնեց դա տոտյմուս ամ սարամուս և րուղա դացազացնուց պայտա ուս դամսանցրյեա, րապ ჩշեն ճրամացնուղ դանս մոյշմցուս յարտուղու տշագրուս սայմեմո, և յուղուուրուս սօմբուն ոյցլու ադոնյու դա տցուունաց Շյրութցնեն - ցարդա տցուուն մուցեցունուս ք. պոյունուսա (լուրո), ք. մեսեսուս (եւմարա), մ. սայարուցուս (յորուցնու), ռոմելուտաց ուրունեն տազունու ռուղուս դա ցարուանա դացա օտամանյու. սեցեն օւետո սանարուղու սանահազո ոյցնեն և պենանչյե, ռոմ մապուրեցելուս և յուրուցու մուսքուու - եւթազո յրուու ուրութետ ցամապուրցան ցեսեն ցարուու. ցանու ամանու, ռոմելուց մացալուս մոմցումո շնուր ուցեց ուրուցու ուրուցու մուրունեն և յուղուուրուս սօմբուս, ռուցուց ցակացուունուս արմուրուն Շյցուրուն“. (12.)

ամջունաց, մուշեցազա մ. ծեծուտամցուու սարույնուրու մումանուս չշմունքնեցեցնու პրոցրուս ուղու տցուսեցուսա, սածուուրու Շյմջաց սակմառ մմումյ ալմոհնու. մանց րա յայշուուրյեմա ցանակունա, „մեռյ լուրուս“ մարութե և պենանչյ? պոյույրուու, մանմու տազու հինու պայտա մմ პրոցեցումա, րապ մ պերուունուս յարտուղ տշագրուն პյունու. յոմելուց ալանուս մսանունեցմա ցեր դամլույս Շյմոյմեցնուու ամունանու, մատ ցեր Շյմջաց Շյէյմնատ գրացույցնու դա ճրամացնուղ սանցեն. Շյէսկորուս ճրամեցուսատցուս սակուրու ոյս դուու գրմեշրամենցուս դա լուակաթոնուս մյունե կրացույցնուս մսանունեցմա, ռոմելուտ նայլունուս յարտուղ տշագրու մ պերուունու լույր ցանուցու - „ամ ճրուուտցուս աւետո ռուղու նախարմունուս դագմա յարտուղ տշագրուն նաաճրուց“

იყო, ახალგაზრდა მსახიობებისათვის (კ. ყიფანი ამ დროს 34 წლისა იყო, „ლირის“ განხორციელებისას მსახიობთა ასაკობრივი პრობლემა თავს იჩენს შემდეგი პერიოდების ქართულ თეატრში – ლ. ჩ.). ამ ტრაგედიის გმირთა ტეკირთი მეტის მეტად მძიმე უნდა ყოფილიყო და აკი ვერც აზიდე „ (8; გვ. 164). გარდა იმისა, რომ მსახიობებმა ასეთი სერიოზული მომზადების მიუხედავად (რაც პიესის ასი რეპეტიციით მომზადებაში გამოიხატა) ვერ დასძლიეს გმირთა ხასიათები და ტექსტი ვერ გაითავისეს, სპექტაკლის წარმატებას ხელს უშლიდა რეჟისორის მ. ბებუთაშვილის „რეჟისორული პარტიტურა“, რაც ძირითადად პიესის არასწორ მონტაჟში გამოვლინდა. (იგი ინახება თეატრის, მუსიკისა და კინოს სახელმწიფო მუზეუმში), სარეჟისორო ეგზემპლარში აღნიშნულია მთელი რიგი გამოტოვებული მნიშვნელოვანი ადგილები, რამაც დრამატურგიული ლოგიკა დაარღვია; გაპარული იყო ისეთი ლაფესუსები, რომლის მიხედვითაც გაურკვეველი რჩებოდა, თუ რატომ დათხარეს გლოსტერს თვალები, ან რა გზა გაიარა ედმუნდმა თავისი ბნელი ზრახების მისაღწევად, აღარ ჩანდა ბრმა გლოსტერის „თვალის ახელა“, აქედან ორკვევა, რომ ეწ. „გლოსტერის ხაზი“ სპექტაკლში მთლიანად იგნორირებული იყო. გარდა ცალკეული ეპიზოდებისა, შეკვეცილი იყო მონოლოგები. „ერთერთი მიზეზი იმისა, რომ სანიმუშოდ თარგმნილმა „მეფე ლირმა“ ვერ გაიმარჯვა ქართულ სცენაზე, სწორედ ეს კუპიურები უნდა იყოს – აღნიშნავს შექსპირის მკვლევარი ლ. გუგუნავა – დაუკავშირებელი და წყვეტილი ტექსტი ხშირად სრულ გაუგებობას იწვევს. ასეთი შემოკლების გამო არა მარტო სიუჟეტი მახინჯდება, არამედ პერსონაჟთა დახასიათებაც, რაც ბუნებრივია ხელს უშლიდა მსახიობთა წარმატებასაც“ (29; გვ. 157) ძალზე მკაცრი ჰუბლიკაცია გამოქვეყნდა ვაზეთში „მრომა“: „სამწუხაროდ, უნდა გავსტყვდეთ, რომ ჩვენი წინასიტყვაობა „ლირის“ სცენაზე დამარცხებაზე აღსრულდა. არაერთხელ გვითქვამს, რომ ჩვენი დრამატული დასი ჯერ კიდევ იმდენად უსუსურია, რომ მას არ შეუძლია იმისთანა დრამების წარმოდგენა – სადაც პიესაში ბევრი მოქმედი პირია და როლების შესწავლის გარდა, პიესას გაგებაც უნდა „მსახიობებმა არ იცოდნენ როლები, ყველაზე მეტად ეს ვასო აბაშიძეს ეტყობოდა, იგი კომიკოსია და ედგარის

Քրագոյշուղու հռովար տամաშու արց կը Շեղմլու դա մոշարու հռօղոր ու կուսրա.“ (13; ցը. 3)

Ես մտղանած սէպէլիքակլու մոմարտ կրութիւ կը Շեդարեծու յրու և սյուլուզանո ոյս սարպոյութ Շեյյանեամու, ք. պոյուանու տամաշու յիմացնուց գամուշինեն դա մատ մռորու, ոլուա քազքազամբ. „ք. պոյուանու լռոնյերու նոքու դա լաելունանեն պուլու արտիւ սրու հռոմ արու կարցագ հանձա լուրու հռովարու. մեղլագ Շեքալու յալս, հռոմ ք. պոյուանմա ցատուքու հռովար հաց ար սնձա ար Շեյյանամեծուցք. մաս այլու նոքու դա մուրուկունեա սեա կապագ ցարդայմնուսա“ (3. ցը. 66), տշմբա ման ք. պոյուաննե արայրու ցասատցալու վինեթելու Շենմանց ցամուշեա: „Ճշշրու շմլու ծագոն պոյուանու, հռոմ թոշչաւ ենա յմմու դա և ուժպատես ծոլում պուլապաւ. յրու նակլուզանեա կուլու այլու, հռոմել թշքաց մեշյրու մուսու յուրագունեա մուզոյւուրու: մեղլագ եմուրագ դա սաջուղու աջուղու ուրու ելու ելու մուսու յուրագունեա դա տուրեծու յուտազուղու մումրամու.“ (6; ցը. 95).

1899 Ելու զ. ցունուած Շեյյանա յարտուղու տշագրու մոյր ցալուու ցիս, սալաց Շեյյեն ք. պոյուանու, հռօղորու մասենունու, լուրսեցեծս դա նակլուզան մեարյեծս. մուսու անուու, „պոյուանու լուրսեցա հռովարու սատումզունու Շենիւալու դա Շեցնեա, մոմիւագունեա հռովարու. պոյուանուսացան Վարմուցանունու եսաւու յուզելուցու մտագետուու ենա անցենս մայուրեցելու ցի, յս նոմանու մուսու մերումուսա դա ծեշտու ծուսա“ (6; ցը. 95), տշմբա զ. ցունու ցուրդս ար սալու պոյուանու „սսաւ Եւրութուունու“ – „մուսու նակլու դրամագուլու հռովարու արու յրու ցարարագ ցագարյեա պատռուսունո աջուղունու, յրունաւու եմու անց-ճանաւ, ցանրու ելու յուզելու դրամագուլու հռովարու պոյուանու մոյր յրունաւու ունագունեա, տշմբա ցարյեցնուլու Շենելունեա դա եմա ելու սրբունու յուզելու հռովարուսուտցու, ցանսայուտրյեծու եանմու Շենու կապեծուսատցու“ (15; ցը. 56).

Անձագ Շեյյմնունու յարտուղու դրամագուլու դասուսատցու, հռոմելու ցանեծուշու պարագանեա ար ոյս մայուրեցելու սովորուլուու, յուտուու մծումը ոյնենուն մկացրու ցանահենու մուսմենա, մացրամ մուս սասաելուու սնձա ու յանցան, հռոմ դասմա դա ելումմելցանունու յուրագ ու յուրութիւ ու մկացրու եմա դա սէպէլիքակլու սերութուլու մուշկուն ելու. „մեջյ լուրու“ հյայրությանու դագուց դա մասնե մոշմանու ցանասաելա. Շեյյուցալու համար հռովարու հռովարու մեմսրուլունելու – յասո

ააშიძეს ლადო მესხიშვილი ჩაენაცვლა, მაკო საფაროვას ნუცა ჩეხიძე, პირველი ქართველი ტრაგიკოსი ქალი. „კოტე ყიფიანმა გული არ გაიტეხა და ხელი არ აიღო ამ დიდებულ როლზე. იგი გრძნობდა იმ შინაგან ძალას, რომელიც საკმარისი იყო როლის დასაძლევად ამიტომაც 16 წლის შემდეგ კვლავ იგივე როლით წარსდგა საზოგადოების წინაშე“ (8; გვ. 165). ამჯერად სპექტაკლს წარმატება ხვდა წილად, რაც რამდენიმე წლიანი ფიქრისა და შრომის შედევრად იქნა მიღწეული.

1899 წელს კ. ყიფიანის საბენეფიციოდ წარმოდგენილი „მეფე ლირი“, რომლის დამდგმელი რეჟისორები ამჯერად იყენებ: კ. ააშიძე და კ. მესხი (ლირი კ. ყიფიანი, კორდელია ა. კარგარეთელი, ხუმარა კ. მესხი, ედგარი ლ. მესხიშვილი, კენტი გ. არალელიშვილი, გლოსტერი კ. შალიკაშვილი) გაცილებით მეტი ღირსებით გამოიჩინდა ვიდრე წინა რედაქცია. თუ 1983 წელს წარმოდგენილ „ლირს“ როგორც ისტორიულ ფაქტს პქონდა მნიშვნელობა, ვიდრე მხატვრულ მოვლენას, 1899 წლის ახლებური ინტერპრეტაცია მხატვრული ღირსებით უფრო გამოიჩინდა. (წარმოდგენა გაიმართა 1899 წლის 7 იანვარს) ამ სპექტაკლში მონაწილეობის მისაღებად ქუთაისიდან სპეციალურად ჩამოვიდა ლ. მესხიშვილი, რომელმაც ედგარის როლი განასახიერა. ამით იგი გვერდში ამოუდგა კ. ყიფიანს, პრესაზე დაყრდნობით ირკვევა, რომ ამჯერად ქართული თეატრისაგან საზოგადოებამ მიღლო ის, რაც სურდა, მაგრამ მოლოდინი ნაკლები პქონდათ: „ჩვენ არ მოველოდით თუ ქართველნი მსახიობნი ამდენ ხელოვნურ შთაბეჭდილებას და ესოეტიკურ სიამოვნებას აღძრავდნენ მაყურებელთა შორის, როგორც ეს მოახდინეს კ. ყიფიანმა, ლ. მესხიშვილმა და კ. მესხმა, თავისი როლების კეთილსინდისიერი ასრულებით“, აღნიშხავს პრესა.

ამ დადგმით აშკარად გაისოჩნდა, რომ ქართული თეატრი ახალ საფეხურზე ავიდა და კიდევ უფრო ზევით მიისწრაფვოდა. დასში უკვე გამოჩენენ დახელოვნებული დრამატული არტისტები, რომელთაც შეეძლოთ შექსპირული გმირების ვნებებთან შებმა. სპექტაკლის დამდგმელები ცდილობდნენ ჩაწვდომოდნენ პიესის არსეს და მსახიობებისათვისაც ახლობელი, გასაგები გაეხადათ იგი. ძირითადი აქცენტი მოავარი გმირის – ლირის სულიერ ტრაგედიაზე იყო გადატანილი. როგორც „პატივაყრილ ხელმ-

წიფეზე, უბედურ მამაზე და შეურაცხყოფილ ადამიანზე“. კულტურული ყიფიანი ლირის ხატავდა შეურაცხყოფილ მოხუცად, რომლის ჭაღარა, წელთა სიმრავლე არ დაინდო კაცთა ცდუნებამ, ვერაგობამ“. მსახიობი, როგორც ჩანს ცდილობიდა ერთ ზომად გაეპიროვნებინა მეფეც, მამაც, ადამიანიც. გაზეთ „თემში“ უცნობი ავტორი წერდა: „ამ მეფის ცხოვრების კონტრაქსტი მისი უკიდურეს წერტილამდე მიყვანილი სულის ბრძოლა, მძიმე განსახორციელებელია სცენაზე, უნდა ვთქვა, რომ კ. ყიფიანი არცერთ როლში არ ყოფილა ასე ნამდვილი, ილუზიის გამომწვევი.“ (16;), თუმცა ეთერ დავითაია თვლიდა, რომ „კ. ყიფიანმა თავის ლირში ხაზი გაუსვა შექსპირის გმირის ხასიათის სამივე ძირითად მომენტს სამყლობელო დაკარგული მეფის, მშობლიური გრძნობაშელახული მამის და შეურაცხყოფილი მოხუცის განცდებს. კ. ყიფიანის ლირსება ის იყო, რომ იგი ეკუთვნოდა ლირის შემსრულებელთა იმ უმცირესობას, რომლებმაც სრულიად მართებულად შეძლეს თანამედროვე გმირში სამივე მომენტი გაერთიანებინათ“ (8; გვ. 165). ყველა რეცენზენტი აღიარებს, რომ კ. ყიფიანს გრიმიც და ტანსაცმელიც გმირისათვის შესაფერი ჰქონდა.

1902 წელს „მეფე ლირის“ დადგმა განსაკუთრებული სიახლითა და ახალი მიგნებებით არ გამოირჩეოდა წინა დადგმისაგან. თუ არ ჩავთვლით იმას, რომ პრესის ყურადღება პირველად მიიქცია კორდელის მხატვრულმა სახემ, რომელსაც მსახიობი ლეჟავა ასრულებდა. „ცნობის ფურცელი“ წერდა: „დასაწყისი მშვენიერი იყო კორდელისი. ახალგზარდა მსახიობმა მდიდარი გრძნობა და თანდაყოლილი მორცხვობა თავდაბლობა გამოამჟღავნა“ (17), რაც შეეხება თავად კ. ყიფიანს: „საუკეთესოდ შეასრულა ყიფიანმა ის ადგილი, რომელშიაც კორდელის სახლში მიყვანილი ლირი გონს მოდის და თავის ქალს ცნობილობს – აქ თამაშს ნამდვილად გრძნობა ეტყობოდა“ (17).

ილია ჭავჭავაძის მიზანი ქართული თეატრის სცენაზე ეხილა „ნამდვილი შექსპირი“, გვიან, მაგრამ მაინც აღსრულდა. შექსპირის დადგმებს ხომ სასიცოცხლო მნიშვნელობა ჰქონდა სასცენო ხელოვნების განვითარებაში, მან დადებთი როლი შეასრულა არა ერთი მსახიობის გამოვლენასა და ჭეშმარიტი სცენის ოსტატად ჩამოყალიბებაში. „პირველმა „შექსპირულმა ცდებმა“

ახალი შემოქმედებითი სივრცები გახსნეს თეატრის წინაშე, ახალი ამოცანები დაუსახეს მას, რომელთა გადაჭრა ქართველ მსახ-იობებისაგან მოითხოვდა შემოქმედებითი ძალისა და ენერგიის მაქსიმალურ ხარჯვას, მისი სიღრმისეული წვდომის უნარს.“ (4; გვ. 57) ამასთანავე კ. ყიფიანმა, ოდნავ მოგვიანებით კი ვგუნიამ შექმნეს შექსპირის პიესებისადმი მიდგომის, მისი გმირების სცე-ნური სიცოცხლის ერთგვარი ტრადიცია და თითქოს შექსპირი-სეული ხასიათების სცენაზე გაცოცხლების რეცეპტიც შე-მოგვთავაზეს. შემდგომი თაობები სწორედ მათ განვლილ შემო-ქმედებით გზაზე დაყრდნობით ქმნიდნენ თავიანთ ახალს, ეს კი სავსებით კანონზომიერი პროცესია.

XIX საუკუნის II ნახევრის და XX საუკუნის დასაწყისის ქართულ თეატრში, „მუფე ლირის“ რამდენიმე სცენური რედაქცია შეიქმნა. კ. ყიფიანი იყო პირველი, რომელმაც ლირი გააცოცხლა სცენაზე, ხოლო თითქმის სამი ათეული წლის ინტერვალით ლი-რის მხატვრულ სახეს ვალერიან გუნია შეეჭიდა. ასეთი წელთა სიშორე მეტყველებს პიესის აბსოლიტურ სირთულეზე, იგი თავიდანვე ერთგვარ საჯილდათ ქვად იქცა ქართულ თეატრში რეჟისორებისა და მსახიობებისათვის. ყიფიანისა და გუნიას ლირი იმ პერიოდის თეატრის ღვიძლი და ორგანული ნაწარმოებია, რომლებიც ნასაზრ-დოები იყო თავისი დროის იდეალით, შეხედულებებით, მსოფლმხედ-ველობით.


### გამოყენებული ლიტერატურა:

1. კ. კიკნაძე, ქართული რეჟისურის ისტორიის ნარკვევები, თბ, 1982.
2. კ. კიკნაძე, ეროვნული მოძრაობა და ქართული თეატრი, უკრნალი „ხელოვნება“, 1991, №4.
3. ილია ჭავჭავაძე თეატრის შესახებ (შემდგენელი ნ. გურაბან-იძე), თბ. 1955
4. კ. ურუშაძე, შექსპირი და აღდგენილი ქართული თეატრის

შემოქმედებითი ამოცანები, ჟურნალი „თეატრალური მომბეჭ“, 1986, №4

5. ლ. გუგუნავა, შექსპირი და XIX საუკუნის II ნახევრის ქართველი მოღვაწეები, „ქართული შექსპირიანა“, ტ3, თბ, 1972.
6. კ. ყიფიანი, მოგონებები, წერილები, თბ, 1964
7. კ. ყიფიანი, ჩემი არტისტული თავგადასავალი, ჟურნალი „ფასკუნჯი“ 1909, №14
8. ეთ. დავითაია, კოტე ყიფიანი, თბ, 1975.
9. გაზეთი „თემი“, 1912, №64
10. გაზეთი „დროება“, 1983, №33
11. ნ. არველაძე, სტანისლავსკის მეომდი და ქართული სცენის ოსტატთა მოსაზრებები „სარეპეტიციო პროცესებზე“ კრებულში „მეგობრობა“, თბ, 1979
12. გაზეთი „დროება“, 1883, №37, 19 თებერვალი
13. ლ. გუგუნავა, შექსპირი საქართველოში, „ქართული შექსპირიანა“, ტ. 2, თბ. 1964
14. გაზეთი „შრომა“, 1883, №8
15. ვ. გუნია, კრებული, თბ, 1983.
16. გაზეთი „თემი“ 1899, 9 იანვარი
17. გაზეთი „ცნობის ფურცელი“, 1902, №1728, 16 თებერვალი
18. П. Урушадзе, Шекспир и Грузинский театр, (очерки) Т. 1994.
19. საქართველოს თეატრის, მუსიკის, კინოს და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმის ფონდი: б -12082, საქ. 138,
20. საქართველოს თეატრის, მუსიკის, კინოს და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმის ფონდი: ფ. 1, საქმე 138, ბ. 20537/27, 20865/168
21. საქართველოს თეატრის, მუსიკის, კინოს და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმის ფონდი: ბ. 20537/24. 20865/171
22. საქართველოს თეატრის, მუსიკის, კინოს და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმის ფონდი: ბ. 20. 537/25. 20 865/155

# გენერატორები



**ბიძინა კვერნაძის ოპერა  
„იყო მერვესა წელსა“**

(ლიტერატურული პირველწყარო, ლიბრეტო,  
კომპოზიტორის ეული ვერსია)

ბიძინა კვერნაძის ოპერა „იყო მერვესა წელსა“ დაწერილია ქართული ლიტერატურული ძეგლის, იაკობ ცურტაველის მოთხოვნის „შუშანიკის წამების“ მიხედვით. ამ ოპერის რობერტ სტურუას მიერ შეთხზული ლიბრეტო ეფუძნება ლიტერატურული პირველწყაროს ორიგინალურ ტექსტს საოპერო ჟანრისათვის დამახასიათებელი ტექსტის შეკვეცით, გუნდის პარტიის დამატებით, რომლის ტექსტიც ასევე ლიტერატურული პირველწყაროდან არის აღებული. ამასთანვე, რობერტ სტურუა ლიბრეტოში ამატებს საკუთარ ფრაგმენტებსაც. თუმცა, უნდა ითქვას, რომ ოპერის ზოგად მასშტაბებში ლიბრეტისტის მიერ შეთხზული ფრაგმენტების წონა არცთუ ისე დიდია. ლიტერატურული პირველწყაროს ტექსტის ასეთი დამატებები უკვე თავისთვად გვაფიქრებინებს, რომ ოპერის ჩანაფიქრი ლიტერატურულ პირველწყაროსთან მიმართებით გააზრებული იყო, როგორც შეგებებული!

კომპოზიტორს ბიძინა კვერნაძის და ლიბრეტისტი რობერტ სტურუას შემხვედრი ჩანაფიქრი ლიტერატურული პირველწყაროს აზრობრივი აქცენტების შეცვლასთან არის დაკავშირებული. უფრო მეტიც, ოპერის დრამატურგიული ლოგიკა, მისი ჟანრული საწყისების არაერთგვაროვნება უკვე თავისთავად მოწმობს ოპერის ავტორთა ფარულ, მაგრამ სრულიად გააზრებულ პოლემიკას ლიტერატურული პირველწყაროს ავტორთან, იაკობ ცურტაველთან. კერძოდ, ეს არის მცდელობა, მთხოვნილის ხელშეუხებელ ავტორიტეტს დაუპირისპირონ საკუთარი თვალსაზრისი წარსულის მოვლენების, მათ გარშემო დამკიდრებული აზრის შესახებ. ყოველივე, რა თქმა უნდა, მიუთითებს თანამედროვე შემოქმედთა, არც თუ ისე, მცირე დოზით თავისუფალ აზროვნებაზე.

ლიბრეტისტი და კომპოზიტორი, ლიტერატურული პირველწყაროს მათეული ხედვით, თითქოს იჭრებიან ერთგვარ „ტაბუირებულ“

ტერიტორიაზე. ისინი მსმენცლს იზიდავენ დამოუკიდებლად ფიქრისაკენ, უბიძგებენ გამოიტანონ საკუთარი დასკვნები იმ ფაქტების, მოვლენების შესახებ, რომლებიც ასწლეულების განმავლობაში აღიქმებოდა აბსოლუტურ ჭეშმარიტებად.

ოპერის ავტორია ამგვარი თავისუფალი მიდგომა ამ შემთხვევაში არამც და არამც არ იღებს ეროვნული გმირის მოწამებრივობის უარყოფის მკრებელურ ფორმებს, ის ეჭვებეშ არ აყენებს რელიგიურ ფასეულობებს.

რობერტ სტურუასა და ბიძინა კვერნაძის ხედვა უკავშირდება XX საუკუნის ხელოვნების აქტუალურ შეკითხვებს: რა არის ჭეშმარიტება? აბსოლუტურია თუ არა ჩვენი წარმოდგენა სიკეთესა და ბოროტებაზე? ლიტერატურული პირველწყაროსადმი თანამედროვე ავტორთა დამოკიდებულება უკავშირდება აგრეთვე საკითხს, რომელმაც განსაკუთრებული გამოხმაურება პოვა საბჭოთა პერიოდის მიწურულს. ეს არის ავტორიტეტების ნდობის საკითხი; შეიძლება კი ვენდოთ საყოველთაო ნდობით აღჭურვილი პიროვნების, საეკლესიო მოღვაწის ან თუნდაც ნაბეჭდი სიტყვის ავტორიტეტს? არსებობს კი საერთოდ ობიექტური, რაიმე ინტერესისაგან თავისუფალი თვალსაზრისი? ოპერის კონცეფციისათვის ეს შეკითხვა არსებითია.

ამიტომაც ბედავენ თანამედროვე ავტორები ცურტაველთან პოლემიკას, ამკიდრებენ სულიერ ფასეულობათა საკუთარ სისტემას, ლიტერატურული პირველწყაროს რელიგიურ ორიენტირებს უპირისპირებენ ადამიანურ, მიწიერ, უფრო ბუნებრივ ფასეულობებს. ახლა იმაზე, თუ რა საშუალებით გვაეჭვებენ ლიბერტისტი და კომპოზიტორი მომხდარ მოვლენათა ჭეშმარიტ ბუნებრიობაში, როგორ მივყავართ იმის შენებისკენ, რომ ჭეშმარიტების მონოპოლია ცალკე არც ერთი ადამიანის საკუთრება არ არის, რომ ერთსა და იმავე მოვლენას სხვადასხვა კუთხით შეიძლება შევხედოთ.

თავისთავად, წარმოდგენა ჭეშმარიტებათა ფარდობითი დამოკიდებულების, თუნდაც, სიკეთისა და ბოროტების შეფარდებითობის შესახებ, მათი განუყოფლობა ნებისმიერი ხედვის დამკვირვებლის პოზიციისაგან, აბსოლუტურად თანამედროვე მოვლენაა. XX საუკუნემდე უკვე დამკიდრებული ხედვის ტიპისაგან თავისუფალ ხედვამდე მისვლა, რეალური ადამიანური ყოფის მრავალმხრივი განჭვრება, მუსიკალურ ხელოვნებაში, მხოლოდ

რამდენიმე შემოქმედის მონაპოვარია, მაგალითად მოცარტისა და ბებუანის.

ყველაზე ზოგადი პლანი, ამ ოპერის ორიგინალური კომპოზიციური და დრამატურგიული საფუძველი, უკვე გულისხმობს ამგვარ დასკვნას — ოპერის კონტექსტში ორი ურთიერთსაწინა-აღმდეგო თვალსაზრისის არსებობას.

ოპერის ჩანაფიქრის ორიგინალობა დაკავშირებულია იმასთანაც, რომ ერთი და იგივე ისტორია წარმოდგენილია ორმაგი რაკურსით – ეპიკურით და დრამატულით. ლიტერატურული პირველწყაროს ავტორის, იაკობის თვალთახედვით და ერთგვარი გარეგნული თვალთახედვით, სადაც თვით იაკობი ხდება უკვე დრამის მოქმედი პირი, მოვლენათა უბრალო მონაწილე.

თვალსაზრისთა ამგვარი დაპირისპირების საშუალებას უწინარესად იძლევა რობერტ სტურუას ლიბრეტო, რომლის დიდი ნაწილიც (პროლოგი და პირველი მოქმედება) ეფუძნება პირველ-წყაროს ორიგინალურ პროზაულ ტექსტს – იაკობ ცურტაველი მოგვითხრობს შუშანიკის წამების ისტორიას. ლიბრეტოში მთხრობლის – იაკობის, თვალსაზრისი ძირითადი, ღომინირებული და ობიექტურია. მისი მოთხრობის ცენტრშია შუშანიკის სულიერი გმირობა, ქრისტიანული სარწმუნოებისათვის თავგანწირული დედოფალი შეურიგდა ტანჯვას და სიკვდილს. იაკობის ვერსიის მიხედვით, შუშანიკის წამების ისტორია თითქოს, შავ-თეთრ ფერებში წარმოგვიდგება, საღაც არის უჟველი სიკეთე (შუშანიკი) და ამდენადვე აბსოლუტური ბოროტება (მისი მეუღლე, ვარსკენი).

ამ ოპერის პოლემიკური ქვეტექსტი იძენს ოპერა-გამოძიების თავისებურ ხასიათს, სადაც მნიშვნელოვანი ხდება ეთიკური მოტივი, კინ არის დამნაშავე? და ჭეშმარიტების ძიების იდეური კოლიზია. ოპერის მეორე მოქმედება შემთხვევით არ არის გააზრებული ლიბრეტისტის მიერ შეთხზულ სასამართლოს სცენად. ეს სცენა თავისებური „დროის სასამართლოა“, სადაც ერთმანეთს ხვდებიან მოვლენათა მოწმები, მთხრობელი, მთავარი მსჯავრდებული ვარსკენი და მისი მსხვერპლი შუშანიკი. რა თქმა უნდა, ეს სასამართლო გამოგონილია, არარეალურია, პირობითია. ის მიმდინარეობს არა მიწაზე, არამედ თითქოს მარადიულობის სივრცეში, აზროვნების მიერ ჭეშმარიტების საძიებელ იდეალურ სივრცეში. ხოლო ნამდვილი

და არასცენტრი მოსამართლის როლი ამ პროცესში მაყურებლისათვის არის განსაზღვრული.

პროლოგის ეპიკური პლანი ასოცირდება, როგორც ოპერის მთავარი კოლიზიის დროის გარეშე განზომილებასთან, ასევე დროის დისტანციასთან – წარსულთან. პირველი აქტის მოქმედებას აწმყოში წარმოადგენენ, პირველივე მოქმედებაში იხსნებიან პერსონაჟები, როგორც პიროვნებები, ინდივიდუალური სახეები. მათ თავიანთი აზრები და გრძნობები ჩვენამდე ძოქვთ უშუალოდ, „პირველ პირში“ და არა შუამავლის – მთხრობდნის, მემვეობით.

ამით ავტორები პერსონაჟების სახეს შიგნიდან ხსნიან, იმავდროულად მათ თავისებური კუთხითაც წარმოადგენენ. ეს კი არ ემთხვევა მთხრობლის – იაკობის, თვალსაზრისს, რომელიც ეპიკური თხრობისათვის დამასასიათებელი ობიექტურობით იყო წარმოდგენილი პროლოგში. თანამედროვე ავტორთა ეს ახლებური აღქმა საშუალებას გვაძლევს, შუანიკის და მისი მეუღლის, ვარსკენის, სახეები სხვადასხვანაირად გავიაზროთ. ხედვის ახალი რაკურსი გვაეჭვებს მთხრობდნის პირით გაცნობილი გმირის ობიექტურობაში და მიუკერძოებდობაში, მიგვანიშნებს ამ პერსონაჟის ქმედების წამაქტებელ მოტივებზე, გვიჩვენებს იაკობის ძალაუფლებას და გავლენას შუანიკის სულზე, შესაძლებლობაზე მართოს ადამიანის შეგნება.

ორგვარი თვალთახედვის კონფლიქტს – ე. წ. „ობიექტურს“, რომელიც პირველწყაროს ავტორიტეტს ეკუთვნის და „სუბიექტურს“, ავტორისეულს ამწვავებს თავისებური „ლირიკული გადახვევაც“ – ლიბრეტოში ჩართული ქართული ხალხური პოეზიის ნიმუში: „უნდა მოლხენით ცხოვრობდე, სისხლი არსადა გდიოდეს, ყველას კაუიკით ეგონო, შენ სანთელივით ღვიოდე. წუთია წუთის ქვეყანა, წუთის წუთობით იწვება, ზოგან ლხინსაა თამაშსა, ზოგან უცეცხლოდ იწვება.“ ეს ლექსი არაორაზროვნად წარმოაჩენს პერის ავტორთა პოზიციას – მათ წარმოდგენას ცხოვრებისეულ და სულიერ ფასეულობებზე, ადამიანის დანიშნულებაზე.<sup>2</sup> ამ ლირიკულ გადახვევაში განზოგადებული ფორმით იხსნება პერის ავტორთა მსოფლმხედველური პოზიცია, მათი სწრაფვა ცხოვრების მთელი სისავსით აღქმისათვის, რაც განსხვავდება მთხრობლის მიერ წარმოდგენილი ცხოვრების ასკეტური, „მავ-თეთრი“ წარმოდგენისაგან.

„მოწამეობრიობის“ იდეალს, ცხოვრების ფასეულობათაგან განდღომის იდეალს აქ უპირისპირდება „მოღხენითი ცხოვრების“, ადამიანური სავსე ცხოვრების იდეალი, ხოლო პირველწყაროს ტექსტის ავტორის, მთხოვთ მომავალის ავტორითებს უპირისპირდება ხალხური პოეზიის სიბრძნე, ანონიმური ხალხური მოქმედის ტექსტი.<sup>3</sup>

სტურუასეულ ლიბრეტოში ლიტერატურული პირველწყაროს გმირებს შორის, ყველაზე მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა ვარსკენის პერსონაჟება. იაკობ ცურტაველისთვის ეს ცალსახა პერსონაჟი ლიბრეტოში წარმოდგენილია, როგორც რთული, მრავალმხრივი პიროვნება. რობერტ სტურუას შეგნებულმა მცდელობამ წარმოაჩინოს ვარსკენის სახის ტრაგიკული წინაღმდევობრიობა, ლიტერატურულ პირველწყაროს დაუპირისპიროს შეგებებული აზრი ამ პერსონაჟის შესახებ, იგი მიიყვანა მისი პორტრეტის გაფართოებამდე. ზოგიერთ ფრაზას, რომელიც პირველწყაროში ვარსკენს ეკუთვნის, ლიბრეტოში სხვა გმირები წარმოოქმნავთ. მაგალითად, საღილობის სცენაში ფრაზას: „მოდით, სპარსულად ვილაპარაკოთ“ (რომელიც არღვევს სცენის სიმშვიდეს), მოჰყვება კონფლიქტის გამწვავება ვარსკენსა და შემანიქს შორის.

ლიტერატურულ პირველწყაროში ეს სიტყვები ვარსკენისაგან გვესძის, ხოლო ლიბრეტოში — მთხოვნდლისაგან, იაკობისაგან, რომელიც შეგნებულად უწყობს ხელს კონფლიქტის პროვოკირებას.

პერსონაჟთა მსგავსი ინვერსია ხდება მეორე მოქმედებაშიც. ასევე იცვლება მოქმედების აზრობრივი აქცენტები. კერძოდ, ვარსკენის სახესთან დაკავშირებული „ბოროტება“ არ წარმოგვიდგება ისეთი კონცენტრირებული ფორმით, როგორიც ეს ცურტაველის მოთხოვნისა.

სტურუას ლიბრეტოში ასევე თაგისებურ აზრობრივ ინვერ-  
სიას განიცდის უარყოფილი ქმრის მოტივი. ცურტაველთან აქ-  
ცენტრირებულია ვარსკენის ღალატი – იგი ცოლად ირთავს სპარსე-  
თის მეფის ასულს. სტურუასეულ ლიბრეტოში კი ამ ფაქტის  
შესახებ ჩვენ ვიგებთ მთხოობლისაგან – იაკობისაგან, ომელიც  
პროლოგში წარმოგვიდგენს შუშანიკის „ობიექტურ“ ვერ-  
სიას. თუმცა ძირითადად მთელი მოქმედების განმავლობაში (რაც  
კოლიზიას შიგნიდან ზსინის), დრამატული მოქმედების რეალობა-  
ში წარმოდგენილი არიან მხოლოდ შუშანიკი და ვარსკენი.

სპარსეთის მეფის ასული ნახსენებიც კი არ არის. უფრო მეტიც: ლიბრეტოში „ვარსექნის დაბრუნების“ სცენაში (პირველი მოქმედება) მის მიერ წარმოთქმული პირველი ფრაზა ასე უღერს: „ჩემი შუშანიკ“. ეს არის ლიბრეტისტის შემწეობით პირველ მოქმედებაში დამატებული მცირე რაოდენობის ფრაზათაგან ერთ-ერთი, სიყვარულის მკაფიო და ლაკონური აღიარება. ლიბრეტოსეული სიახლე სრულიად ეწინააღმდეგება ცურტაველის მიერ წარმოდგენილ შესაბამის ეპიზოდს, სადაც ვარსექნის გამოჩენა შედარებულია მგლის გამოჩენასთან.

შემდგომ მოვლენათა ლაიტმოტივია ვარსექნის თხოვნა და ბრძანება: „დამიბრუნეთ ჩემი ცოლი“. ეს ფრაზა პირველსა და მეორე მოქმედებაში სხვადასხეული სიტუაციაში მეორდება. უნდა ითქვას, რომ უარყოფილი შუშანიკი კი არ გამოდის, არამედ თუთ ვარსექნია ცოლის მიერ უარყოფილი. ეს მოტივი ხდება ერთ-ერთი ცენტრალური მოქმედების ფსიქოლოგიური ხაზის განვითარებაში.

ლიტერატურული პირველწეროდან გამოინარე, ლიბრეტოს წყვეტილ ხაზად გასდევს ოპერის ეთიკური პრობლემატიკა – ზნეობრივი არჩევნის მოტივი. სწორედ ამ ხაზის განვითარებამ მოითხოვა მეორე მოქმედებაში იაკობ ცურტაველის ორიგინალური ტექსტის შეცვლა, ლიბრეტოს ჩარჩოების გაფართოება, რობერტ სტურუას მიერ ტექსტის დამატება. მეორე მოქმედებაში, „სასა-მართლოს“ სცენაში, ვარსექნის ბოროტება განიხილება არა მარტო როგორც ფსიქოლოგიური რეალია, არამედ – როგორც ეთიკური პრობლემაც. სწორედ ამ სცენაზი ვარსექნის მიერ წარმოთქმულ სიტყვაში იხსნება მის წინაშე მდგარი ზნეობრივი ტრაგიზმი, მუსორგსკის ოპერის „ბორის გიდუნოვის“ მონათესავე კოლიზია – „ხალხი და ძალაუფლება“. ტეორე მოქმედების მეორე ნოველაში ვარსექნი „მსჯავრდებულის“ როლშია ისტორიული სასა-მართლოს წინაშე:

იაკობი: იმართლე თავი!

ვარსექნი: მეცოდებოდა შუშანიკი, მაგრამ საშმობლოზე ვფიქრობდი, საქართველოზე. პატივება აღარ შემეძლო სპარსეთი გადაგვწვავდა. ხალხს განა ესმის სიმძიმე მეფეთა ხევდრის? შუშანიკს დასტიროდნენ, მე კი, როგორც იუდას, მიცერდნენ.

მათხოვარი: და იცი, რა უთხრა შუშანიკმა?

ვარსკენი: მე ვიტყვი, მე თვითონ ვიტყვი – ხმლით დავერიე ხალხის ბრძოს. უგუნურია ხალხი, არ ესმით სიმძიმე მეფეთა ხვედრის.

ამ თავის მართლების სცენაშია, საბოლოოდ, გახსნილი ვარ-სქენის სახე. მეორე მოქმედების ბოლოს მოსმენილი ეს აღიარე-ბა იქცევა ოპერაში მის „ბოლო სიტყვად“. ვარსქენი ტოვებს სცენას, მაგრამ ოპერა ხომ ჯერ არ დამთავრებულა? „სასამართ-ლო“ გრძელდება — წინ კიდევ ერთი, მესამე ნოველაა. ვის გაასა-მართლებენ შემდგომ?

სასამართლოს სცენის კოლიზის წარმოდგენისას თანდათანობით იჩენს თავს სიმართლე – „არ არსებობენ დამნაშავები და უდანაშაულონი“, არ არსებობს აბსოლუტური სიკეთე და აბსოლუტური ბოროტება. ყოველივე ეს დამკიდებულია იმ ფასეულობათა სისტემაზე, რომლითაც ჩვენ განვსჯით ადამიანს და მის ნამოქმედარს. არსებობს რწმენისა და იდეალების ფასეულობათა კრიტერიუმი და „ჩვეულებრივი ადამიანის“ ფასეულობათა კრიტერიუმი, რომლებიც ყოველთვის ვერ ურიგდებიან ერთმანეთს. სწორედ მათ შეუთავსებლობასთან არის დაკავშირებული ოპერის დრამატული კონფლიქტის სიღრმე. ჩვენც ამ ფასეულობათა პოზიციის „სასწორზე ვწონით“ მოქმედ გმირთა საქმეებს, არაერთმნიშვნელოვნად აღვიძევათ ვარსკენის, შუშანიკის და, ბოლოს, იაკობის პერსონაჟის პიროვნებებს. ამ უკანასკნელის პიროვნება იმაღლება ხან „ობიექტური“ მთხოვობლის, ხან კი მოქმედი პირის – შუშანიკის, სულიერი მოძღვრის ან მოხეტიალე მსახიობის თუ მოსამართლის ნიღაბში. ამ მრავალნიღბიანი პერსონაჟის (ან, უფრო სწორად, „უსახო“ პერსონაჟის) პიროვნება ოპერის კონცეფციაში საკვანძო მნიშვნელობას იძენს.

მოკლედ, ცურტაველის მოთხრობაში ავტორი წარმოდგენილია არა მხოლოდ როგორც მთხოვბელი, არამედ როგორც ნაწარმოების მოქმედი პირიც. აქედან გამომდინარე, იგი ხშირად მონაწილეობს მოთხრობის დიალოგებში, რომელთა შორის განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს შუშანიკოვან გამართული დიალოგი. ეს მომზღვარის მოწმის დიალოგებია (ამიტომაც, ბუნებრივია, ვერ ვხვდებით ინტიმურ დიალოგებს შუშანიკსა და ვარსექნს შორის). და მაინც, უნდა ითქვას, რომ რობერტ სტურუას ლიბრეტოში შენარჩუნებულია

ცურტაველის მოთხოვნისათვის დამახასიათებელი დიალოგური ფორმა, რომელიც იძენს მნიშვნელოვან დრამატულ ქვეტექსტს. ეს დრამატული ქვეტექსტი იხსნება უშუალოდ მოქმედების დროს, როგორც დრამატული განზოგადება, ერთი მხრივ, შუმანიკისა და ვარსკენის გაუცხოებისა, მეორე მხრივ – იაკობის ფსიქოლოგიური ზეგავლენისა შუშანიკზე.

როგორც ითქვა, მთხოვნელი – იაკობი, თავის ვერსიას პროლოგში წარმოადგენს. ოპერაში იგი თავიდანვე გამოიკვეთება, როგორც რიტუალური ფიგურა, ამასთან არის ერთი „ნაციონალური იდეის“ და რწმენის პროტაგონისტიც, ყოველივე მიწიერზე ზემოთ მდგარი პიროვნებაც. უშუალოდ დრამატული მოქმედების პროცესში თანდათანობით მუღავნდება მისი სახის მეორე მხარე, ვიაზრებთ მისი გარეგნული პორტრეტისა და შინაგანი ბუნების დაუმოხვევლობას.

ლიბრეტოში იაკობის პარტიის ტექსტი თითქმის მთლიანად ემყარება ლიტერატურულ პირველწყაროს, თუმცა მისი „გადახალისება“ თავიდანვე განპირობებული იყო ლიბრეტისტის ჩანაფიქრით – ეს სახე უბრალო ადამიანის პოზიციიდან გაეზრებინა. პროლოგში, შუშანიკის ლოცვის სცენაში და „პასტორალში“, ჩვენ ამას ჯერ კიდევ ვერ ვგრძნობთ. ჯერ კიდევ ბოლომდე ვენდობით იაკობის მონათხოვნის, მის მიერ, აღწერილს აღვიქვამთ, როგორც ყველასთვის ცნობილ სინამდვილეს, ქედს ვიხრით შუშანიკის მსხვერპლად გაღებული ნაბიჯია წინაშე და განვსჯით ვარსკენს. უფრო მეტიც: ამ ტექსტის სტრუქტურა იწვევს პასიონის უანრის ასოსციაციას, კერძოდ, გვახსენებს ევანგელისტის მონათხოვნის ქრისტეს მოწამებრივი სიკვდილის შესახებ...

იაკობისა და შუშანიკის ღუეტში (პირველი მოქმედება) შუშანიკის იაკობზე ფსიქოლოგიურად დამოკიდებულების მოტივი ამ სცენის აზრობრივი დომინანტაა. მათი დიალოგი, რომელიც ლიტერატურული პირველწყაროს ორიგინალურ ტექსტს ეფუძნება, მხოლოდ გარეგნულად თუ მოგვავონებს „თანხმობის ღუეტს“. ამ თანხმობის უკან იმაღლება წინამდლოლისა და მისი მიმყოლის დამოკიდებულება, გააზრებული ფსიქოლოგიური სტრატეგია და შუშანიკის გრძნობებზე თამაში. ამგავრად, იაკობისა და შუშანიკის ღუეტი ერთ-ერთი საკვანძო მომენტის მნიშვნელობას იძენს, რომელიც

ფანტაგვს შუშანიკის მოწამებრივობის იაკობისეულ „ობიექტურ“ შთაბეჭდილებას. სწორედ დუეტში ჩვენ პირველად ვიაზრებთ, რომ ოჯახიდან მისი წასვლა, მოწამებრივობა მისი რელიგიოზურობის პირდაპირი შედეგი არ არის, რომ შუშანიკის ცხოვრებისეული არჩევანი არ იყო აბსოლუტურად თავისუფალი.

ოპერის თანამედროვე ავტორებისათვის მათეული თვალსაზრისის წარმოსადგენად აღსანიშნავი ხდება იაკობის ფრაზა: „მინდა აღვწერო საქმენი შენი“. მასზე შუშანიკის რეაქცია, რაც ამ შემთხვევაში ადასტურებს „შუშანიკის წამების“ „დაგვეგმილ აქციას“, შესაძლოა, პირველად მიგვანიშნებს ოპერის ჩანაფიქრის მნიშვნელოვან აზრზე: წმინდა შუშანიკი „დიდი თამაშის“ მსხვერპლია. „უბრალო ადამიანის“ პოზიციიდან აღიქმება შუშანიკის პროტესტი იაკობის განზრახვის წინააღმდეგ. ეს არის ერთადერთი შეწინააღმდეგება, საკუთარი ნების ერთადერთხელ გამოვლინება ამ დიალოგში. შუშანიკისთვის მის მიერ გაწეულ მსხვერპლს მხოლოდ პირადული მნიშვნელობა აქვს („ჭირნი ესე ჩემდა მარტო არიან ჭირნი“).

იაკობის განზრახვისა და შუშანიკის ნების დაუმთხვევლობაზე მეტყველებს „ტაქტიკური სვლა“ – შუშანიკისთვის შეთავაზება დაუბრუნდეს ქმარს. ამაზე მისი რეაქცია წმინდა ქალური და ემოციურია. იგი გულისხმობს პირადულ ქვეტექსტსაც – ამის გამოსაწვევად ვარსკენის სახელის მხოლოდ სხენებაც კი საკმარისია („უმჯობეს არს ჩემდა ხელთა მისგან ჩემი დაღუპვა, ვიდრე ჩემი და მისი შეკრება“) და ფარავს ღრმა ფსიქოლოგიურ მოტივს – შუშანიკის მზადყოფნას თავისი თავის მსხვერპლად გაღებისათვის, მის სიყვარულ-სიძულვილს ვარსკენის მიმართ. აღსანიშნავია, რომ თვით სიტყვა „სიკვდილი“ აქ პირველად ჩნდება ვარსკენთან კონტექსტში.

იაკობისა და შუშანიკის დუეტი საკვანძო მნიშვნელობას იძენს დრამის შემდგომ განვითარებაში. ამიერიდან ვარსკენთან კონფლიქტი გადმოტანილია უშუალოდ დრამატულ მოქმედებაში. იგი მაყურებელთა თვალწინ ახლანდელ დროში ვითარდება და არა მთხრობლის მეშვეობით გადმოიცემა. ამ დუეტის განვითარების პროცესში მუსიკა გვამცნობს შუშანიკის ფერისცვალებას – თბილი, გულითადი ადამიანის სახე გარდაიქმნება შეუვალად. ამგვარად, „მარცვალი ჩაგდებულია“. შემდგომ სცენებში აქედან ამოიზრდება შუშანიკის გრძელი

მონოლოგები, რომლებიც ამწვავებენ მის კონფლიქტს ვარსკენთან და ნათესავებთან.

იაკობის „მაპროვოცირებელი“ როლი ამ კონფლიქტში ყველაზე ნათლად ვლინდება სადილობის სცენაში, რომელიც ზემოთ უკვე იყო ნახსენები. ეს თითქოს სრულიად უდანაშაულო კონტექსტის გარეშე წარმოთქმული ფარაზა: „იქნებ, დღეს სპარსულად გველაპარაკა“, გამოიწვევს შუშანიკის წინააღმდეგობას და ვარსკენის გაცოთებას.

მეორე მოქმედების პირველ ნოველაში იაკობის სახე თითქოს გაორებულია. თანდათანობით ხელიდან უსხლტება ამ სახის ირგვლივ შექმნილ ხატებას. ამ სურათში იაკობი წარმოგვიდგება, როგორც მოსამართლე, რომელმაც თვითონ უნდა განსაჯოს მოქმედ გმირთა საქციელი. იმავდროულად, იგი არის შუშანიკის ცხოვრების ტრაგიკული ეპიზოდის თანამონაწილეც.

მეორე ნოველის ტექსტს საღუძვლად უდევს იაკობ ცურტაველის მოთხოვობის განსხვავებული ეპიზოდები, რომლებშიც კონცენტრირებულია ოპერის კონცეფციის რამდენიმე მნიშვნელოვანი მოტივი. შუშანიკის თხოვნა — არავის მოუყვეს მის ტანჯვათა შესახებ — იაკობში უცურვაქციას იწვევს. იაკობის მიერ შუშანიკის წამების საჯაროდ აღიარება, მისი წმინდანად გამოცხადება, მოკლედ, შუშანიკის ნების წინააღმდეგ წასვლა ხომ ღალატის ტოლფასია.

მეორე მოქმედების მესამე ნოველაში ერთგვარად შეფასდება შუშანიკისა და იაკობის ნამოქმედარი. ეს სცენა, რამდენიმე ფრაზის გამოკლებით, თითქმის მთლიანად ეკუთვნის რობერტ სტურუას.

მისი დრამატული ლოგიკა შეიცავს მოქმედების მოულოდნელ შემობრუნებას — მომხდარი ტრაგედიის ახალ მოწამეთა — შუშანიკის შეიღების, გამოჩენას. სასამართლის სცენაში ეს მოვლენა შემოიჭრება, როგორც მეაცრი რეალობის ფრაგმენტი.

ლიბრეტისტის მიერ ხელოვნურად შეთხზული მოწმეთა ჩევნების სიტუაცია გათვლილა ხალხის რეაქციაზე. იმის მიუხედავად, რომ ამ ფაქტებს თვით შუშანიკი უარყოფს, ხალხის შეგნებაში მტკიცდება წმინდა შუშანიკის კულტი. სწორედ ამ საყოველოა ქედმოხრის სცენაში მოქმედების განვითარებაში წარმოიქმნება დრამატული გარდატეხა, მაყურებელთა თვალწინი იხსნება შუშანიკის სახის მეორე მხარე. ამ მოვლენის მნიშ-



ვნელობა დაკავშირებულია ბავშვების გამოჩენისას შუშანიკის  
და იაკობის რეაქციასთან.

იაკობი: უსმინეთ, უსმინეთ წამებულ შუშანიკის!

გუნდი: უსმინეთ წამებულ შუშანიკის.

სამი ბავშვი (ვაჟები): დედა, დედა!

შუშანიკი: ვინ მეძახის? ვინ ხართ? მომიახლოვდით, მომიახლოვდი.

იაკობი: ქრისტიანები აღარ არიან შუშანიკ, ძალით მიაღებინეს მოგვობა.

შუშანიკი: ამიერიდან თქვენ ჩემი შვილები არა ხართ, დამავიწყდება თქვენი სახელი! აღარ მინდა თქვენი ნახვა, ჩემო შვილები! თქვენი დედა აღარ ვარ!

ბედი შუშანიკისა, ადამიანისა, რომელმაც უარყო ყველაფერი, რაც შეადგენს „უბრალო ადამიანის“ ცხოვრების არსს, გააზრებულია, როგორც პიროვნების ნამდვილი ტრაგედია, მის წინაშე მოწამებრივობის პათოსიც კი უკან იხევს, როგორც გმირის ტანჯვა და სიკვდილი. ამ ტრაგედიაში „დამნაშავეა“ მისი რეჟისორი, რომელიც მთხრობლის ნილბის ქვეშ იმაღება, სულიერი მოძღვარი, მოსამართლე ნაბიჯ-ნაბიჯ აჩენს თავის სახეს და სწორედ მისდამი არის მიმართული ოპერის ბოლოს გუნდის რეპლიკა: „იმართლე თავი!“

ლიბრეტოში მთავარი გმირის, შუშანიკის, სახის სხვა მხარეებიც არის გამოკვეთილი: გულახდილობა, სითბო, სულიერი სიბრძნე, სიცრუის შეუგუებლობა, ვარსკენისადმი მისი გრძნობების სიღრმე და ბოლოს, მთელი მისი არსების გამასხივოსნებელი სიყვარული ღვთისადმი. თუმცა შუშანიკის სახის ეს მხარეები მხოლოდ მუსიკაში იხსნება. ისინი საბოლოოდ „კოროზის“ გარეშე გამობრწყინდება, როგორც ადამიანის სულის მარადიული ფასეულობები, როგორც მისი სახის სიწმინდის დადასტურება (რაც საბოლოოდ ჩრდილავს შუშანიკის ცხოვრების „მუქ ლაქებს“), ამიტომაც ოპერის დასასრულსაც მთლიანობაში კათარზისის ეფექტი აქვს. ეს „განწმენდა“ მსმენელს უბრუნებს შუშანიკის შეუბღალავ სახეს. ის წარმოგვიდგება ყოველგვარი სიცრუისგან, მათ შორის, მთხრობლის ცრუმოწმეობისაგან განწმენდილი.

მხოლოდ მეორე მოქმედების, მეორე ნოველის ბოლოს ვარსკე-

ნის თავის მართლების ეპიზოდის შემდეგ, სადაც ის ლაპარაკობს მეფეთა ხევდოის სიმძიმეზე, იმაზე, რომ ის სამშობლოზე ფიქრობდა, როცა უღალატა წინაპართა რწმენას, სტურუასაგან გვესმის შუშანიკის ხმა: „როგორ მიყვარდი, ჩემთ ვარსექნ“.

ოპერის დასასრულისთვის ლიბრეტოში შუშანიკის სახე თითქოს ედრება „უბრალო ადამიანის“ მარადიულ ფასეულობებს, მაგრამ მისი უკანასკნელი სიტყვები მამართულია ვარსექნისადმი. მათში ისმის საყვედური, მაგრამ უფრო მნიშვნელოვანია ის, რომ შუშანიკი წუხს თავის მიწიერ ცხოვრებაზე.

მაგრამ ნუ დაგვავიწყდება, რომ ოპერას ჰყავს კიდევ ერთი და მთავარი ავტორი — კომპოზიტორი. მისი სიტყვა ამ პოლემიკაში ლიბრეტისტის ჩანაფიქრს მიჰყება. უფრო მეტიც: მუსიკის შემწეობით ოპერის პირველწყაროს ლაკონიური და რამდენადმე სქემატური საფუძველი ხორცს ისხამს, მუსიკის წყალობით ორი თვალსაზრისის დაპირისპირება აზრობრივი განზოგადების დონეზეა, მსოფლიმხედველური კოლიზის დონეზეც.

ლიბრეტოსთან სხვაობა ასევე ნათელია მთავარი გმირის ინტერეტაციისას. კომპოზიტორისათვის, მაგალითად, ყველაფრის მოუხედავად, შუშანიკი წმინდანად რჩება, მისი სახე მთლიანი, იდეალური და ამაღლებულია. კომპოზიტორისთვის მნიშვნელოვანია აჩვენოს არა მხოლოდ მისი სულის გარდასახვა, მისი მესოური იდეით შეცყრობა, არამედ შუშანიკის სულის, იაკობისგან დამოუკიდებლად, სისავსე. რელიგიური „იმიჯმენიკერების“ და ხალხური გადმომცემების მიერ ხელშეუხებელი მისი სახის ეს ინტროსპექტული მხარე მუსიკაში იხსნება, ხოლო ლიბრეტოში საკმაოდ ძუნწად და პირობითად არის მოხაზული. ოპერაში შუშანიკის სახესთან არის დაკავშირებული ორი ფართო სუნთქვის ლირიკული თემა, რომლებიც არაერთხელ მეორდება რემინისცენციის სახით. მთელი ოპერის განმავლობაში სხვა გამჭვილი თემების — ოპერის ლაიტმოტივების ფონზე, შუშანიკის თემები გამოირჩევიან თავიანთი ხანგრძლივობით, მთლიანობით, გამოთქმის ფორმასა და თემატური მასალის განვითარების სისავსით და ეს უკვე თავისთავად ნიშანდობლივია. ოპერაში მსხვილი პლანი უცვლებად ფოკუსირდება მთავარი გმირის გარშემო. აქ ხდება გმირის სახას მთლიანი, განზოგადებული გახსნა, მისი მთავარი თვისების, სიკეთის, წარმოჩენა. სიკეთეს კი მსმე-

ნელი მაინც თვალნათლივ აღიქვამს, იმის მიუხდავად, თუ რომელ პოზიციას ირჩევენ ავტორები.

შუშანიკის ორი თემა მისი სახის ორ მხარეს წარმოაჩენს – მიწიერსა და ზეციერს. ორივე თემის გამოჩენა ოპერაში, წმინდა მუსიკალური თვალსაზრისით, განსაკუთრებული მოვლენაა. მათთან არის დაკავშირებული სცენური მოდუსის შეცვლა, გარეგნული სცენური მოქმედების პლანიდან გადასვლა უფრო შინაგან, ინტრო-სკექტულ სივრცეში. პირველად სწორედ ამგვარად ჩნდება შუშანიკის მიწიერი სახის წარმომადგენელი თემა პროლოგში – იაკობის მოთხრობაში, რომლის მუსიკალური ლოგიკა ნარატიულია. მოთხრობლის მიერ ტექსტში წარმოდგენილი მოვლენები, ფაქტები, სახეები ისე მისდევენ ერთმანეთს, თითქოს იაკობი ახდენს მათ ილუსტრაციას მუსიკაში, განზოგადების მცდელობის გარეშე. პროლოგის ნარატიული ეპიზოდების რიგი, მასში განმაზოგადებული მომენტების შენიდვა, თხრობის ამგვარი გაშლა, განფენა მუსიკაშიც თავისთავად მოწოდებულია მისი ობიექტურობის ხაზგასასმელად.

ნარატიული ეპიზოდებისაგან შემდგარი პროლოგის კონტექსტში მხოლოდ შუშანიკის თემა გამოირჩევა შინაგანი მთლიანობით, ამომწურავი სისავსით და დასრულებულობით. პროლოგის ეპიზოდთა შორის ეს თემა წარმოადგენს ტექსტის სრულიად სხვაგვარ სინტაქსურ დონეს – სტროფის ფორმას, რომელიც მოიცავს თემის ექსპონირებას, მის ვარიანტულ განვითარებას და დასკვნას.

ამ მხრივ ის განსხვავებულია პროლოგის სხვა თემებისგან, რომელთა სინტაქსური სტრუქტურა შემოიფარგლება ფრაზის, მოტივის მასშტაბებით. პროლოგში ამ თემის სტატუსი მისი გადმოცემის ტიპის უჩვეულობასაც უკავშირდება – გაისმის, როგორც წმინდა ინსტრუმენტული საორკესტრო თემა. კომპოზიტორის მცდელობა ეს თემა წარმოადგინოს პროლოგის ნარატიული სტრუქტურის ფარგლებს გარეთ, როგორც ერთგვარი განცალკევებული, ჩაკეტილი სამყარო, უკავშირდება როგორც მის საორკესტრო უდერადობას, ასევე მკვეთრ ტონალურ ცვლილებას, რომელიც წინ უძღვის როგორც შუშანიკის თემის შესავალს, ასევე მის დაბრუნებას პროლოგის თხრობით ხაზთან. აქედან გამომდინარე, შუშანიკის თემა აღიქმება, როგორც ერთგვარი ლირიკული გადახვევა. ამ თემის საფუძველია ემოციურად გახსნილი, სავსე მელოდიური ნაკადი. მის მიწიერ

ხასიათს განაპირობებს დემოკრატიული, მასობრივი ზემოქმედების ძალის მქონე ჟანრის ინტონაციური ძირები, ზოგადლირიკული და „მაღალი“ საესტრადო ჟანრების, ინტონაციური ნაზავი. ამ მხრივ, შუშანიკის თემა, რომელიც განზოგადებული ლირიკის სფეროს მიეკუთვნება, როგორც გამოთქმის ფორმა – სტილის საშუალებით განზოგადება, მთელი ოპერის კონტექსტში ჩანს, როგორც განსაკუთრებული, გამორჩეული, მსჯავსი ტიპის ერთადერთი ნიმუში. ნიშანდობლივია, რომ პროლოგში ეს საორკესტრო თემა წინ უძლვის იაკობის ნაამბობს შუშანიკის შესახებ. განზოგადება უსწრებს მისი სახის წარმოდგენის ფაქტს და უდავოდ მომდინარეობს არა მთხობლისაგან, არამედ მოგვევლინება როგორც კომპოზიტორის ინიციატივის უდავო გამოვლინება, რაც, თავისთვად, ლიბრეტოში წინასწარ არ იყო გათვალისწინებული.

უფრო მეტად უჩვეულოა შუშანიკის მეორე, ასევე ფართოდ განვითარებული თემის გამოჩენა, რომელსაც შეიძლება ვუწოდოთ მისი სიწმინდის თემა. უჩვეულობას განაპირობებს იაკობის პროვოკაციულ წინადადებაზე (მოდით, სპარსულად ვიღაპარაკოთ) შუშანიკის რეაქციის კომპოზიტორისეული ინტერპრეტაცია. ლიბრეტოში ეს სცენა ნათლად გულისხმობს კონფლიქტს, შუშანიკის მოულოდნელ შეწინააღმდეგება. თუმცა სრულიად სხვაგარად არის გახსნილი ეს სცენა მუსიკაში. ამ სცენის გარდამტეხი მნიშვნელობა თავდაპირველად ორკესტრშია და იძნეს იმდენად არა ფსიქოლოგიურ, რამდენადაც განზოგადებულ ხასიათს.

სრულიად სხვაგარად არის გახსნილი ოპერაში შუშანიკის ქმართან დაპირისპირების სცენა. მუსიკაში ასახული შუშანიკის ემოციური მდგომარეობა, რომელიც ემთხვევა სიტყვებს: „ოდეს ყოფილ არს აქამომდე, თუმცა მამათა და დედათა ერთად ეჭამოთ პური?“ მოწმობს იმას, რომ ამ მომენტში დედოფალი იმყოფება ამა ქვეყნის კონფლიქტებისგან შორს. მისი სული მიმართულია ზეცისკენ და ამ სწრაფვაში ის უკვე თავისუფალია როგორც ვარსექნისგან, ისე იაკობისგან. ეს შუშანიკის პარტიაში ყველაზე წყნარი და ამაღლებული ეპიზოდია, ინტროსპექტიული ეპიზოდი, გარეგნული მოქმედებისგან სრულიად გამოიშული. მასში დრო თითქოს გაჩერებულია (ტემპი ლარგო), პარმონიულ ფუნქციათა სივრცე ფართოვდება, ფაქტურა უფრო მარტივდება,



თავისუფლდება თემატური ხაზის გრძნობითი, აფექტური გელლების მენტებისაგან. ამგვარ კონტექსტში მელოდია თითქოს მაღლდება, თავისუფლდება „მიწის მიზიდულობათა ძალთაგან“. იქმნება შთაბეჭდილება იმისა, რომ შუშანიკის სული თითქოს მარტო მოგზაურობს ამ რელიგიური გამონათების მომენტში, უბრალო მოკვდავთათვის უხილავ, ზეგრძნობიერ სამყაროში, სადაც ტკივილი და ტანკვა სადღაც უკან ჩჩება და ჩვენ მხოლოდ მის ეფემერულ ჩრდილებს აღვიქვავთ (მაგალითად, ტირილის ინტონაციური დაბოლოებები). მნიშვნელოვანია ამ თემის გამოჩენა ოპერის ტრაგიკული კულმინაციის, შუშანიკის მიერ შვილების უარყოფის სცენის შემდეგაც. ამ გამაზოგადებელ და აქცენტირებულ პოსტლუდიაში მოცემულია თავისებური ავტორისეული კომენტარი მომხდარზე, რომ ეს ფაქტი „ჩვეულებრივი ადამიანის“ პოზიციიდან სრულიად მიუღებელია.

იაკობის სიტყვები: „აღსრულება შუშანიკის ოდონბერსა თვესა ათჩვიდმეტსა“, საგაზეთო სტატიის ექსპრეს-შეტყობინების სტილშია. ლიბრეტოში ამგვარად მოყვანილი ეს სამწუხარო მოვლენა შეიძლებოდა აღვეჯვა, როგორც სატირული, მამხილებელი ტონი.

ეს საქმარისი იქნებოდა იაკობის საბოლოოდ მხილებისთვისაც. იაკობის სახის გახსნა ხომ ლიბრეტოსთვის უფრო მნიშვნელოვნად შეიძლება ჩაითვალოს, ვიდრე შუშანიკისა. მაგრამ მუსიკაში ამჯერადც არ არის არავითარი ირონია. შუშანიკის თემაც ამ მომენტში თითქოს შორდება იაკობს. მოწამის ნამდვილ სიწმინდესთან იაკობს არავითარი კავშირი არა აქვს. მისი დრამატურგიული მნიშვნელობა აქ არის კათარზისი, ტრაგედიის შემდგომ განწმენდა – ჩვენი სულების განწმენდა, უწინრესად კი – წმინდანის სახის განწმენდა მიწიერ ცოდვათაგან, მისი სახელის აყვანა ხელშეუხებელ სიმაღლეზე. ეს მაგალითები მოწმობენ ლიბრეტოს ინტერ-პრეტაციის კომპოზიტორისეულ თავისუფლებაზე, თუმცა, იმავდროულად შეიძლება ვილაპარაკოთ ლისრეტისტისა და კომპოზიტორის კონცეულიათა თანხვედრაზე ყველაზე მთავარ, პრინციპულ მომენტებთან დაკავშირებით. ასე ურთიერთშეთანხმებულად იწვევენ ისინი პოლემიკაში ცურტაველსაც.

ამგვარად, ოპერის ავტორთა მცდელობა ეჭვის თვალით შეხდონ იაკობ ცურტაველის მოთხრობა „შუშანიკის წამებაში“ აღწერილ


მოვლენებს, შეიძლება მოგვეჩვენოს უცნაურად, ზელოვნურად. „შემანიკის წამება“, ხომ ქრისტიანი წმინდანის იდეალიზებული „ბიოგრაფია“ და არა ისტორიული ქრონიკა. ცხადია, რომ ლიბრეტისტმა და კომპოზიტორმა სრულად გაიაზრეს ლიტერატურული პირველწყაროს ფანრული სპეციფიკა. გაზრებულია ასევე ხელოვნური მიზანდასახულობა – მოთხოვთ ავტორიტეტისადმი უნდობლობა. ამგვარი მიზანდასახულობა თამაშის ერთ-ერთი წესია, რომელიც ოპერის ავტორებმა მსმენელთან წამოიწყეს. ავტორიტეტისადმი, იაკობ ცურტაველისადმი უნდობლობა მოცემულ შემთხვევაში იძენს პირობით, განზოგადებულ, წმინდა სიმბოლურ ხასიათს, არ ღირს მისი აღქმა მთლად პირდაპირი მნიშვნელობით. იაკობის, მისი „ბეჭედდასმული“ სიტყვის ნაცვლად შეიძლებოდა ყოფილიყო სხვა მოწმე, სხვა ბეჭედითი თუ ხელნაწერი ტექსტი. სწორედ ისტორიული დისტანცია, მოთხოვთა „გარდასულ დღეთა“ შესახებ აძლევს საშუალებას, ოპერის ავტორებს ეთიკური და ფილოსოფიური კოლიზია გადაიყვანონ უფრო ამაღლებულ, განზოგადებულ, კონკრეტულ ასოციაციათაგან განყენებულ პლანში.

### შენიშვნები:

1. ტერმინი „შეგებებული ჩანაფიქრი“ გამოყენებულია ე. ა. რუჩიევსკაიას ტერმინის „შეგებებული რიტმის“ ანალოგით. ეს უკანასკნელი გვხვდება მის შრომებში, რომლებიც ეძღვნება სიტყვისა და მუსიკის ურთიერთდამოკიდებულებას.
2. თვით პოზიციის ცნება ხომ არა დროსა და სივრცეში, არამედ ფასეულობათა საკორდინაციო სისტემაში განსაზღვრული ადგილია – „დამკვირვებლის ობიექტია ადამიანის სულიერი სამყარო, გარემომცველ რეალობაში, თვით „ადამიანური ცხოვრება.“ კурышева Т.А., «Театральность и музыка», Москва, 1984, с. 191.
3. ამ შემთხვევაში განსხვავებული ტექსტის, ხალხური პოეზი-

ის ციტატის შემოტანა მხატვრული ხერხის „უცხო“ სიტყვის  
გამოყენების ტოლფასია, რომელსაც ბორის უსპენსკი ნარკვევში  
„პოეტიკის კომპოზიცია“ უშუალოდ უკავშირებს ავტორის თვალ-  
საზრისის გამოხატვას. ამ ნაშრომში წარმოდგენა ავტორის  
თვალთახედვის შესახებ ემთხვევა ბორის უსპენსკის წარმოდგე-  
ნას. უსპენსკი იკვლევს მხატვრული ნაწარმოების ავტორის არა  
პირადულ, არამედ პირობით, აბსტრაქტულ ავტორისეულ თვალ-  
საზრისს, არ სვამს ტოლობის ნიშანს ნაწარმოებში გამოკვეთილ  
ხედვის კუთხესა და მხატვრის მსოფლმხედველობას შორის,  
გულისხმობს არა „ავტორის მსოფლმხედველობის სისტემას“  
საერთოდ, არამედ რომელიმე კონკრეტულ ნაწარმოებში თხრო-  
ბის დროს გამოკვეთილ თვალსაზრისს. უსენსკი ბ. ა., «Поэтика  
композиции», Санкт-Петербург, 2000, с. 27.

# პიროვნეულობა



## ხელის ვიდეოკამერა – ტექნოლოგია თუ პირო-ენა?

ხელის ვიდეოკამერას ჩვენი დროის ტექნიკურ სიახლეს ნამდვილად ვერ უწოდებ. იგი 1980-იანი წლების ბოლოს საყოფაცხოვრებო ვიდეოტექნიკოლოგიის განვითარებამ საკმაოდ ფართოდ დაამკიდრა (ძირითადად – სამოყვარულო ვიდეო-არტში). ვიდეოტექნიკის მწარმოებელი სხვადასხვა ცნობილი ფირმა მოსახლეობას სთავაზობდნენ შედარებით შემცირებული წონისა და გაბარიტების ვიდეოკამერებს, რომლებსაც პრაქტიკულად იმავე ხარისხის ჩანაწერის გაკეთება შეეძლოთ, რაც სტაციონარულ საყოფაცხოვრებო ფორმატის კამერებს. როდესაც ვამბობთ „პრაქტიკულად“, ვგულისხმობთ იმას, რომ საოჯახო და სხვა არაკომერციული დანიშნულების პროდუქციის ხარისხი უმნიშვნელოდ დაბლდებოდა. თუმცა ეს ხარისხობრივი დანაკარგი ჩანაწერის პირველივე ასლის გაკეთებისას თვალშისაცემი ხდებოდა.

გამოსახულების ხარისხის დავარდნა დაკავშირებული იყო ხელის კამერებში მაგნიტური თავაკის დოლის დიამეტრის ორმაგ შემცირებასთან სტანდარტულთან შედარებით, რის გამოც საჭირო ხდებოდა თავაკის ბრუნვათა რიცხვის გაორმაგება და ამ ორად გაყოფილი ბრუნის გაერთიანება დამატებითი სისტემით, რაც გაღიანებული მასალის უპრობლემოდ აღწარმოების საშუალებას იძლეოდა VHS-ფორმატის სტანდარტულ ვიდეოპლეიერებში (სპეციალური ჩარჩო-აღაპტერის გამოყენებით).

ანალოგიური სისტემების დანერგვას შუალედური ხარისხის აპარატურაში S-VHS-ფორმატის („სუპერ VHS“) კამერებში მნიშვნელოვანი შედეგი არ მოჰყოლია, რადგან ეს კამერები სამაუწყებლო ხარისხის ვიდეოსიგნალს მაინც ვერ იძლეოდა.

რაც შეეხება ხელის ვიდეოკამერის უეცრად აღმოცენებულ ესთეტიკას, მან ტრადიციული კინოგამოსახულების ენაზე იქნია გავლენა და გაჩნდა ისეთი მოვლენა, როგორიცაა ლარს ფონ ტრიერის ფილმები და საერთოდ – „დოგმა“ – როგორც მიძინარება. დღეს უკვე შეიძლება თქვას, რომ „დოგმა“ საინტერესო

ექსპერიმენტად დარჩა, თუმცა, უდავოა, რომ კინოენა გაამდიდრა გარკვეული სიახლეებით.

ხელის კამერის ესთეტიკის განვითარებაში პრინციპულად ახალი ერა ციფრული ფორმატების დანერგვიდან დაიწყო. DV, DVCAAM, DVCPRO და სხვა ფორმატების ვიდეოკამერების სხვადასხვა მოდიფიკაცია ფართოდ იქნა სამოხმარებლო ბაზარზე წარმოდგენილი, მათ შორის – მცირეგაბარიტიანი, მაგრამ მაღალხარისხის გამოსახულების შექმნელი კამერები.

ამ სიახლის არსში გარკვევისათვის მცირეოდენი ტექნიკური ექსპურსი დაგვჭირდება.

ციფრულ ვიდეოგადამღებ კამერებში გამოსახულების შექმნის პრინციპი წინა პერიოდის კამერებისაგან ძირეულად განსხვავდება. ძველი (ე. წ. „ანალოგური“) სისტემის კამერების ჩამწერი ბლოკები იწერდნენ სიგნალს, რომელიც შუქმგრძნობიარე ელემენტზე (მატრიცაზე) ობიექტივის მიერ შექმნილი გამოსახულების აღბეჭდვისას აღიძვრებოდა. ანალოგიური სიგნალი შეიცავდა ინფორმაციას თითოეული წერტილის (ფერად გამოსახულებაში – სამფეროვანი ტრიადის) აღგზნების რაოდენობრივი დონის შესახებ (უხეში ანალოგით: „წითელი“ – 6, „მწვანე“ – 7, „ლურჯი“ – 5). ციფრულ კამერებში კი თითოეული ეს ციფრი შეცვლილია ორობითი კოდით (ანუ, ყველა ციფრი გამოისახება 0-ისა და 1-ის კომბინაციით), რომელშიც ციფრს „6“ შეესაბამება 110, „7“ – ს 111, ხოლო „5“ – ს – 101. განსხვავება ამით არ მთავრდება. ციფრულ კამერებში ხდება თვით სურათის დანაწევრება და იგი იყოფა მოძრავ და უძრავ ნაწილებად, ანუ, კადრების მიმდევრობის პირველი და მეორე კადრების შედარებისას ხდება კადრში უძნების დამახსოვრება კადრების მთელი მიმდევრობისათვის, ხოლო მოძრავ უბნებზე – მათი ცვლილების დინამური მახასიათებლის გათვლა და ამ ორი ტიპის ზონების ერთმანეთში ინტეგრირება. სხვაგვარად რომ ვთქვათ, „ანალოგური“ ვიდეოჩანაწერი – კინოფირის მსგავსად – ფოტოკადრების მიმდევრობა (1 წამში 50 ნახევარკადრი), ხოლო ციფრული ჩანაწერი – კადრის თითოეულ უბანზე სურათის შექმნელი წერტილების ცვლილების დინამიკის ციფრული კოდი. გარემოს აღქმის მსგავსი პრინციპი ბიოლოგიურ გარემოში გვხვდება, მაგალითად, ბაყაყის მიერ მხოლოდ მოძრავ საგნებზე (მწერებზე).

რეაგირების სახით (მოგეხსენებათ, თუ ბუზი არ გაინძრა, მაყაყი  
მას ვერ ხედავს). თვით ისეთი ძალალ ორგანიზებული სისტემა,  
როგორიცაა ადამიანის ტკინი, ყურადღების კონცენტრირებას უფრო  
იოლად აკეთებს უძრავ ფონზე მოძრავ საგანზე, ანდა მოძრავ  
საგნებს შორის უძრავ ობიექტზე. ამ პრინციპის გამოყენებით,  
ბუნებამ ტკინის რესურსი დაზოგა, რათა მისი ხედვა-აღქმის სისტემა  
გაეთავისუფლებინა გარემოს ყველა წვრილმანის ხშირი დამახ-  
სოვრების აუცილებლობისაგან. ციფრული ტექნოლოგიაც ამ  
პრინციპს „დაესესხა“ ბუნებას!“

ციფრული კამერების ვიდეოინიციორმაციის ნაკადის რაოდენობაში დაახლოვებით ასეთივე შემცირებაა ანალოგურსა და ციფრულ სისტემებს შორის. ამან შესაძლებელი გახადა კამერების ზომა-წონის შემცირება და ფუნქციონალური გამარტივება, ზოგიერთი თანამედროვე ვიდეოკამერა საერთოდ მექანიკური ნაწილის გარეშე მუშაობს – პირდაპირ დამახსოვრებელ ელემენტზე (“ჩიპი”) იწერს ინფორმაციას, რომელიც ციფრულ კამერებში, ჩვეულებრივ, ჯერ კასეტაზე იწერება, შემდეგ – აღმდგენი ვიდეომაგნიტოფონის (ფლერის) საშუალებით შედის კომპიუტერში დასამონტაჟებლად. მაგალითად, 30X40X1 მმ. ზომის 4 გიგაბაიტიანი ტევადობის დამმახსოვრებელი ელემენტი „SD“ კარდი იტევს DV ფორმატის ვიდეოკასეტის 20 წუთის შესაბამის სრულ აუდიოვიზუალურ ინფორმაციას. უკვე საცალო გაყიდვაში გამოვიდა 8 და 16-გიგაბაიტიანი დამმახსოვრებელი კადრები, რაც, სავარაუდოა, რომ მალე ვიდეოკასეტების მოხმარება რადიკალურად შეამცირებს.

ამასთანავე, მცირეგაბარიტიანი კამერებით მიღებული სამაუწყებლო ფორმატის აუდიოვიზუალური ჩანაწერი ხარისხობრივად არ ჩამოუვარდება და უპრობლემოდ მონტაჟდება სტაციონარული კამერებით (ან სხვა ფორმატებში) გადაღებულ მაღალხარისხოვან გამოსახულებასთან.

რაც შეეხება ხელის კამერების მხატვრულ შესაძლებლობებს, ისინი მართლაც, ამოუწურავია და ხარისხობრივი პროგრესის შედეგად, ახლებური ესთეტიკის ჩამოყალიბების მოწმენი ვხდებით.

ხელის კამერა ყოველთვის ითვლებოდა სპეციფიკურ  
ინსტრუმენტად. კინემატოგრაფის ეპოქას არაერთი გამორჩეული  
ნიმუში ახსოვს, როცა ხელის კამერით გადაღებული კადრები

მსოფლიო. კინოს კლასიკად იქცა და მრავალი მიმბაძველიც გამოუჩნდა. ხელის კამერის უდავო უპირატესობაა მისი გამოსახულების მიახლოვება ადამიანის თვალის აღქმასთან, იგი გაცილებით მობილურია, ვიდრე სტაციონარული კამერა, მას მეტი „სიცოცხლე“ და ემოცია შეიძლება მიეცეს გამოცდილი ოპერატორის ხელში.

1927 წელს გერმანელმა ოპერატორმა კარლ ფროინდმა 35-მილიმეტრიანი ხელის კამერით უნიკალური კადრები გადაიღო ვალტერ რუტმანის პოეტური ფილმისათვის „ბერლინი – დიდი ქალაქის სიმფონია“. ცნობილია, რომ ამ პორტატიულ კამერას იგი დაბალი წერტილებიდან პანორამებისა და გავლების გადასაღებად პროდუქტების ბადურაშიც კი ღებდა, რათა ფეხით მოსიარულეთა გადადგილების დინამიკა აღეჭვდა ფირზე „... მკაცრი, თითქმის დოკუმენტური ანგარიშია გერმანიის დედაქალაქის ერთი დღის შესახებ. ტექნოლოგიურობის ფეტიშირებამ, რაც დამახსასიათებელია „ახალი ობიექტურობისათვის“, მიიღო ვიზუალური რიტმის სახე, გამოიყენა კინოს უნივერსალურობა მასალით მანიპულირების თვალსაზრისით... რასაც რუტმანი უწოდებს „ცოცხალ მასალას“ და „აბსოლუტურ, სუფთა კინემატოგრაფიულ მოტივს“.<sup>2</sup>

სერგეი ურუსევსკის მიერ შექმნილი კინოვიზუალური სამყარო (განსაკუთრებით – ფილმებში, „მითონიავენ წეროები“, „მე – კუბა“) ხელის კამერის ესთეტიკაზე დგას. ხელის კამერით გადაღებისას სიტუაციას შეუძლია ყველაზე მოულოდნელი მოძრაობა და წინასწარ გაუთვლელი რაკურსიც კი შესთავაზოს ოპერატორს, რითაც მხატვრული სახე იქმნება და მდიდრდება, აქცენტირდება ესა თუ ის მნიშვნელოვანი დეტალი, რისი რეალიზებაც ხელის კამერის გარდა არანაირი სხვა საშუალებით არ შეიძლება. „თავისი არსით არამასშტაბურმა ისტორიამ ეკრანული სიღიადე შეიძინა – თითქოს გამადიდებელი შუშის მიღმა და უცნაურად ტრანსფორმირდა – ფართოკუთხიანი ოპტიკით ახლოდან დანახული. საწყალი პატარა ვერონიკა, რომელიც პიესაში ერთობ ჩვეულებრივი და სუსტი არსებაა, მაყურებლის ფსიქიკაში ჩაიჭედა თავისი გატანჯული თვალების სიშავით, განსაკუთრებულად ორიგინალური სახით და მნიშვნელოვანი, უჩვეულო გარეგნობით. ეკრანზე იგი ტატიანა სამოილოვამ განასახიერა“. აქვე უნდა ვთქვათ, რომ, თუ არა ხელის კამერა,



სამოილოვას მიერ შექმნილი სახის ემოციური მუხტის დღი ნაწილია, მაყურებლამდე კერ მიაღწევდა. ხელის კამერამ და ფართოკუუთხიანმა ოპტიკამ მარტო ახლოს კი არ მოიტანეს მსახიობის სახე, არამედ მას უდიდესი განზოგადება მიანიჭეს სწორედ მისი ინდივიდუალობის ხაზგასმით. „ძირძეველ მოსკოველსაც კი გაუჭირდებოდა ამოცნობა, თუ რა ადგილას იყო გადაღებული ის გამოგონილი ზევნიგოროდის ქუჩა, სადაც მოხალისეთა ფრონტზე გაცილება ხდება. მაგრამ ეს არცაა საჭირო: აქ მთავარია არა ესა თუ ის კონკრეტული გამწვევი პუნქტის გამოსახულება, არამედ იმის კონკრეტრიჩებული სახე – სახალხო უბედურების განზოგადებული მხატვრული სახე.“<sup>3</sup>

ფილმმა „მიფრინავენ წეროები“ 1957 წელს კანში ფესტივალზე „ოქროს პალმის რტო“ მიიღო. ამ წარმატებამ დიდი გავლენა იქონია ხელის კამერის ესთეტიკის კანვითარებაზე 1960-იან წლებში. მნიშვნელოვანია ლევან პაატაშვილის პრატეტიკული გამოცდილებაც – კერძოდ, ფილმზე „დღე უკანასკნელი – დღე პირველი“ მუშაობისას: „...გამიჩნდა იდეა, რომ ამეგო 13,5 მ სიმაღლის მრავალი სექციისაგან შემდგარი ლიფტი-ამწე. ამ სისტემის განთავსება შეიძლებოდა როგორც კიბის უჯრედებს შიგნით, ისე ნებისმიერ ღია სივრცეში. ამ ლიფტის მოედანზე ეტეოდა ერთი ოპერატორი, ისიც – მხოლოდ ხელის კამერით, რომლითაც შეეძლია მსახიობების კიბეზე მოძრაობის გამოდევნება. მსგავსი კონსტრუქცია ჩემამდე გამოიყენა სერგეი ურუსევსკიმ ფილმში „მიფრინავენ წეროები“ ვერონიკას ცნობილი არბენისათვის დაბომბილი სახლის კიბეზე.

ამ ფილმზე ხშირად ვიყენებდით ხელის კამერას ფართოკუუთხიანი ობიექტივებით (18 და 25 მმ.), რომლებიც ადრე არ გამომიყენებია. ამით საშუალება მომეცა, თავისუფლად გადამეღო მოძრაობით და იქმნებოდა არა ჩაკეტილი და სტატიკური (როგორც „სხვის შვილებში“), არამედ უფრო დინამიკური კინოპერსპექტივა პროპორციებისა და მასშტაბების ტრანსფორმაციით.

მოვიყვან ხელიდან პანორამის გადაღების მაგალითს: გმირების ერთი გარბენა გადაღებული იყო როთი უწყვეტი გრძელი პლანით. ხელის კამერა „ეგებება“ ქალ-ვაჟს, რომლებიც მორბიან მასზე ფუნიკულიორის ქვედა საღგურზე. შემდეგ ისინი აგრძელებენ რთულ მოძრაობას პანდუსზე საბაგირო გზის გონილობამდე და მასში შედიან. კამერა აგრძელებს მათ დევნას ბოლომდე; გონილოლა დაიძვრება

და თანდათან მაღლა ადის, გმირების ახლო ხედის ფონზე ქალაქის ხედი თანდათან გვშორდება. საბავირო გზის ვაგონში პატარა გენერატორი იდგა, რომელზეც ჩართული იყო 2 ცალი 500-ვატიანი პროექტორი („ბებიკი“) პორტრეტების განათებისათვის.

ხელის კამერა ერთადერთი საშუალება იყო ვიწრო ინტერიერებში და განსაკუთრებით – კიბის უჯრედებზე მუშაობისათვის. თავისუფლად მოძრავმა კამერამ საშუალება მოგვცა ფილმში უწყვეტი მოძრაობის ბუნებრივი და ორგანული პროცესი შეგვექმნა. კიბებს ფილმში განსაკუთრებული აზრი ენიჭებოდათ – კიბები არამარტო თითოეული სახლის, არამედ თვით ქალაქის სულის გამოხატულება იყო.

„მხატვრის სახელოსნოს“ დეკორაცია ნატურაზე ავაშენეთ – ქალაქის ძეგლი უბნის ამაღლებულ ნაწილზე. იგი სპეციალურად დაგეგმილი იქნა გადამღები აპარატურის მოედნით და იარუსებით გასანათებელი ხელსაწყობისათვის. ფილმის გმირების მხატვართან შეხვედრის სცენა გამოიჩინა პორტრეტული სახეების პლასტიკით და ნატურული ფონის მაქსიმალური გამოყენებით, რომელმაც მოქმედების ბუნებრიობის შეგრძნება მოგვცა...<sup>4</sup>

მიუხედავად უდავო მხატვრული პოტენციალისა, ხელის კამერა უმეტესად დოკუმენტური (გაუთამაშებელი) კინოს ინსტრუმენტია და ეს იმდენად ორგანული მომენტია, რომ გათამაშებულ ფილმებში დოკუმენტალურობის შესაქმნელად ხელის კამერით გადაღებას მიმართავენ. მაგალითად შეგვიძლია მოვიყვანოთ ნორმანდიაში ჯარების გადმოსხივის ეპიზოდი ფილმში „რიგითი რაიანის გადასარჩენად“ (რეჟ. სტივენ სპილბერგი), გახმაურებული სერიალი „დაკარგულები“ და სხვა. ხელის კამერითა გადაღებული უამრავი ქრონიკალური მასალა, განსაკუთრებით აღსანიშნავია საომარი ქრონიკა ფრონტის ხაზებიდან, სადაც ხელის კამერები შეუცვლელი იყო.

დღევანდელი დოკუმენტური კინო აღარ კმაყოფილდება მარტო ქრონიკალური მასალით, დოკუმენტურ ფილმში ხშირად ერთვება გათამაშებული კადრები, ინტერვიუ, კომპიუტერული გრაფიკა, ანიმაცია და ა. შ. ამგვარი უანრული შეზღუდვებისაგან „განთავისუფლებული“ დოკუმენტური კინო „განთავისუფლებულ“ კამერასაც მოიცავს. ეს თავისუფლება განსაკუთრებით მნიშვნელოვანი უბრალო აღამიანებთან დიალოგის ანდა მათზე დაკვირვებისას „კამერის უფექტის“ მოხსის თვალსაზრისით.



როგორც ცნობილია, ადამიანთა უმეტესობა კამერის წევა იბნევა, კარგავს უშუალობას და როგორც ბუნებრიობას, ხდება შებოჭილი. ეს იმითაა გამოწვეული, რომ ადამიანი გადაღებისას მასზე იარაღივით დამიზნებული კამერის საქმაოდ დიდი ობიექტივის წინ ცდილობს მობილიზებული იყოს და გამართულად იღაპარაკოს, ირთვება მისი „შინაგანი ცენტურაც“, ეს კი, როგორც წესი, უკაშედევს იძლევა.

ხელის კამერა ამ უხერხულობისგან პრაქტიკულად ათავისუფლებს ადამიანს. თანამდეროვე მაღალხარისხოვანი (3-მატრიციანი) ხელის ვიდეოკამერა იმდენად მცირე ზომისაა, რომ, ურთიერთობის მეორე-მესამე წუთიდან ინტერვიუერისათვის პრაქტიკულად შეუმჩნეველი ხდება მისი არსებობა. ფსიქოლოგიური მომენტის უპირატესობა განსაკუთრებით საგრძნობი ხდება არასტაციონარულ პირობებში ინტერვიუს ჩაწერისას, ან მცირე სივრცეში გადაღებისას. ჩემ მიერ გადაღებულ დოკუმენტურ ფილმში „რამდენიმე სურათი თეატრის ცხოვრებიდან, ანუ ინტერვიუ ჭოლასთან“ არის რამდენიმე კადრი, რომლებიც გადავიღე თეატრალური სარდაფის კულისებში. კულისები ამ სივრცეს ერთობ პირობითად შეიძლება ეწოდოს, რადგან მისი სიგანე 1 მეტრს არ აღემატება. ამ შეზღუდულ სივრცეში, თუ არა მცირებარიტული ხელის კამერით, არანაირი სხვა ტექნიკით გადაღება არ შედგებოდა – მსახიობების მუდმივი მოძრაობის გამო.

ამას გარდა, 2004-2007 წლებში რამდენიმე დოკუმენტურ და მხატვრულ ფილმზე ოპერატორად მუშაობისას არაერთხელ მომიხდა პროფესიული სტაციონარული კამერის ჩანაცვლება ხელის ვიდეოკამერით; მხატვრულ ფილმში „უსუი“ (რეჟისორი გ. კოკოჩაშვილი. საქართველოს ეროვნული კინოცენტრი, 2005) 3-მატრიციანი ხელის კამერით გადაღებული კადრები უმტკივნეულოდ ჩაჯდა ციფრული „ბეტაკამის“ კამერით გადაღებული მასალის გვერდით: დიდი გადიდების (კინოკრანზე პროექციის) შემთხვევაშიც კი არაპროფესიონალის თვალისათვის გამოსახულების ხარისხებს მორის განსხვავება შეუმჩნეველია.

განსაკუთრებით საყურადღებოდ მიმაჩნია ხელის კამერით მუშაობის პრაქტიკა დოკუმენტურ ფილმებზე: „თუ დაგივიწყო იერუშალამი“ და დიპტიქი პირობითი სათაურით „ქართველ

მამელუქთა კვალდაკვალ“ (რეჟისორი მ. კოკოჩაშვილი). ორივე ფილმის გადაღება ხდებოდა როგორც საქართველოში, ისე საზღვარგარეთ. ორივე ფილმზე ექსპერიციაში გვქონდა პროფესიული კამერები (ისრაელში DVCAM SONY-470, ეგვიპტეში – DV Canon XL-1), ორივე შემთხვევაში გადაღებაზე თან მქონდა ხელის კამერა ანასონიც (NV- MX500EN), რომელმაც ფასდაუღებელი სამსახური გაგვიწია სწორედ მისი კომპაქტურობის, მობილურობისა და გამოსახულების ხარისხის გამო. იყო-ისეთი შემთხვევა, როცა მუზეუმში (კერძოდ, ქაიროს ციტადელში) შედარებით გაბარიტული Canon XL-1 არ შეგვატანინეს, ხოლო კარაფას სასაფლაოზე დაკეტილი აკლდამის გისოსებს შორის მხოლოდ ხელის კამერა გაეტია და რამდენიმე კადრი გადავიღეთ იმ მიმართულებით, რომლის დანახვაც თვალით შეუძლებელი იყო.

თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს ხელის კამერების ტექნიკური არასრულყოფილება. მათი ობიექტივები, როგორც წესი, ხარისხობრივად ჩამოუკარდებიან სტაციონარული კამერებისას. ეს განსაკუთრებით ეხება ობიექტივის ხედვის კუთხეს: სტაციონარული კამერების მოდელების უმეტესობის ოპტიკას მნიშვნელოვნად ფართო ხედვის კუთხე აქვს; თუმცა, მეტ-ნაკლებად მაღალხარისხოვანი კამერებისათვის ფირმა-დამამზადებელი უშვებს ე.წ. კონვერტორებს და ოპტიკურ მისაღვმელებს, რომლებიც კამერის ობიექტივებს იოლად უცვლიან ხედვის კუთხეს და ფოკუსურ მანძილს. ამდენად, ლინზიანი მისაღვმელის წყალობით, კერძოდ ანასონიც NV- MX500EN-ის ხედვის კუთხე ორმაგად გაფართოვდა და ამან არამარტო კადრის ფოკუსური სიღრმე გაზარდა, არამედ ფურებს ერთგარი „პასტელური“ ელფერი დაუმატა, რითაც სამხრეთული კონტრასტული განათება ერთგვარად დააკომპენსირა და მიუახლოვა XIV-XIX საუკუნის მხატვრების აკვარელების ესთეტიკას, რომლებითაც მამელუქთა პერიოდის ეგვიპტის ეპოქაა ასახული.

მეორე ძირითადი ნაკლი, რაც ხელის კამერებს აქვთ – ეს მათი მცირე მასაა – ე. ი. ის, რაც პრინციპში – მათი უპირატესობაა. მასის სიმცირის გამო ისინი იოლად ირხევიან, რაც კადრის ყანყალად აისახება გამოსახულებაზე. განსაკუთრებით შემაწუხებელია ე.წ. „მეორე რიგის შეშუოთებები“, რომლებიც ეკრანზე „ჭუჭყად“ ჩანს და ფილმის ცქერისას თვალს ღლის.

აქ იგულისხმება რჩევები როგორც ოპერატორის მოძრაობისას (რყევა ნაბიჯების რიტმში), ისე ერთ ადგილას დგომისას – როცა კადრში იგრძნობა (ისმის) ოპერატორის სუნთქვა ან მისი გულისცემის რიტმი. ეს უკანასკნელი მოვლენა განსაკუთრებით ძლიერდება კადრის დიდი გადიდებისას, როცა საჭიროა შორ მანძილზე არსებულ ობიექტზე მიახლოვება და დაკვირვება. ასეთ დროს არამარტო ხელიდან გადაღებაა რთული, არამედ თვით შტატივებზე მდგარი კამერების გამოსახულებასაც კი „აჭუჭყიანებს“ შორიახლო ჩავლილი ავტომობილი ან ადამიანის ნაბიჯებიც კი (!).

ამიტომ ხელის კამერის უცილობელ უპირატესობად ექსტრემალურ პირობებში გადაღება რჩება. და აქ წარმატების აუცილებელი პირობად იქვევა ოპერატორის მხრივ მზადყოფნა, მისი მომზადებულობა და კამერის ფლობის სპეციფიკურ ილეთებში წინასწარი ვარჯიში. ექსტრემალურ პირობებში გადაღება „ერთი შესაძლებლობის“ გადაღებაა, აქ „მეორე დუბლი“ თუ დამატებითი გადაღება არ არსებობს. ამიტომ გადაღება ხდება ერთადერთხელ და ერთადერთი კადრით. ოპერატორისგან აქ მოითხოვება ხელის სიმტკიცე, მაჯის მოქნილობა, და რითების მაღალი მგრძნობარობა. ეს უკანასკნელი აუცილებელია ხელის კამერის კომპაქტურად განლაგებული ღილაკების ფორმისა და ზომების აღქმისათვის და მათი მანიპულირებისათვის გადაღების შეუწყვეტლად – როცა თვალი დაკავებულია კადრით. უნდა ითქვას, რომ ხელის (და არამარტო ხელის) კამერების სამართავი ღილაკების ზედაპირები, როგორც წესი – განსხვავებულია და კონკრეტულ აპარატზე გამოცდილებით გაწვრითნილი ხელი იოლად პოულობს საჭირო ღილაკებს. ამ თვალსაზრისით, ოპერატორის პროფესია მუსიკოს-შემსრულებლისას ჰგავს, რომელმაც იმისათვის, რომ ნაწარმოები შეასრულოს, თვალდაზუჭული უნდა ფლობდეს თავის ინსტრუმენტს.

დოკუმენტური კინოს მიმართ მზარდი ინტერესი იმის მანიშნებელია, რომ სულ უფრო და უფრო გაიზრდება დოკუმენტური კინოს რაოდენობა და უანრობრივი სპექტრი, ეს კი, თავის მხრივ, გამოიწვევს მოთხოვნილებას ხელია კამერით მაღალპროფესიულად და მზატვრულად გადაღებულ მასალაზეც. ამიტომ ოპერატორთა

სკოლებისა და უმაღლესი სასწავლებლების პროგრამებში აუცილებლად უნდა მიექცეს მეტი ყურადღება ზელის კამერით პრაქტიკულ გადაღებას, როგორც სრულფასოვანი ოპერატორის მომზადებისათვის აუცილებელ დისციპლინას.

### გამოყენებული ლიტერატურა:

1. ი. ვასილევსკი, „იმპერია DVD“, მოსკოვი, 1999, გამომც. „ლერუშა“, გვ. 34-37.
2. [www.filmreference.com/Films-Aw-Be/Berlin-Die-Sinfonie-der-Grossstadt.html](http://www.filmreference.com/Films-Aw-Be/Berlin-Die-Sinfonie-der-Grossstadt.html) - 19k.
3. საბჭოთა კინოს ისტორია (რუსულ ენაზე), ტ. 4, გვ. 42-43.
4. ლევან პაატაშვილი, „ნახევარი საუკუნე ლეონარდოს კედელთან“ (რუსულ ენაზე), მოსკოვი, 2006 წ., გვ. 43-44.

# გამოხსახველობითი სტრუქტურის თავისებურება XX საუკუნის 80-90 წლების ჩართულ პიროვნი

„კინო საუბრობს გამოსახულების ენით, გამოსახულება კი იქმნება სინათლით“, ... ნებისმიერი ცვლილება განათების სისტემაში ცვლის არა მხოლოდ თვით გამოსახულებას, არამედ სტილს, ფილმის საერთო ატმოსფეროს“! – წერს ვ. სტორარო.

XX საუკუნის 80-იანი წლების კინემატოგრაფიული გამოსახულება მკვეთრად განსხვავდება 90-იანი წლებისაგან. თუ 80-იანი წლები ასე თუ ისე აგრძელებს 60-70-იანი წლების ძიებებს და უფრო აკადემიური გამოსახულობითი რიგის შექმნისკენ მისწრავების, 90-იანი წლების გამოსახულება გამოიჩინევა ეკლექტურობით, ფერთა სიჭრელით და მასზე ახალი ტექნოლოგიების აქტიური ზემოქმედებით.

80-იანი წლების კინემატოგრაფული უპირატესობა ენიჭება თხრობით ფორმას, უარი ითქვა აქტიურ კამერაზე, რომელიც ხშირად ავტორისეული, ძირითადი, კონცეფციის მატარებელია. ერთ-ერთ ინტერვიუში ოპერატორი ვადიმ ნახაბცევი გამოყოფს 80-იან წლებში კინემატოგრაფში არსებულ რამდენიმე ტენდენციას: I – ახალი კინემატოგრაფი მისწრაფვის ასახოს არა მხოლოდ არსებული რეალობა, არამედ თანამედროვე ხელოვნება ტრანსფორმირდება, ინარჩუნებს რა რეალურ ჩარჩოებს, გვთავაზობს გააზრებულ მხატვრულ, ინდივიდუალურ ხედვას. კინო შეძლებისამებრ ერევა, იჭრება ბუნებაში, სინათლით, ფერით, ოპტიკით, მოქმედების ტემპით, რათა შექმნას ახალი მგრძნობელობითი სამყარო. II – ოპერატორი მაქსიმალურად ცდილობს, ასახოს საკუთარი დამოკიდებულება მიმდინარე პროცესებისადმი, კამერის მეშვეობით ვიღებთ „გულახდილ კინემატოგრაფს“. ეკრანი მაყურებელს სთავაზობს როგორც გმირის ემოციურ მდგომარეობას, ასევე გაჯამდები ჯგუფისას. რეჟისორის, ოპერატორის, მხატვრის აქტიურ პოზიციას. ამგვარად, როგორც ვსედავთ, 80-იან წლებში ოპერატორი შემოქმედებითად უფრო აქტიური ხდება. ის მეტ ყურადღებას უთმობს კოლორიტს, ფერს,

კომპოზიციურ წყობას, მოდელირებულ განათებას. ხელოვნური ფორმა განათების მიახლოებას ბუნებრივ წყაროებთან. 80-იან წლებში უკვე რთულია, აღმოვაჩინოთ კამერის ისეთი აქტიური „პოზიცია“, როგორიც თპერატორი დეკას კამერაა ფ. ტრიუფოს ფილმში „400 დარტყმა“, აგრეთვე თპერატორ ალ. რეხვაშვილის ემოციური მუხტით დამუხტებული კამერა გ. შენგელაის ფილმში „ალავერდობა“.

80-იან წლებში შეინიშნება ოპერატორების ინტერესი პავილინებში მუშაობისადმი. „პავილიონი ის იდეალური ადგილია, სადაც შესაძლებელია, სრულად შეიცვალოს ფორმა, სინათლე, ფერი“. „პავილიონებში მუშაობა მთლიანად ზომიერების გრძნობაზეა დამკიდებული, — აღნიშნავს ანთ ალიკანი და დასტენის: „ბუნებრივი სინათლე ფლობს შეუდარებელ სილამაზეს, მაგრამ მისი ცვალება-დობის გამო შეუძლებელია ფილმის ერთიანი შემაკავშირებელი საწყისის მოძებნა, ანუ აუცილებელია, მივმართოთ ხელოვნურ საშუალებებს. სწორედ ეს მომენტი ძალზედ მიმზიდველს ხდის საოპერატორო ხელოვნებას, ათავისუფლებს მას ბუნებრივი მოვლენების ზეგავლენისგან, საშუალებას იძლევა, მართოს ის“... „პავილინი იძლევა საშუალებას, შეიქმნას რეალური სამყარო ხელოვნური მეთოდებით“.<sup>2</sup> ამგვარად, პავილიონში მუშაობისას ოპერატორი ხვეწს განათების სისტემებს, სხვადასხვა თპტიკური ექსპრიმენტის წყალობით კი შესაძლებელი ხდება ერთიანი კოლორიტის შექმნა, ფერადოვანი — აზრობრივი ლაიტმოტივის აგება. 80-იანი წლების ამ ტენდენციას, რა თქმა უნდა, გაუჩნდა როგორც მოწინააღმდეგენი, ისე მომხრეები, რაც ცხარე პოლემიკის საფუძველი გახდა. „რეალიზმის“ მიმდევრები ცდილობდნენ, ნატურაში გადაღებული კადრები ყოფილიყო „პიპერეალისტური“. ამგვარად, 80-იან წლებში ფერი გახდა სტილის ერთ-ერთი შემაღენელი ელემენტი, კადრი — ფერწერული. ტექნიკის მძლავრმა განვითარებამ კი შესაძლებელი გახდა უკვე გადაღების პროცესში კადრის კომპოზიციის, ფერის გასწორება, დახვეწა, სიერცის პაეროვნების შექმნა, რაც კადრს აძლევს სამყაროსთან მთლიანობის შეგრძნებას და მას არ კმტავს სტატიკურად კონკრეტულ სიგრუობრივ გარემოში.

80-იანი წლების კინემატოგრაფში, აღნიშნული რამოდენიმე ლოკალური მიმართულების არსებობის მიუხედავად, არ აღნიშნებოდა ფორმათა მრავალფეროვნება. მაგალითად, ამ პერიოდის ეკროპულ

კინოში დასაბამი მიეცა ისეთ მიმდინარეობას, როგორიცაა „ლორწყველების“ (ხედვა), რომლის ლოზუნგიც იყო „გამოსახულება – გამოსახულებებისთვის“. უპირატესობა მიენიჭა გამოსახულების რაობას, მონოქრონულობას, გამიყენებოდა მკვეთრი ლოკალური ტონები, პავილიონის ესთეტიკა, რთული განათების სისტემები, ფორმალისტური ძიებები, მეტაფორულობა, სტილისტული გამოსახულება. ამ მიმართულების თვალსაჩინო წარმომადგენელი გახლდათ უანუან ბენექსი. მსგავსი მცირე მიმართულებები არ ქმნიდნენ დიდ სკოლას. ისინი უფრო ლოკალური ხასიათის გახლდათ, მცირე დროის მონაკვეთში იძალებოდნენ, კითარდებოდნენ, ქვრებოდნენ ისევე, როგორც „ჰიპერრეალიზმი“, რომელიც პოპ-არტის საფუძველზე ჩამოყალიბდა, იგი იზიარებდა ფერწერაში „ჰიპერრეალიზმის“, „ანუ ფოტორეალიზმის, პრიციპებს. რეალობის „ფოტოგრაფიული იმიტირება“ წარმოქმნიდა ამ მიმართულების სპეციფიკას, რაც მკეთრად აისახა ვიზ ვენდერსის შემოქმედებაში. თხრობის მდორე რიტმი, მკვეთრი, კონტრასტული, შავ-თეთრი, მონოქრონული გამოსახულება განსაკუთრებულ ესთეტიკურ ნიშანს ქმნიდა. პაგრამ ეს მიმართულებები უკვე არსებული ესთეტიკური კატეგორიების, ფორმის, სტილის გამაგრძელებლად შესაძლოა მივიჩნიოთ, რადგან ძირითადად ახალი სტილისტური ელემენტების შეტანით მათ გავრცობას, დახვეწას ცდილობენ. 80-იან წლებში არსებული პატარა მიმართულებები ერთგვარად შთანთქა უფრო ფართო მიმართულებამ, როგორიცაა „პოსტმოდერნიზმი“. 70-ინი წლებიდან დასავლურ კინოში და საერთოდ ხელოვნებაში აღმოცენებული ეს მიმართულება 80-იან წლებში უფრო ფართოვდება, პოპულარული ხდება საბჭოთა კავშირშიც. მისი არაკანონიკური განუსაზღვრული ფორმები უფრო და უფრო იპყრობს კინემატოგრაფს. „ახალ იარბაროსებს“ შეეძლოთ, „აპოკალიფისის“ შემდგომ კინემატოგრაფში, გამოეხატათ თავისუფალი, ზოგჯერ მკეთრი, „ხელიგნური“ დამოკიდებულება ფორმის, სტილის, უანრისადმი. „პოსტმოდერნიზმი“ მოიაზრება არა როგორც კონკრეტული მიმართულება, არამედ როგორც საერთო სიტუაცია კულტურაში, ფილოსოფიაში. იქმნება ატმოსფერო, რომელიც კიჩის აქცევს ხელოვნებად და პირიქით. მიმდინარე პროცესზე, კერძოდ კი 80-90-იანი წლების გამოსახულებაზე, მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს ტელევიზიისა და ახალი ტექნოლოგიების განვითარების

პროცესიც. თვით ტელევიზია უპირატესობას ანიჭებს გამოცემას ულების – მოზაიკურ აკინძვას, ეკლექტიურობას. ფაქტების საერთო ჯამით იკვეთება ერთიანი იდეა, იდეოლოგია, არსი. თვით ტელეეკრანებთან ურთიერთობისას კი მაყურებელი აყალიბებს საკუთარ გამოცემას ულებით რიგს, სხვადასხვა არხზე „გადარბენით,“ ანუ მოზაიკური გამოცემას სწრაფი, დინამიკური ცვლილებით მას აჩვევს მოვლენის აქტიურ აღქმას. აქედან გამომდინარე, თხრობის აქტიური რიტმი ხშირად გადამწყვეტი ფაქტორი ხდება მაყურებლის ინტერესის წარმოქმნისათვის. თავისითავად მსგავსი დამოკიდებულება მოქმედებს კინოგამოცემას ულების თავისებურებაზეც.

დასავლურ კინემატოგრაფში „ახალი სახის“ ძიების როული პროცესი თითქოს დამოუკიდებლად მიმდინარეობდა. პოსტსაბჭოთა კულტურა, რომელიც ფაქტობრივად სიახლის დანერგვას არსებული, ტანურებული თემების განცხადებაში ხედავდა, ფორმის თვალსაზრისით იშტამპებოდა რუსული კინემატოგრაფი: რეალობის განსაკუთრებულად აგრესიული დაფიქსირებით აღინიშნებოდა „პატარა ვერა“, „სსა“ და „პერესტროიკის“ სხვა ფილმები გამოიჩინეოდნენ მისწრაფებით, რეალობა წარმოეჩინათ ყველაზე უარყოფითი კუთხით: სექსი, ძალადობა, გაუცხოებული ადამიანები, რომლებიც პიროვნების ნიველირების, ტაბუთა მძლავრი არსებობის პირობებში ყალიბდებიან ინერტულაგრესიულ კომუნრმისტებად. ადამიანები დაბალი ფენიდან მკვეთრად გამოხატავენ უკვე არსებულ შედეგს, რომელიც 70-იანი წლების დიქტატურულმა რეჟიმმა მოიტანა. პერესტროიკის პერიოდი ცალკული რესპუბლიკისათვის ეროვნული თვითგამოხატვის სანად იქცა. მიმდინარეობდა თავისეუფალი სივრცის ძიებისა და ხელოვნების საბჭოური იდეოლოგიის ზეგავლენისგან განთავისუფლების პროცესი. 90-იან წლებში ახალი, დაქსაქსული სივრცე ჩამოყალიბდა, თუმცა ურთიერზეგავლენა კვლავ გაგრძელდა.

უურნალში „Сине фанаръ“ 1987 წელს დაფიქსირდა „რუსული პარალელური კინოს“ მსოფლმხედველობა. იგი გაიაზრება პროტესტით როგორც საზოგადოებაში, ასევე საბჭოთა კინოში არსებული მდგომარეობის მიმართ. ამ მიმდინარეობის წარმომადგენლები იყვნენ: ევგენი ფრიტი, ოლეგ კოტელნიკოვი და სხვები. მათი ძირითადი პრინციპი გახლდათ – ყველა საშუალებებით ეწვენებინათ საზოგადოების „ხრწის“ პროცესი. ამ მიზნით იყენებდნენ

უხარისხო ფირს, მნიშვნელობას ანიჭებდნენ: „მავ ოუმორს“, „დაუკავშირ მონტაჟს“, დაჩქარებული გადაღების მეთოდს. ‘ნეკროფილია’ (ევ-ფრიტი), რომელიც ფაქტობრივად გამოხატავდა საბჭოთა მი-თოლოგიური კინოს „სიკვდილს“, ფორმის თვალსაზრისით საკმაოდ არაორიგინალური და სწორხაზოვანი აღმოჩნდა. ახალ მიმართულე-ბაზე მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა როკ-კულტურამ, თანამედ-როვე რუსულ მხატვრობაში არსებულმა ახალმა მიმართულებებმა, რომელსაც უწოდებდნენ „ახალ ველურებს“, „ახალ ტალღასა“ და „თავისუფალ ფიგურაციას“. „ნეკროფილების“ პროტესტი, ახალი კულტურის შექმნის მცდელობა ფაქტობრივად კრახით დასრულდა, რადგან „ალტერნატიულმა“ ხელოვნებამ დასავლური კულტურის ერთგვარი კოპირება მოახდინა. ქვეყნის იდეოლოგიური ბერკეტის საბოლოოდ დამლამ, სახელმწიფობრივი სტრუქტურის თანდა-თანობით ცვლილებამ 90-იან წლებში გამოიწვია ძველი ფორმების უარყოფის პროცესი. რუსულმა კინემატოგრაფმა უფრო სწრაფად „აუდო ალღო“ მიმდინარე პროცესებს და გადავიდა ერთგვარი კომერციული კინემატოგრაფის შექმნაზე.

ეს პროცესები ქართულ კინემატოგრაფში შეძლება ინად ვითარდება: 80-იან წლებში არსებული ტენდენციების დაყოფა შესაძლებელი ხდება ერთ-ერთი ნიშნითაც: — ორი თაობის რეჟისორთა ერთდროული მოღვაწეობით, კინოს სპეციფიკის თავისებურებისადმი სხვადასხვა მიღობით. თუ „მეტი“ თაობა ასე თუ ისე ერთგული რჩებოდა 60-70-იან წლებში არსებული ძირითადი მიმღრთულების, ანუ უპირატესობას ანიჭებდა იგავურ ფორმას, მეტაფორულ-სიმბოლურ თხრობას, დახვეწილ გამომსახველობით სტრუქტურას, „ახალი“ თაობა რეალისტურ ფორმებს ანიჭებდა უპირატესობას. მათ უარი თქვეს იგავურ, ძალზე პირობით ფორმაზე, მოგვითხრობენ საზოგადოების ყველაზე დაბალ ფენაზე, „დაკარგულ თაობაზე“, ადამიანებზე. მათ ცხოვრებას კი აგვიწერენ მარტივი გამომსახველობითი რიგით. აქვე უნდა აღინიშნოს ის მომენტიც, რომ 80-90-იანი წლები ერთადერთი პერიოდია, როცა ქართული კინო ორჩევს განვითარების საკუთარ გზას, ანუ, ის აღარ განიცდის ევროპული თუ ამერიკული კინოს ზეგავლენას, არ იზიარებს მათში არსებულ ტენდენციებს, სიახლეებს. შესაძლოა, უკვე 90-იან წლებში ერთგვარი იზოლირების ტენდენციამ, „საკუთარ“ ფორმებში ჩაკეტებამ განაპირობა ერთგვარი შემოქმედებითი კრიზისიც.

80-90-იანი წლები ქართულ კინოში არ გამოირჩევა მკეთრი ძიებებით, ექსპერიმენტებით როგორც თემის, ასე ფორმის, გამოსახულების თვალსაზრისით. 80-იანი წლების კინემატოგრაფი შესაძლოა, გავიაზროთ როგორც მცდელობა იმ ტენდენციათა გამდიდრებისა თუ გაღრმავების, რომლებიც მკვეთრად შეინიშნება 60-70-იან წლებში. არსებულმა, შედარებით სტაბილურმა რიგმა თავისთავში გაერთიანა ასახვის დინამიკური ფორმები, იქნებოდა ეს აქტიური კამერა, ფერი თუ განათების სისტემები, რომლებიც იქცევოდნენ მეტაფორად, სიმბოლოდ ქმნიდნენ ფილმის დამატებით გამომსახველობით ლაიტმოტივს, „მორბენალი“ კომპოზიცია და ა. შ. მნიშვნელოვანი გახდა კოდური, გამომსახველობითი ელემენტებით აზროვნება. უპირატესობა მიენიჭა „რას“ და შეძლევ – „როგორს“. რეჟისორები მნიშვნელოვნად მიიჩნევდნენ, აშკარად დაეფიქტისრებინათ ის პოზიცია, რომელიც მათ გააჩნდათ საზოგადოებაში არსებულ მორალურ-ზნეობრივ პრობლემებზე. ძირითადად ყურადღება მახვილდება უკვე ამ მოვლენათა შედეგებზე. ვფიქრობ, სწორედ ამიტომ 80-90-იან წლებში ძირითადად ხდება „ფაქტის კონსტატირება“, დაფიქსირება, მცდელობა, რათა საზოგადოება, ინდივიდი „ჩავახედოთ სარკეში“. 80-იანი წლები გახდა ის მიჯნა, როდესაც ნათლად გამოიკვეთა ყალბი ურთიერთობები, იდეოლოგია, სახელმწიფო პოლიტიკა, ყალბი კეთილდღეობის ხატი. თუ 60-70-იანი წლების კინემატოგრაფი ამ მდგომარეობაში ცდილობდა აქტიური მოქალაქეობრივი პოზიციის დაფიქსირებას, ამავე დროს ახდენდა მორალურ-ზნეობრივ პრობლემებზე აქტიურ პედალირებას, რათა გამოეფხილებინა საზოგადოება, 80-იანი წლების ნიჭილისტურ გარემოში ეს უკვე შეუძლებელი აღმოჩნდა. 80-იანელები აფიქსირებენ იმ შედეგს, რომლის ცვლილებაც ძალზე ძნელია, რადგან პიროვნება, თითოეული ინდივიდი მოკლებულია სულიერებას. ამ წლებში კინოში შეუძლებელია აღმოვაჩინოთ ისეთი გმირები, როგორიცაა: მ. კოკოჩაშვილის სოსანა ფილმში „დიდი მწვანე ველი“ ან გურამი გ. შენგელაის ფილმ „ალავერდობაში“. ამგვარად, 80-იან წლებში არსებული ფერის, სინათლის სისტემათა დახევწის, ტრადიციული ასახვის ფორმებისადმი ერთგულება შეინიშნება ფილმში, „ნეილონის ნაძვის ხე“. (რეჟ. რ. ესაბე) ოპერატორი ლ. პატაშვილი ფილმში ცდილობს როგორც საერთოდ საოპერატორო ხე-



ლოვნებაში არსებული მიღწევების გათავისებას, ასევე საკუთარო შემოქმედებით გამოცდილებაზე დაყრდნობით შექმნას დახვეწილი ფერწერულ-გამომსახველობითი რიგი, პავილიონში მუშაობისას მიაღწიოს ბუნებრივი განათების, სიერცის გახსნის, გაშლის ეფექტს.

საქართველოში 80-იანი წლები დ. პატაშვილის შემოქმედებაში მოღვაწეობის მეორე ეტაპია. მისი მუშაობის სტილი ინტერესთა სფერო განსხვავებულია. თუ პირველი პერიოდი (60-იანი წ.). გამოირჩევა კადრის გრაფიკულობით, ფორმათა ლაკონიზმით, შინაგანი ენერგიით და ექსპრესიულობით, მეორე ეტაპზე თპერატორი ცდილობს, დიდი მნიშვნელობა მიანიჭოს კოლორიტს, მოდელირებულ განათებას, კადრის ფერწერულობას. სწორედ ამ პერიოდში ის ხელს უწყობს ახალი „საოპერატორი სკოლის“ ჩამოყალიბებას, რომელიც ეყრდნობა რა მის ძიებებს, ქმნის გარკვეულ ტენდენციებს. ამ „სკოლის“ წარმომადგენლები: გ. ბერიძე, მ. მაღალაშვილი და სხვა ახალგაზრდა ოპერატორები მკვეთრად გამოირჩევიან კადრის ფერწერულობით. დახვეწილი განათების სისტემების, ფერადოვანი ლინზების მრავალფეროვანი სპეციალისტების გამოყენებით, გააზრებული გამომსახველობითი კონცეფციით.

„ნეილონის ნაძვის ხის“ პარალელურად დ. პატაშვილი საერთოდ ქმნის რამდენიმე განსხვავებული სტილის ფილმს, იქნება ეს ე. შენგელაის „ცისფერი მთები, ანუ დაუჯერებელი ამბავი“ თუ გ. შენგელაის „ახალგაზრდა კომპოზიტორის მოგზაურობა“. მათი პლასტიკური რიგი განსხვავებულია როგორც ფერის სიმბოლიკით, ასევე გადაღების მეთოდებით, განათების სისტემათა გამოყენებით. თუ გ. შენგელაის ფილმში „ახალგაზრდა კომპოზიტორის მოგზაურობა“ მუქი ტონებით, ყავისფერ-წითელ-შავი ფერის ღომინირებით, შიდაკადრული, აქტიური მონტაჟით, რიტმით, კადრის გაბუნდოვნება-ჩაბნელებით გვიჩვენებს ადამიანთა სულიერ, შინაგანად დამუხტულ მდგომარეობას, არსებულ არასტაბილურ პოლიტიკურ თუ მორალურ-ზნეობრივ პრობლემას, ე. შენგელაი ფილმში „ცისფერი მთები ანუ დაუჯერებელი ამბავი“ ნათელი ფერებით მკაცრი კომპოზიციური ფორმებით, კამერის მეშვეობით სიმბოლური კადრების შექმნის ტენდენციით გვხატავს საზოგადოების ნიპილიზმს, უკასუხისმგებლობასა და გულგრილობას, რომელიც საბოლოოდ ანგრევს კიდეც სამყაროს. თუმცა ორივე შემთხვევაში

იკვეთება ოპერატორის მისწრაფება დახვეწილი გამომსახულობისთვის რიგისადმი, კინოს ტექნიკური შესაძლებლობების გაფართოებისა და დახვეწისადმი, კადრის ფერწერულობისადმი.

თუ 80-იან წლებში, ერთი მხრივ, ინტერესი გაჩნდა კადრის ფერწერულობისადმი, მეორე მხრივ შეინიშნება მისწრაფება სიმბოლური, მეტაფორული აზროვნებისადმი. თუ 'ნეილონის ნაძვის ხეში' იგავურ თხრობაში მნიშვნელობა მიენიჭა ფერაღოვანი ლაიტ-მოტივის შექმნას, ალ. რეხვაიაშვილი გამოსახულების აგებისას მნიშვნელობას ანიჭებს დეტალს, სივრცის აგების მრავალკომპოზიციურ, როგორც სტრუქტურას. აქედაც უნდა აღინიშნოს ის მომენტიც, რომ ალ. რეხვაიაშვილის შემოქმედება ძალზე თვითმყოფადი, ინდივიდუალურია.

80-იან წლებში შექმნილი ფილმი „საფეხური“ განსხვავებული ნამუშევარია აღ. რეხვიაშვილის ადრეული პერიოდის მოღვაწეობისგან, თუმცა ის მეტად გამოხატავს ქართულ კინოში: მრავალკომპოზიციური, დეკორაციულ-კოლაჟური გამომსახველობითი სტრუქტურის შექმნის ტენდენციას. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მისმა „კინოსამყარომ“ გარკვეული ზეგავლენა იქონია 90-იანი წლების კინოგამოსახულების ჩამოყალიბებაზე.

ალ. რეხვიაშვილის რთული, მოაზროვნე, კინემატოგრაფი სრულად ამოვარდნილია, გამიჯნულია არსებული ტენდენციებიდან. მისი შემოქმედებისთვის დამახასიათებელია იგავერი ფორმა, პირობითი გამომსახულობითი რიგი ჯაჭვურ-კოლური ელემენტებით. მათ „წასაკითხად“ კამერა მედიტაციურია, გამოსახულების ძლიერების მრავალ კომპოზიციური სტრუქტურით ზოგჯერ დეკორატიულ-კოლაჟურია. მასთან გარემოცვა და ადამიანებიც ერთი მთლიანი სისტემის ელემენტები არიან, სადაც აზრი წარმოქმნის ემოციას, გრძნობას. თხრობის სტრუქტურა იგება „ნახევრად ნათქვამი ფრაზებით“, რომლებიც ემოციურად მაყურებელში სრულდება. რეჟისორის მიღრეკილება რთული გამომსახულობითი რიგისადმი შესაძლებელია განპირობებული იყო ალ. რეხვიაშვილის საოპერატორო მოღვწეობიდანაც. მისი კამერა ყოველთვის გამოირჩეოდა ინდივიდუალობით, კადრის ერთგვარი „სკულპულოზური“ დამუშავებით, ასახულის ლაკონურობითა და სიზუსტით.

ფორმაშემოქმედებითი ტენდენციის პარალელურად ქართულ კინოში მყვეთრად შეინიშნება რეალიზმისკენ სწრაფა. 80-იანი



წლებში ახალგაზრდა შემოქმედთა ნამუშევრებში საზოგადოებაში დაგროვილი მწვავე მორალურ-ზნეობრივი პრობლემები რეალისტურ ფორმაში თავსდება. 60-70-იანი წლებისგან განსხვავებით რეალიზმის ასახვისას იკარგება ლირიული ინტონაცია, იუმორის გრძნობა, დახვეწილი კომპოზიციური სტრუქტურა, რომელი სივრცობრივი პერსპექტივის აგების ტენდენცია.

თ. ბაბლუანის „ბელურების გადაფრენა“, ალ. ცაბაძის „ლაქა“, ნ. ჯორჯაძის „მოგზაურობა სოპოტში“ მოვარითხრობს საზოგადოების დაბალ ფენაზე, ადამიანებზე, რომლებმაც საკუთარი ადგილის მოქებნა, თვითდამკვიდრება, სრული რეალიზება ვერ მოახერხეს საზოგადოებაში. საზოგადოებამ ისინი გაწირა. მოუხედავად თხრობის განსხვავებული სტილისა, ახალგაზრდა შემოქმედთა ნამუშევრებში შესაძლოა აღმოვაჩინოთ საერთო ნიშნები: I „სიმბოლური გმირი“, ე. წ. „მოხეტიალე გმირები“, რომლებიც ქალაქის ქუჩებში, სახლიდან სახლში მოგზაურობენ. საკუთარი თავის ძიების პროცესი სწორედ ამ მოგზაურობით აისახება. მათი ასახვისას კი უპირატესობა ენიჭება არა იმდენად კადრის კომპოზიციას, არამედ კადრის დინამიზმს. ამ ტიპის გმირების „მრავალჯერადი“ გამოყენება იქცევა დამახასიათებელ ნიშნად, ერთგვარ სტერეოტიპად. ისინი გარკვეულწილად ო. იოსელიანის ფილმ „იყო შაშვი მგალობელის“ გმირთან, გია აგლაძესთან, ასოცირდებიან. ეს მსგავსება შემოიფარგლება მხოლოდ ვიზუალური ხატით, რადგან 80-90-იანი წლების „მოხეტიალე გმირები“ ყოფით, სულიერი თუ მორალური პრობლემებით დატვირთულები, დამძიმებულები, საზოგადოებაში არსებული ნიკილიზმითა და კომფორმიზმით დაღლილები ვერ ახერხებენ სამყაროს შეცვლას. პასიურები ერთგვარ „მსხვერპლად“ იქცევიან. მათ მყარად აქვთ გათვითცნობიერებული არსებული მდგომარეობა და გამოსავლის არარსებობის შეგრძნება მათში საკუთარი თავიდან გაქცევის სურვილს, შემგუებლობას ბადებს. ამგა არად, ახალგაზრდა შემოქმედთა ნამუშევრებში უპირატესობა ენიჭება რა გმირის პრობლემას, ადამიანს, ნაკლები ყურადღება მახვილდება ასახვის ფორმებზე, ანუ, მნიშვნელოვანი ხდება „რა“ და არა „როგორ“. II დამახასიათებელია შავ-თეთრი გამოსახულება, სამოყვარულო კამერის ეფექტით შექმნილი კადრები, მუწწი დიალოგები, პასიური კამერა, კადრის გაბუნდოვნების ეფექტი. ეს ეფექტი გარკვეულ ნიშნად ქცეული 80-

იანელთა შემოქმედებაში ხშირად გამოიყენება, როგორც გამაღიზ-იანი იანელი ფაქტორი, გაბუნდოვნებულ-ჩაბნელებულ კადრებში ცუდად იკითხება მოქმედება, რაც ამძაფრებს „დანახვის“ სურვილს.

თუ 80-იანი წლების დასაწყისში იკვეთებოდა ორი ძირითადი ტენდენციის არსებობა, 90-იან წლებში ხდება მათი ერთგვარი აღრევა. რეალისტური და ფორმაშემოქმედებითი კავშირი ვლინდება, როგორც თხრობითი ფორმის, ასევე გამომსახველობითი ესთეტიკის აგების თვალსაზრისით. რეალისტური ფორმა ხშირად გაჯერებულია იგავურ პირობით ფორმაში და პირიქით, პირობითი ფორმა შეიცავს რეალისტურ ელემენტებს. მაგალითად შეიძლება მოვიყვენოთ აღ. ცაბაძის „ლამის ცეკვა“, (ოპერატორი ლ. მაჩაიძე), როგორც შედარებით პასიური გამომსახველობითი რიგის მქონე ნაწარმოები, რომელსაც რეალისტურ ფორმაში შეაქვს ფორმაშემოქმედებითი ელემენტები: სიმბოლური გმირი, პირობითი გარემო, რომელიც ტონალობით იმიჯნება და დ. ცინცაძის „ზღვარზე“ (ოპერატორი მ. მაღალაშვილი), სადაც სინათლე ქმნის როგორც საერთო ინტონაციას ასევე კიზუალურ სიმბოლიკას, გმირის სულიერი მდგრადირეობის მაჩვენებელი ხდება.

ამგვარად, XX საუკუნის 80-90-იანი წლების ქართული კინო, როგორც უკვე აღვნიშნე, ნაკლებად უთმობს ყურადღებას ახალი გამომსახველობითი ესთეტიკის შექმნას. ის გარკვეულწილად ხვეწს არსებულ მიღწევებს, იკეტება მასში. სტაბილური, პირობითი, მეტაფორული გამომსახველობითი რიგი, დახვეწილი განათების სისტემები, ფერადოვანი დრამატურგია, ტრადიციული კომპოზიციური ფორმები, მისწრაფება გამოსახულების ესთეტიზირებისკენ ნიშანდობლივა 90-იანი წლების კინოგამოსახულების, თუმცა ძნელია აღმოვაჩინოთ მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი ნიშნები.

### გამოყენებული ლიტერატურა:

- ვ. სტორარო „ჩვენ ვსაუბრობთ კინო ენაზე“, უურნალი „კინო, ტელე, ტექნიკა“, 1985 წ. №9 გვ. 24-28.
- ა. ა. უმიკოვა „კინოკპერატორი ანრი ალიკანი“, ინტერვიუ, უურნალი „კინო, ტელე, ტექნიკა“, №10, გვ. 32-35.

## კიცოკომიქსის შანრულ-სტილისტური თავისებურება და მასობრივი პულტურა

აღმანი თავისი ბუნებით, სურს თუ არ  
ეს ძას, მოწოდებულია ძაიხოს უძღვესი  
აღვალი. ვინც პოელობს, ის რჩეულია. ვინც  
კრ პოელობს, ის ამს სხვისი აშეალებით  
გამზადებულს აღის და იქცა ძასი.

ხოსე ორტეგა-განეტი,  
„მასების ამბოხი.“

კინემატოგრაფი ახალი კულტურული პარადიგმის – მასკულ-  
ტურის, პერიოდში გაჩნდა. XX საუკუნეში მასკულტურა აქტი-  
ურად იპყობს მსოფლიო აუდიტორიას. სიტყვა „ამერიკულის“  
ცნება ავანგარდული, ანუ მასობრივი ხელოვნების გლობალურ გამ-  
ოვლინებაში აღიქმება. მოდერნიზმა საგრძნობლად დააჩქარა მა-  
სობრივი, ანუ ამერიკული, კულტურის განვითარება.

1901 წელს გამოიცა ინგლისელი მწერალი უილიამ სტედის  
წიგნი „სამყაროს სრული ამერიკანიზაცია“, რომელშიც ნაციონა-  
ლური ენის, ტრადიციების, ეროვნული ცნობიერების, მენტალიტეტის  
თავისებურების გაქრობის პრობლემა წამოიჭრა. იგივე პრობლემა  
დღესაც აქტუალურია, მითუმეტეს, როცა ამერიკული კულტურა  
კვლავ გლობალიზაციის სინონიმად მოიაზრება. საყოველთაოდ მიღე-  
ბული აზრია, რომ ამერიკა თავს გვახვევს ინტელექტუალურ და  
კულტურულ გავლენას, რომ ხდება გართობისა და გემოვნების მძლავრი  
ინდუსტრიის ფორმირება, რომ დიდი ხანია, რაც ამერიკა გლობალ-  
ური კულტურის ექსპორტიორად იქცა მაშინ, როცა თავის დროზე  
ამერიკული კულტურა თავის თავში მოიცავდა უცხო კულტურას  
და გარეშე იდეებს: ახალი ნაციონალური კულტურა მასობრივი  
მიგრაციის ხარჯზე ჩამოყალიბდა. ცნობილია, რომ ვესტერნი ახლად  
ფორმირებული ერის ნეომითოლოგიის ნიმუშად იქცა. ამერიკული  
აუდიტორია არ გამოირჩეოდა ესთეტიკური გემოვნებით. რეკლამა,  
კარიკატურა, კინი, სიტყვების თამაში (დადაიზმი) მოდერნისტული

კულტურის პროდუქტებს წარმოადგენდა. ავანგარდის ერთ-ერთი მიზანი მართულება – დადაიზმი, სწორედ ელიტარულ სწობიზმს აშარებდა. შემთხვევითი არ არის, რომ მასობრივი კინოს ცნება სამუდამოდ დაუკავშირდა ნიკელ ოდეოსებს, ღარიბი, ღაბალი სოციალური ფენის მასებს (ამერიკული კინოინდუსტრია სწორედ ამ მასების შემოსავლის ხარჯზე აყვავდა). მოდერნიზმმა შექმნა ახალი კულტურა და ახალი მსოფლმხედველობა. პოპულარული ამერიკული კინოჟანრები სწორედ მასების „ენერგეტიკის“ ხარჯზე დაფუძნდა. ამერიკული კულტურის წიაღი პოლივუდში გაჩნდა. ელიტარული კულტურა პოპ კულტურაში გადავიდა. გასართობი ინდუსტრიის მომძლავრებამ, ამერიკული მასკულტურის გავრცელებამ ხელი შეუწყო ტელეშოუს და ამერიკული ფილმების პოპულარობას. ამერიკული რეკლამის პოპულარიზაციისთვის ინგლისური ენა ბევრად უფრო ეფექტური აღმოჩნდა, ვიდრე სხვა, ენა, ვინაიდან ამერიკული რეკლამა გრამატიკის სადა სტრუქტურას, მოკლე და ნაკლებად ასტრაქტირებად სიტყვებს, შეკუმშულ წინადაღებებს შეიცავს.

ამერიკული კინოს აუდიტორია ინტერნაციონალური იყო და გულისხმობდა რეგიონალურ, კონკურ, რელიგიურ, რასობრივ მრავალფეროვნებას, შესაბამისად, კინო უპირატესობას ანიჭებდა მარტივ დიალოგს, ადვილად აღსაქმელ კარიკატურებს, საგაზეთო სათაურებს. ამ თავისებურებით აითხნება მასობრივი საშუალებების ექსპერიმენტები, რაც უპირველესად გულისხმობდა სიუჟეტური ხაზის მაქსიმალურ გამარტივებას სხვადასხვა სოციალური და ეთნიკური ფენის აუდიტორიისთვის. პერიოდული ჟურნალების, პოლივუდის კინოწარმოების, მასობრივი ტირაჟირების, სატელევიზიო ქსელების სტრატეგია მიმართული იყო იქთვენ, რათა კომუნიკაცია დამყარებულიყო საკუთარი ქვეყნის ჯგუფებთან და კლასებთან. მასობრივი საშუალებები შლილი ზღვარს სოციალურ განსხვავებებს შორის, დაირღვა ეროვნული, ენობრივი ბარიერები. თავდაპირველად ამერიკული კულტურა პოლიტიკური იყო და იდეოლოგიურ სიმწირეს განიცდიდა. ის მნიშვნელოვნად იყო ღაშორებული სოციალურ პრობლემებს, ამან კი მასობრივი გართობის მსოფლიო ინდუსტრიის ფორმირების პროცესი მნიშვნელოვნად დააჩქარა.

20-იან წლების საბჭოთა კინოში ამერიკული მითის პოპულარობა სწორედ ვარსკვლავური, ჟანრული სისტემის დამკვიდრებამ განა-

პირობა. რევოლუციურ-სოციალური კატაკლიზმებით დამძიმებულ მაც-  
ურებელს ართობდა პაროლდ ლიტერის თუ ჩაბლინის კომიკური  
გმირები, რომლებიც რწმენას, ოპტიმიზმს უნერგავდნენ რევოლუციურ  
იდეალებში რწმენა შერყეულ ხალხს. ჩაბლინის აკანტიურული პერ-  
სონაჟი თავისითავად მოიკავდა გლობალურისა და მასობრივს.

30-იანი წლების პოლიკურის პროდუქცია კომედიებისგან და მიუზიკლებისგან შედგებოდა (ჯონ ფორდის გახმაურებული ფილმის „მრისხანების მტევნების“ გარდა), ის არ ასახავდა საზოგადოებრივ პრობლემას, ამდენად, იმ პრიორიტეტების აქტუალური უმუშევრობისა და სიღარიბის პრობლემა ეკრანს ძირმა დარჩა. მასკულტურის ერთ-ერთ პოპულარულ ჟანრად კომიქსი იქცა, რადგან იგი გამოიჩინდა ზღაპრულ-ფეროული დრამატურგიით და კიჩის პირობითობით და - მარკეტინგული უნარით, ამასთანავე წარმატებით ითვისებდა ესთეტიკურ და პოლიტიკურ კატეგორიების. სიტყვა კომიქსი ნახატებში ასახულ ისტორიას ნიშნავს, სადაც ვიზუალური უფრო მეტად ჭარბობს ტექსტუალურ დანართებს. ბეჭდვითმა კომიქსებმა ვართობის მძლავრი ინდუსტრია ჩამოაყალიბა. კომიქსებს გააჩნიათ პერმეტული, „დაბშული“ რეალობა, რომლის რეალიზება კინორეჟისორის ფანტაზიებზეა დამოკიდებული. 20-იან წლებში კომიქსი ამერიკული კულტურის ორგანული ნაწილი ხდება. ჩამოყალიბდა ტრადიციული გმირების გაღერება: დიკ ტრეიის, სუპერჰენი, ბეტმენი. კომიქსებს ახასიათებთ სერიული გაგრძელება, სიუჟეტური ხაზის წყვეტილობა, უსასრულობის პრინციპი, რასაც წარმატებით იყენებს პოსტმოდერნისტული კინემატოგრაფი. კინოკომიქსი არ ემორჩილება ავტორის ნება-სურვილს, ამგვარად, კულტურის ტრანსლირება სივრცესა და დროში მუდმივად გამოირებადია. კინოკომიქსებს გამოარჩევთ სქემატიზმი, გამჭვილი მოქმედება. კომიქსების პერსონაჟები ადვილად მანიკულირებენ მასის კოლექტიურ ცნობიერებაზე, ავტორის ფაქტორი უკვე ზედმეტი ხდება და ადვილად ექვემდებარება სახეცვლილებას, მაგ.: მნიშვნელობა არ აქვს ვინ იქნება „ბეტმენის“ რეჟისორი, ანუ, კინოკომიქსის წარმოება ხელოსნური უფროა, ვიღრე შემოქმედებითი. კომიქსის სტრუქტურისთვის მისაღებია პერსონაჟის ლავირება ერთ-დროულად რამდენიმე ვირტუალურ რეალობაში, დრო ადვილად ექვემდებარება შეკუშვას, დაშლას და ნიველირებას, ისტორიის ხაზობრივი, დისკრეტული მოძრაობა მითის ციკლური ორნამენტულობი-

თაა გაპირობებული. კომიქსებში გამორიცხულია დროის პლასტიკი, ამდენად იყი უფრო სარკასტულია.

თეოდორ ადონინს „ესთეტიკური თეორიის“ მიხედვით კომიქ-  
სი კარგავს ავტონომიური ესოეტიკური ობიექტის მაღალ სტა-  
ტუსს და მედიურ თუ საბაზრო ურთიერთობათა ჯაჭვში ერთვება.  
კინკომიქსის წარმოშობა და პოულარიზაცია დიდი დეპრესიის  
პერიოდს უკავშირდება — პირველი დრამატურგიული კომიქსი  
ტარზანზე ედგარ რეისის რომანი-უელეტონის მოტივების მიხედ-  
ვით (1929) ერთდროულად რ. მდენიძე გაზეთში გაჩინდა.

კომიქსებში აღრეულია სხვადასხვა ცივილიზაცია და ეპოქა, დროის პლასტები. დიდი დეპრესიის პერიოდში კინოკომიქსი ეს-კეპიზმის მკაფიო გამოხატულებად იქცა – ეკონომიკური დაცემა, მშრალი კანონი, დანაშაულებრივი, შავი სამყაროს მომძლავრება, ყოველივე ეს „კანონის და წესრიგის“ დამყარებას საჭიროებდა, კონსერვატორული პოლიტიკა პურიტანული ესთეტიკის დამკვიდრებას მოითხოვდა. ამიტომაც პოპულარობას იძენენ სუპერმენები, რომლებშიც ამერიკული პუბლიკა ზნეობრივ იღეალს და ძლიერ ინდივიდს – წესრიგის და კანონის დამცველს ხდავდა..

კომიქსებმა ამერიკულ გმირს ძლიერი და ყოვლის შემძლებელადამიანი- სუპერმენის მიმზიდველი იმიჯი დაუმკვიდრა, რომელ-იც უნივერსალური დემოკრატიზმის ფასეულობებს მტკიცებს იცავს. კომიქსების აღზევების ხანა 30-40-იანი წლებია. ნიშანდობლივია, რომ კომიქსების ბუმი ამერიკის ეკონომიკური აღმავლობის პოლი-ტიკურ კურსს ემთხვევა. ყოველდღიური პრესის პამფლეტი-ფელე-ტონები და ილუსტრირებული დანართები უხვად ტირაჟირებდნენ კომიქსის სიუჟეტებს, რომლებიც შემდეგ სტერეოტიპულ სქემებად იქცნენ. მასობრივთან, კოლექტივთან დაკავშირებული „პოლიტიკური არაცნობიერი“ რაინდმა-გმირებმა მითვისეს, რომლებიც ტოტალურ ბოროტებას ებრძვიან, ასეთებია: ბობ კრეინის მიერ შექმნილი მფრი-ნავი თავვი, ბეტმენი (1940). კომიქსი ძირადათად წარმოადგენს სენტიმენტალურ-პათეტიკურ საგას „სუპერმენებზე“, ფოლადის ადამიანებზე (სუპერმენი, ლიკ ტრეიისი, ბრიკ ბრედფორდი ტერრი და ა. შ.) ექსცენტრიკულ სუპერგმირებში პერსონიფიცირებული იყო ის ოპტიმიზმი და იმედგაცრუება, რასაც ამერიკის საშუალო კლა-სის ფენა იმ პერიოდში განიცდიდა.



ინდუსტრიული პროგრესის შედეგად ჩნდება ჰეროიკულ-კულტურული მიკური სიუჟეტები, რომლებიც 40-იან წლებში მიღიტარისტული პატრიოტიზმის დემონსტრირებით შეიცვალა – კომიქსი იდეოლოგის და ცენზურის დაქვემდებარებაში აღმოჩნდა. მაგალითად, ბატალიური კომიქსების – „ტერი და პირატების“ – ავტორს მელტონ კერივს რუზველტმა შეაცვლევინა სიუჟეტი, რომელიც ამერიკელთა კაპიტულაციას ასახავდა: იაპონელი თავდამსხმელები ტერის წყნარი ოკენის კუნძულებს ართმევენ. ცენზურის აზრით, ამგვარი ფინალი ამერიკული ჯარის დემორალიზებას გამოიწვევდა. კომიუტერული ტექნიკის მასშტაბურმა გავრცელებამ ყოფითი დიზაინის, ინფორმაციული სივრცის ფუნქციონალურმა დატვირთვამ კომიქსები უწყინარი, ნაივერი მასობრივი კულტურის პროდუქტად, ბურუჟუაზიული ფასეულობების ზუსტ ანარეკლად აქცია. პოპ არტის ლიდერები: ენდი უორკოლი და როი ლიხტენშტეინი იმიტირებდნენ კომიქსების ფაქტურას, ხაზს უსვამდნენ კომპოზიციის ბანალურობას, წარმოაჩენდნენ ევროპული კულტურის საკრალური ღირებულებების გაუფასურების პროცესს, სერიული წარმოების მიერ პროფანირებული მასედის „სახეს“.

60-80-იან წლებში ე. წ. ბეიბი-ბუმერების თაობა გაუღენთიღდა მომავლის რწმენით, ის გათავისუფლდა მომხმარებლური მენტალიტეტისგან და ნივთების ნაცვლად სოციალური პრესტიუსის მოპოვებას და წარმატებულ კარიერას ესწრაფვის: სტენ ლის „ადამიანი-ობობა“, ოჯახური კომიდიური მულტსერიალი „ფლიტსტონები“

სოციალური რელაქსიის, ანესთეზიის ფუნქციას ასრულებდნენ და პროტესტანტული სულისკვეთებით ემსახურებოდნენ ოჯახური იდილიის პროპაგანდას.

90-იან წლებში კომიქსი იდევნება მასკულტურიდან, ჩნდება კინოკომიქსის პოსტმოდერნისტული ფანრი – გაშარებულია კომიქსის სქემატური, გაცვეთილი სერხები. ამ დროს ზღაპრულ-ბუტაფორიულ რეალობის ასახვისთვის კინემატოგრაფი კომიქსებს დაესესხა, ამრიგად, კომიქსების ესოეტიკა კინოს ეფექტებს და გამომსახველობით ხერხებს დაემორჩილა. კომიქსის შარულ ჯამბაზური რიტორიკა კინოს ტექნიკოლოგიურმა საშუალებებმა კიდევ უფრო გაამდიდრა. ძლიერდება პირობითი დეკორატიულობა, მომრავლდნენ მანეკენის მსგავსი პერსონაჟები. მაგ.: ცნობილია „ბეტმე-

ნის“ ოთხი სიქველი – გროტესკულ-ბუფონადური „ბეტმენი“ (1989), გუთურ – იგაური „ბეტმენი ბრუნდება“ (რეჟ. ტიმ ბერტონი, 1992), ექსტრავაგანტური – კლოუნადური კინო-ატრაქციონი „ბეტმენი მარად“ (რეჟ. შუმახერი, 1995).

პოპულარული ადამიანი-ობობას ბრძოლა ბოროტ ძალებთან პერიოდული ეპოსის არქეტიპს და ამერიკული ჟანრის ფილმებს უკავშირდება – ხაზგასმულია ბრძოლა მაფიოზურ კლანებთან, სადაზვერვო-დივერსიულ კონსპირაციულ ქსელთან, მომავლის ინფორმაციულ ოლიგარქებთან. შვარცნეგერის, სტალონეს, ვან დამის, სიგალის სუპერმენები ხისტი, რობოზირებული პერსონაჟებია, მაგრამ ნაკლებად განიცდიან იდეოლოგიზირებას.

კინოკომიქსებში მუდმივად მოქმედებს უცვლელი სქემა: გმირები უარყოფენ სასურველ ობიექტებს, ანუ, სიყვარული მათთვის არარეალიზებადი, მიუღწეველია. ძლიერი, ბობოქარი ვნების მიუხედავად, ისინი განწირულნი არიან მარტოობისთვის, ვერ აღწევენ პირად ბედნიერებას, ჰარმონიული სასიყვარულო თუ ცოლ-ქმრულ კავშირს. ამასთანავე, ისინი ფლობენ ჰიპნოზირების მაგიურ უნარს, ადამიანურ იერსახესთან ერთად ზოომორფულ, ცხოველურ ელემენტებს შეიცავენ, შესაბამისად, მორალურ-ზნეობრივ არჩევანს ისინი ცხოველური, ქტონური საწყისიდან გამომდინარე აკეთებენ – კინოკომიქსის გმირებს არ ახასიათებთ მიწიერი პრაგმატიზმი, მათი გარემომცველი რეპვიზიტი ხაზგასმულად მასკარადულ-ბუტაფორულია. დღისით ისინი ტრივიალური ცხოვრების სქემით ცხოვრობენ, დამით დემონურ ძლევამოსილებას იძნენ, სუპერგმირებს გამოარჩევთ ათლეტური აღნაგობა და აკრობატული პლასტიკა.

სლავო უინეეკის ინტერპრეტაციით (ფრონდის ნაშრომ „ტოტემი და ტაბუ“-ზე დაყრდნობით), სოციალურ-სიმბოლური აკრძალვების რღვევას გმირი არ მიჰყავს მამის ფეტიშისა და ატრიბუტების დაუფლებამდე. კომიქსის გმირის პირადი ბიოგრაფია ეროტიკული თამაშების უარყოფაზეა აგებული და, როგორც აღნიშნავენ, მათი ერთ-ერთი თვისება „შიზოფრენიული გაორებაა“: ისინი დღისით და ღამით სხვადასხვა ცხოვრებით ცხოვრობენ. სუპერგმირები ძირითადად ობლები არიან – მათთვის უცნობია მშობლები ან მშობლებს რაიმე შეემთხვევათ. ასეთი გმირები სიყვარულში ხელმოცარულნი არიან. ჰყავთ მეგობრები, თანაშემწე, დამხმარე



ძალა. მათი მტერი კი ქარიშმატიკული ბოროტი ძალაა. კომიქსის გშირის ზნეობრივი და მორალური გამარჯვება აბსტრაქტულ-ჰუ- მანურ რიტორიკასა და პათოსზეა დაფუძნებული. კომიქსებში ბოროტება ხაზგასმით ბუფონადურია, არ ხდება ადამიანურსა და უცხოს შორის, სიმბოლურსა და რეალურს შორის კონტრასტის დაბალანსება. თანამდეროვე ტექნიკური საშუალებების მაღალი დონე ამგვარი დაბალანსების საშუალებას არ იძლევა.

სუპერგმირს თავისი სტატუსი და დავალება გააჩნია: დემოკრატიული ფასეულობების დაცვა, ზეადამიანური შესაძლებლობების უნარი, „უნდა ემსახურონ და დაიცვან“, — ასეთია მათი ცხოვრების საზრისი. მათი ზეამოცანა სამყაროს გადარჩენაში, დამცირებულთა და უსუსურთა დაცვაში მდგომარეობს.

კინოკომიქსების ისტორიას თუ გადავხედავთ, დავრწმუნდებით, რომ ისინი ყველაზე ეფექტურად და ერთგულად ემსახურებიან ამერიკულ პროპაგანდას. კომიქსების ძირითადი თემა — ამერიკის მტრებთან ბრძოლაა. მაგ.: 40-იან წლების კომიქსის გმირი კაპიტანი როჯერსი ჯერ ნაცისტებს და იაპონელებს ებრძოდა, შემდეგ, რუსებსა და ჩინელებს.

ჰეროიკული ფანტაზიის კვლევისას კინოს ისტორიკოსები აღნიშნავენ, 70-იან წლებში, ხანგრძლივი პაუზის შემდეგ, სუპერგმირის დაბრუნება ეკრანზე აღიქმებოდა, როგორც დაბრუნება 20-იანი წლების ამერიკული ლიტერატურასთან, საიდანაც წარმოიშვა თავად ტერმინი „ჰეროიკული ფანტაზია“, გაიგივებული ზღაპრულ ეპოსთან. კინოკომიქსები ხშირად ყერდნობა ინგლისურ-საქსონურ ან კელტურ ფოლკორს: უძველეს ლეგენდებს, მთებსა და ზღაპრებს, თუმცა ამ პოპულარული ჟარის რეაბილიტირების ძირითადი მოტივი მაინც მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესია, რაც გულისხმობს ურთულესი დონის სპეცეფექტების გამოყენებას, ფანტასმაგორიული თხრობისკენ მიდრეკილებას. ჯორჯ ლუკასმა, რომელმაც პირველმა შექმნა ვარსკვლავური ომების ტრილოგიასთან დაკავშირებული სერიალი, მაქსიმალურად გამოიყენა ამ ჟანრის შესაძლებლობები.

70-იან წლებში ამერიკის ლიბერალური პოლიტიკა, იდეოლოგია და სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკა კრიზისში აღმოჩნდა, ჩნდება ნეოკონსერვატიული მოძრაობა, როგორც მწვავე რეაგირე-

ბა ამ კრიზისზე. ნეოკონსერვატორები მოითხოვენ ამერიკული სამხედრო ძლიერების აღდგენას, მისი უპირატესობის აღიარებას და მსოფლიო ჰეგემონიის დამყარებას, რამაც გლობალური ზემოქმედება მოახდინა ამერიკის ადმინისტრაციულ პოლიტიკაზე. (ა. მელვილი, წინასიტყვაობა წიგნზე: „შეერთებული შტატები: კონსერვატიული ტალღა“, მ., 1981). ნეოკონსერვატორები ისევე, როგორც „ტრადიციონალისტები“, ე. წ. „ახალი მემარჯვენები“, „უპირატესობას ანიჭებენ მორალურ-რელიგიურ პრობლემებს. მიუთითებენ მორალის კრიზისზე, ოჯახური ფასეულობების რღვევაზე. ჯორჯ ლუკასის ფილმები ზუსტად პასუხობდნენ ამერიკელთა პოლიტიკურ მოთხოვნებს.

80-იან წლებში კინოკრიტიკოსებს უჭირდათ იმის განსაზღვრა, თუ რა მიმართულებით განვითარდებოდა „პერიოდული ფანტაზია“, თუმცა მკაფიოდ დაფიქსირდა აზრი, რომ კომიქსის მომავალი ამერიკის შიდაპოლიტიკურ სიტუაციაზე იქნებოდა დამოკიდებული.

კომიქსებს ერთი მნიშვნელოვანი სიმპტომიც აღნიშნათ: ვარ-სკვლაპური ომების შესახებ არსებული, ერთი შეხედვით ნაივური და საბავშვო ფანრის ფილმები, სინამდვილეში, ფაშიზმის გამოვლინებად მიიჩნიეთ: „რემბო“ და „ვარსკვლაპური ომების“ კატეგორიის ფილმებში ომი, როგორც სანახაობა აღორძინდა და მოხდა მისი კულტივირება: „შესაძლოა, ამ ფილმებს ჯერ „ფაშისტური“ არ ვუწოდოთ, მაგრამ აშკარაა, რომ ეს სანახაობის სწორედ ის ტიპია, რომელსაც „ფაშისტური კულტურა“ ეწოდა (“The Fascist Guns in the West” – “American Film”, march, 1986).

### გამოყენებული ლიტერატურა:

1. Тело оборотня, или бремя запретной сексуальности, Об истории и эстетике кинокомикса Дмитрий Голынко-Вольфсон № 3, 2003, «Искусство Кино».

2. ი. ხანიუტინი, კინემატოგრაფი, ნაციზმი, პროპაგანდა, „კინოვედექსესკიე ზაპისკი“, №2, 1988 (რუსულად).

3. ა. ანდრეევი, „ფილმები – კომიქსებიდან, პერიოდულ ფანტაზიამდე“, „კინოვედექსესკიე ზაპისკი“, №2, 1988, (რუსულად).

## ზრანგული პინო

მუნჯი პერიოდი  
(1895-1929)

კინემატოგრაფის სამშობლო საფრანგეთია — სწორედ პარიზში შედგა ხელოვნების ამ ახალი დარგის ისტორიული პრემიერა 1895 წლის 28 დეკემბერს და მისი ავტორები იყვნენ ძმები ოგიუსტ და ლუი ლუმიერები.

ლუმიერების პირველი პროგრამა მოიცავდა დოკუმენტურ, სანახაობრივ ფილმებსა და კომიკურ სცენებს. ტექნიკურ გამოგონებასთან ერთად ლუმიერებს ეკუთვნით ფილმების სისტემატურად გამოშვების ინიციატივა. ფირმა საგანგებოდ აგზავნიდა სხვადასხვა ქვეყანაში ოპერატორებს, რომელთაც „კადრებზე მონადირებებს“ უწოდებდნენ, ისინი მაყურებელს აცნობდნენ არსებულ პროდუქციას და პარალელურად ახალ სიუჟეტებსაც იღებდნენ. უკვე 1897 წლისათვის ფირმის კატალოგი 358-მდე ფილმის დასახელებას ითვლიდა!

კინოენის განვითარებასა და სრულყოფაში დიდი წვლილი მიუძღვის ფრეჟ მელიესს, რომლის სახელთანაც დაკავშირებულია 1896 წელს პირველი კინოსტუდიის შექმნა,<sup>2</sup> 1900 წელს ჩამოაყალიბა კინომეწარმეთა პირველი პროფესიული გაერთიანებაც. თავდაპირველად იგი ლუმიერების ფილმების მიბაძვით ცხოვრებისეული სცენების თანამიმდევრულ ფიქსაციას ახდენდა. მალე კი მელიესმა თავისი გზა იპოვა. მისი კადრებისათვის დამახასიათებელი გახდა ფანტაზია, ფერიულობა, სანახაობრივობა, რომელთაც იგი ტექნიკური ტრიუკებითა და წინასწარ დადგმული სარეკისორო სცენების ორგანიზებით ახდენდა. მელიესმა კინოს გამომსახველობითი ხერხების, ტექნიკური ტრიუკების მთელი არსენალი შექმნა. თავის ფერიებს მელიესი სხვისი მეთოდებით ქმნიდა და ამიტომ, როცა კინოწარმოებაში ახალი ინდუსტრიული ხერხები დაინერგა, იგი გამიჯნულ იქნა კონკურენტების მიერ.

1896 წელს კინობაზრისა და კინოწარმოების არენაზე გამოვიდა „პარ ფრერი“ და „ვომონი“ — შარლ პატესა და ლეონ გომონის მეთაურობით, რითაც გაიზარდა, გამდიდრდა კინოწარმოების

ბა. ორივე ფირმას ფილიალები გააჩნდა ამერიკაში, რუსეთში, ინგლისში და სხვა ქვეყნებში. მათ მსახიობების, რეჟისორებისა და ტექნიკური მუშაკების მეტ-ნაკლები მუდმივი შემადგენლობა ჰყავდათ. პათესთან მუშაობდნენ რეჟისორები: ფერდინანდ ზეკა (სამხატვრო ხელმძღვანელი), ლუი განიე, ლუსიენ ნონგე და სხვა. გომონთან კი ანტუან ბლაშე (სამხატვრო ხელმძღვანელი 1907 წლამდე), ლუი ფერადი (სამხატვრო ხელმძღვანელი 1907 წლიდან), ვიქტორებ კასე და სხვანი. „პათე ფირმი“ განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ აღრეული ფრანგული კინოს წამყვანი კომიკისი მსახიობები: მაქს ლინდერი. ანდრე დოდი, პრენსი (რივალი). გომონში კი უორუ დიუანი, თავის კომიკოს-ექსცენტრიკოსების დასთან ერთად. ორი ერთმანეთის კონკურენტი ფირმა მასობრივი მაყურებლის გემოვნების დასაკმაყოფილებლად მუშაობდა. მათი კლიენტები ძირითადად საბაზრო ბალაგანების მფლობელები იყნენ, რომელთაც თავიანთ გასართობ პროგრამებში კინოსეანსებიც შეჰქმნდათ. ფრანგული კინოს ისტორიის ამ პერიოდს (დაახლოებით 1908 წლამდე) არცთუ იშვიათად მაზრობის კინოს უწოდებდნენ. საკმაოდ მსხვილი ფირმები თანდათან დაიხვეწა და გარკვეულ კინოსაწარმოებად იქცა. მოხდა ისეთი კინემატოგრაფიული სპეციალობების გამიჯვნა, როგორიცაა: ოპერატორი, სცენარისტი, რეჟისორი და სხვა. მიუხდავად ამისა, გვარები ანონიმური რჩებოდა. ფილმები ფირმის საკუთრებად ითვლებოდა. პათე 1907 წელს პირველმა დაიწყო ფილმების გაქირავება. პათეს წარმატებით მოხიბლულმა სხვა ფირმებმაც მის მაგალითს მიპატეს, რის საფუძველზეც 1908 წლიდან ფრანგულ კინოსარმოებაში ახალი პერიოდი დაიწყო. რეორგანიზებული და განმტკიცებულ იქნა მისი კომერციული ბაზა, წარმოებდა სტაციონარული კინოდარბაზების ფართო მშენებლობა. გაუმჯობესდა კინოპროექციისა და ფირის ტექნიკური ხარისხი. კომერციული სისტემა საშუალებას იძლეოდა გაზრდილყო კინოჩვენებების მასშტაბები და ფილმის მეტრაჟის ღირებულება, რათა აემაღლებინათ მისი მხატვრული დონე. აღრეული ფრანგული კინოს ძირითადი ფანრები და მრავალსახეობა უმეტესად ცნობილი დრამატული ქრონიკების ინსცენირება, ფერრია, „კომიკურები“, ბიბლიური სცენები იყო. ხშირად სოუჟეტები ნასესხებ და გამარტივებულ კლასიკურ თუ თანამედროვე ლიტერატურულ ნაწარმოებებს წარმოადგენდა.



1908 წელს შეიქმნა ახალი ფირმა „ფოლმ დარი“,<sup>3</sup> რომელმაც მიზნად დაისახა ფრანგული კინოპროდუქციის მხატვრული დონის ამაღლება. რათა კულტურული მაყურებელი დაეინტერესებინა, ფირმამ მიზიდა ცნობილი მწერლები საფრანგეთის აკადემიიდან, აგრეთვე სახელგანთქმული მსახიობები „კომედი ფრანსეზიდან“. ამ წამოწყების წარმატება განპირობებული იყო ჭიპური თეატრალური ორიენტაციით, ნატურალური გადაღებების უგულებელყოფთ. 1911 წელს გომინის სახელით ლ. ფეიადმა შემოიღო პროგრამა „ცხოვრების წარმოსახვა ისე, როგორიც არის“. იდეა სხვა ფირმებმაც მიითვისეს. ეს მიმართულება მთელი გულუბრყვილობითა და მელოდრამატიზმით ასახავდა ყოველდღიური ცხოვრების რეალურ კადრებს. აღმოცენდა კინოს ისეთი სახეობაც, როგორიც იყო მიმდინარე მოვლენათა ქრონიკა, 1908 წლიდან გაჩნდა პირველი კინემატოგრაფიული ყოველკვირკველი *“pathé journal”*. იმავე წელს ემილ კოლმა დაიწყო ნახატი მულტიპლიკაციური ფილმების გამოშვება. დიდი წარმატებით სარგებლობდა მრავალსერიანი, სათავეადასავლო ფილმები, რომლებიც ძირითადად პიპულარული დატექტიური რომანების ეკრანული ვერსია იყო. საფრანგეთში ამ მიმართულებას საფუძველი ჩაუყარა ვიქტორ ჟასსემ ფილმით „ნიკ კარტერი“ (1908 წ., ფირმა ეკლერი). თითოეული სერია, ანუ ეპიზოდი, წარმოადგენდა ცალკეული ავანტიურისტული სიუჟეტების წრედს ერთი და იმავე მოქმედი გმირებითა და შემსრულებლებით. ფილმის ეპიზოდები ერთი-ორი კვირის ინტერვალით გადიოდა. თვით სერიალის სრული ჩვენება ხანდახან რამდენიმე თვე გრძელდებოდა.

I მსოფლიო ომამდე დიდი პიპულარობით სარგებლობდა ფილმი „ფანტომასი“ (რეჟ. ვეიდი, 1913-1914). ათიანი წლები მაქს ლინდერის კომიკური ნიჭის აყვავების ხანა იყო, როცა იგი ფრანგული და მსოფლიო კინოეკრანის ვარსკვლავი გახდა. ომამდელ პერიოდში ფრანგულმა კინომრეწველობამ შეუდარებელ აღზევებს მიაღწია. ფრანგული კინოფირმები და მათი საზღვარს გარეთა ფილიალები მსოფლიო მოთხოვნილებათა 90%-ს აკმაყოფილებდა. თუმცა ამერიკულმა კინობიზნესმა გადამჭრელი ზომების მიღება დაიწყო, რათა თავისი ბაზარი დაეცვა. კონკურენტული ბრძოლა გამწვავდა. ომის დაწყებამ ფრანგულ კინოს მძიმე დარტყმა მთაყნა, გზა მოუჭრა საერთაშორისო ბაზრისაკენ. აშშ. კინემატოგრაფიი-

ს ყველაზე მსხვილი ცენტრი გახდა. ამერიკულმა ფირმებმა თავისი მიღების მიზანი პროდუქციის გასაღება დემპინგურ ფასებში საფრანგეთის შიდა ბაზარშიც დაიწყეს. ტექნიკური აღჭურვილობის დონით ფრანგული კინომრეწველობა მნიშვნელოვნად ჩამორჩებოდა ამერიკულს. კაპიტალდაბანდების მოცულობაც ძალზედ მწირი იყო. ასეთ პირობებში ფრანგმა მწარმოებლებმა უკვე შეწყვიტეს საკუთარი ფილმების გამოშვება და ამერიკული ფილმების დაქირავება დაიწყეს. 1920-23 წლებში პათე თავისი ფილმალები დახურა. პათეს პოლიტიკას დიდი წინააღმდეგობა შეხვდა მისივე შექმნილი „პათე კინოკორსუფუმისაგან.“ აღებული იქნა მუშაობის ახალი კურსი, რომელიც ითვალისწინებდა მცირერიცხოვანი, მაგრამ ღირებული ფილმების შექმნას. მაგალითად, „სამი შუშკეტერი“ (12 ეპიზოდი, 1921 წ., რუს. ანრი დიამან-ბერუჟ). მას მოპყვა „20 წლის შემდეგ“ (რუს. ივივე), და სხვა. ამ ფილმების წარმოების მიზნით „პათე კინისორციუმი“ შეუერთდა „კინორომანების“ საზოგადოებას, რომელიც უორუ სპეციალის მიერ გაცილებით ადრე შეიქმნა. 1922 წლისთვის კაპიტალდაბანდებები საკმაოდ შემცირდა. ამ ფილმთა უმრავლესობა რეაქციული იდეების პროპაგანდისთვის გამოიყენებოდა, მაგ, ბონაპარტიზმი და რევოლუციის შედეგების განსჯა ფილმში „არწივთა ავონია“. მიღილტარიზმი და კლასობრივი შერიგება ფილმში „ლარიბა იმპერატორი“ (რუს. ლა პრენსი).

20-იანი წლების II ნახევარში ფირმამ დააფინანსა ისეთი ფართო მასშტაბიანი დადგმები, როგორიცაა: „საბრალონი“ (რუს. აღფრედ ფერური), „მიწეილ სტროვოვი“ (რუს. ვლადიმერ ტუშანსკი), „ნაპოლეონი“ (რუს. აბელ პანსი).

შიდა ეკონომიკურმა გართულებებმა აიძულა ფრანგული ფირმები ფინანსური მხარდაჭერა ქვეყნის გარეთ ეხებათ. ერთნი იმედებს აშშ-ზე ამყარებდნენ (გომონი) – სხვანი გერმანიაზე (პათე კინისორციუმი და ობერი). 20-იანი წლების II ნახევარში გაჩნდა ახალი წვრილი საწარმოები: „პროდუქსონ ფაქ-ბაიკ“, „სტუდიო რეუნი“, „ლე ფილმ ისტორიი“, „ფრანგო-ფილმ“, „ალბატრონი“ (ყოფილი „ერმოლევ-ფილმი“) და სხვა. მათი ძალის შემცირებით ფილმის წარმოებამ თანდათან იმატა, მაგრამ ტექნიკურ-ფინანსური ბაზა მაინც სუსტი რჩებოდა. პერსპექტიულმა ტექნიკურმა გამოგონებებმა, რომელიც სმას, ფერს, ფართო ეკრანულ პროექციას უკავშირდებოდა



(„პეტერგონარის“ სისტემა), პრაქტიკული გამოყენება ვერ პოვა. კეთი იქნა ათვისებული სამმაგი კურანის მცდელობებიც. ა. პანის ფილმში „ნაკოლეჯი“ (1924-1927) მატერიალური ბაზის სისუსტეში შეაფერდა ფილმის ტექნიკისა და დეკორაციის განვითარება, მოუხედავად იმისა, რომ ფილმს თავისი ძალები შესწირეს მხატვარმა ლევ ბერსონმა და არქიტექტორმა რენე მალე-სტივენსმა.

ფრანგული კინოს ისტორიაში 20-იანი წლები გამოიჩინა გასაოცარი წინააღმდეგობრებით, ერთი მხრივ ტექნიკური და მატერიალური სისუსტესა და მეორე მხრივ, შემოქმედებით აქტიურობას შორის. 20-იან წლებში აქტიურად დაიწყო კინონის ფორმირების პროცესი, რომლის პირველი ეტაპიც „კინომპრესიონიზმი“ გახდათ. 1919 წლის შემდეგ კინოს, როგორც ახალ, თანამედროვე ხელოვნებად გარდაქმნისათვის ბრძოლაში გაერთიანდნენ ფრანგული კინოს ახალი თაობის წარმომადგენლები, პირველ რიგში: ლეი დელუკი, აბელ პანი, უერმებ დიულაკი, მიშელ ლე ერბიუ და ს. ენბეტეინი... ეს მიმართულება ცნობილია „პირველი აკანგარდის“, „ანუ „კინომპრესიონიზმის“, სახელით. ამ მიმართულების მნიშვნელოვანი ნაწარმოებებია: „ესანური დღესასწაული“ (რეჟ. უერმებ დიულაკი, სც. ავტორი ლეი დელუკი), „დუმილი“ (1920), „ციებ-ცხელება“ (1921), ორივე ფილმის რეჟ. ლეი დელუკი. „ელდორადო“ (1920, რეჟ. მიშელ ლე ერბიუ), „ბორბალი“ (რეჟ. აბელ პანი), „ულალატო გული“ (1923 რეჟ. ენბეტეინი). ამ ფილმების რეჟისორები სახეშეცვლილი თეორიული დეკლარაციებით გამოდიოდნენ.

ფრანგული კინოს ძვირფას საუნჯეს წარმოადგენს ანდრე ანტუანის ფილმები: „მიწა“ (1920, ეძილ ზოლას მიხედვით), „არლეკინი ქალი“ (1922, აღფონს დოდეს მიხედვით) და სხვა. ეს ფილმები გამოიჩინა ნატურალური გადაღების უტყუარობით, მსახიობების სრულყოფილი შესრულებითა და ლიტერატურული პირველწყაროს სერიოზული დამოკიდებულებით. ფრანგი კინომპრესიონისტები მიისწრავენ იქით, რომ მუნჯი კინ „სუბიექტური ხედვის“ გადმოცემის საშუალებად ექციათ. ზოგიერთი ფილმის უმრავლესობა თხრობით პრინციპებსაც ემყარებოდა და წარმოდგენილი იყო როგორც სანახაობის თვითნებური მონაცვლეობა: „მექანიკური ბალეტი“ (რეჟ. ერნანდ ლეჟე 1924),

„ანტრაქტი“ (რეժ. რენე კლერი, 1924), „სუფთა კინოს 5 წელი“ (რეჯ. ანრი შომეტი, 1926) და სხვა. ბევრი ფილმი თავის თავში ასახავდა კუბიზმის, დადაიზმის, სურეალიზმის გავლენას: „ნიუარა და მღვდელი“, (რეჯ. უერძერ დიულაკი, 1928), „ანდალუ ზიელი ძაღლი“ (რეჯ. ლუის ბუნიუელი, 1928), აგრეთვე კონსტრუქტივიზმის გავლენას: „კოშკი“ (რეჯ. რენე კლერი, 1928).

„სუფთა მოძრაობისა“ და „მუსიკა თვალთათვის“ პრინციპით უდელუკმა სცადა შექმნა აბსტრაქტული ფილმები: „ფირფიტა“ (1927), „თემა ვარიაციები“ (1929). ყველა ეს მცდელობები „ქორე ავანგარდის“ გამოძახილი იყო, თუმცა იგი ასოციალური და მაყურებელთა ფართო მასას მოწყვეტილი იყო. ათწლეულის დასასრულს ნოვატორ რეჟისორებს შორის გაჩნდა ინიციატივა სოციალური და ცხოვრებისეული სინამდვილის ცალკეულ მხარეთა ასახვისა: „ვასეიონება შუა ზღვაში“ (რეჯ. გრენიონი, 1926), „რეიდ ზე“ (რეჯ. ალბერტ კავალკანტი, 1927), „ზონა“ (რეჯ. უორე ლაკომბი, 1928), „ნიცას გამო“ (რეჯ. ფან კოგო).

იყენებ რეჟისორებიც, რომლებიც ცდილობდნენ, თავი დაუღწით კომერციული რუტინისათვის და იმავდროულად გაეთვალისწინებინათ ფართო მაყურებლის ინტერესები. ისინი ქმნიდნენ სრულფასოვან, ცხოვრების რეალისტურ-მხატვრულ სურათებს. ამ რეჟისორთა რიცხვს მიეკუთვნებიან: ფაკ უკლერი („კრებკებილი“), მაშელ ლერმიუ („განსკენებული მატიას პასკალი“, 1925), „ასანთის გამირველი პატარა გოვონა“, 1928), რენე კლერი და ა. შ.

20-იანი წლებისათვის საფრანგეთში ჩამოყალიბდა დამოუკიდებელი, კორექტული კინოკრიტიკა, ამუშავდა კინოკლებები, რომლებიც მსოფლიოს საუკეთესო კინომიწევების პროპაგანდას ეწეოდნენ და ხელს უწყობდნენ მის განვითარებასა და წინსვლას. 20-იანი წლების ბოლოს მუნჯი კინო მზად იყო, ასპარეზი დაეთმო ხმოვანი კინოსთვის.

### გამოყენებული ლიტერატურა:

1. С. И. Юткевич Киноенциклопедический словарь, 1986.
2. Dictionnaire du cinéma, 1986.
3. Dictionnaire du cinéma, 1986.

## ნატო ვაჩნამე ივანე ავრამსტიანის ფილმი „სამი სიცოცხლე“

„მამის მკვლელზე“ მუშაობის დასრულების შემდეგ ნატო ვაჩნაძე ივანე პერესტიანმა ერთდროულად ორ სურათში მიიწვია სათა-მაშოდ. ეს იყო „სამი სიცოცხლე“ გიორგი წერეთლის რომანის „პირველი ნაბიჯის“ მიხედვით და „ტარიელ მკლავაძის მკვლელობის საქმე“, რომელსაც საფუძვლად დადო ეგნატე ნინოშვილის „ჩვენი ქვეყნის რაინდი“. რეჟისორმა ნატოში დაინახა ემოციური და მოაზროვნე მსახიობი. ასე რომ, დღის პირველ ნახევარში ნატო ვაჩნაძე ესმას როლს ასახიერებდა „სამ სიცოცხლეში“, მეორე ნახევარში კი – დესანის „ტარიელ მკლავაძის მკვლელობის საქმეში“.

ამჟამად „სამი სიცოცხლე“ და მასში ნატო ვაჩნაძის მიერ ესმას განსახიერებული როლი განვიხილოთ.

„ფოთელ ვაჭარს ბახვა ფულავას შეუევარდება ღარიბი მკერავი ქალი ესმა და ცოლად შეირთავს მას. მოქეიფე და უქნარა იერემია წარბას ეწადა ესმას ხელში ჩაგდება და რაკი ნებით ვერ დაითანხმა, გაიტაცა იგი. მაგრამ მდევრები საშუალებას არ აძლევდნენ იერემიას, საწადელი აისრულოს. ბახვა სასიკვდილოდ დაჭრილ ესმას ტყეში იპოვის. ცოლის სიკვდილის შემდეგ ბახვას ცხოვრება აირევა, ხელს მიჰყოფს ლოთობას, ახლა ერთადერთი მიზანი აქვს – შერი იძიოს იერემია წარბაზე.“

ესმას მოკვლის შემდეგ იერემიამ თავი შეაფარა ნათესავ ქალს ვალიდას, რომელიც დიდი გავლენით სარგებლობს „მაღალ“ საზოგადოებაში. ლამაზი და ცბიერი ვალიდა თავბრუს ახვევს მდიდარ მოხუცს პოლკოვნიკ ლებოვს და მისი მეშვეობით ახერხებს იერემიას გამართლებას.

სასოწარკვეთილი ბახვა ფულავა, ამხანაგების დახმარებით შეიპარება იერემიას საძინებელ ოთახში და ხანჯლით კლავს მას. შემდეგ პოლიციაში გამოცხადდება და დანაშაულს აღიარებს“!

ფილმი „სამი სიცოცხლე“ იმდროინდელი ეროვნული კინოს საინტერესო მხატვრულ მოვლენად იქცა. ციტირებული ფილმოგრაფიდანაც (და, ცხადია, ვისაც გიორგი წერეთლის რომანი

აქვს წაკითხული) ნათელია, რომ სრულიად შესაძლებელია უსურიკი რათი რიგით მელოდრამად ქცეულიყო. ესმას, ბახვასა და იერებია წარბას ურთიერთობას მით უმტეს არაქართველი რეჟისორი შეიძლება დაებნია და სანტიმენტალიზმის გზაზე დაეყენებინა. მაგრამ, საბედნიეროდ, ეს ასე არ მოხდა, რადგან ივ. პერესტიანი ჩასწვდა ლიტერატურული პირველწყაროს სათქმელს, ეპოქის სოციალურ მოტივებს და საუკუნადღებოდ მოგვითხრო საქართველოში კაპიტალიზმის შემოჭრის პირველ პერიოდზე. თვით რომანი კრიტიკული რეალიზმის ღირსანიშნავი ნიმუშია, მასში მძლავრად არის ასახული მე-19 საუკუნეში მიმდინარე ფუნდამენტური სოციალური ძვრები. მწერალმა იწინასწარმეტყველა ინდუსტრიული ცივილიზაციის ძალა, ახლად ფეხადგმული ბურჟუაზის ზრდის პროცესი, მან ცხოვრებისეული სიმახვილითა და დრამატული სიმბაფრით დაგვიხატა მოქმედი პერსონაჟები.

როგორც აღნიშნეთ, რომანის მოქმედებას ფართო სოციალური ფონი უდევს. ბატონყმობა ახალი გადავარდნილია, კაპიტალი ფეხს იკიდებს, სწორედ მათ ფონზეა გამოსახული სხვადასხვა სოციალური ჯგუფის წარმომადგენელთა პორტრეტები. უს ყოველივე არავრისმთქმელი იქნებოდა, მკაფიო ეროვნული დამახასიათებელი ნიშნებით რომ არ ყოფილიყო გაჯერებული.

ფორმში კაპიტალმა ფეხი შემოდგა, ბახვა ფულავა არის ერთ-ერთი პირველი ქართველი კაპიტალისტთაგანი. ფეოდალიზმის ნაშთები ჯერ კიდევ ბოგინობს ყოველებაში და სწორედ ბახვასნაირი ადამიანები გამოუტანენ მას სახოლო განაჩენს. ამიტომაც არის, რომ სწორედ მწერლის სიმპათია ფულავასკენ იხრება, მიუხედავად იმისა, რომ კარგად იცის, ის უცოდველი არ არის.

ბახვა ფულავა და ესმა ახალი მშენებარე ქვეყნის ტიპაჟები არიან, იერებია წარბა და ვალიდა — ძველი დროის გადმონაშობები. იერებია წარბა გაღატაკებული ქართველი თავად-აზნაურობის წრიდან არის გამოსული. ეს თაობა ჩვეულ კუდაბზიკობას არ იშლის და გარეგნული რესპექტაბელური ყოფის შენარჩუნებისათვის საეჭვო საქმიანობასაც არ თაკილობს. იერებიაც მრავალ მაქინაციაშია გარეული და აღვირასნილი ზნეობით გამოირჩევა. ის და მისთანები წყალწაღებული არიან და იხერცით უნდათ, ზაგსს მოეჭიდონ, რათა ამით შეინარჩუნონ საზოგადოებაში აღვილი.



ბახვა ფულავასაც კი უნდა თავისი ადგილი წარჩინებული შორის დაიმკიდროს. ის ხომ გლეხთა ფენიდან არის გამოსული. სხვა სოციალური მოთხოვნილებების დამკაიდრებასთან ერთად ფული არისტოკრატთა წრეში მოსახვედრად სჭირდება. გუშინდელი გლეხი დღეს ვაჭრად იქცა. სწორედ ამიტომაც გიორგი წერეთელმა მას რომანში ფულავას გვარი მისცა.

რომანი (და შესაბამისად ფილმიც), უპირველეს ყოვლისა, ბახვას პირად ცხოვრებას გვიხატავს. მას უსაზღვროდ უყვარს თავისი ცოლი — ესმა. რომელია ფულავას ნამდვილი სახე — ის, რომელიც არ ერიდება მუშების ძარცვას სხვადასხვა მაქინაციით (თუნდაც უვარგისი საქონლის შეტყუებით), დაუნდობელი გამოძლვითა და სიხარბით, თუ ის, რომელიც ადამიანურ სითბოს იჩენს დაობლებული ესმას მიმართ?

პირველწყაროს დაწვრილებითმა განხილვამ უნდა გვაფიქრებინოს, რომ სურათის კომპოზიციური წყობა ლიტერატურული წიაღს-ვლებითაა განპირობებული. ბუნებრივი ზღვა ტექსტუალური მასალა რომანისა, უხმო კინოს პირობებში ჩვენამდის ტიტრების საშუალებით მოდის და ხშირ შემთხვევაში მის ხედვით მხარეშიც იჭრება. თუ იმასაც

გავითვალისწინებთ, რომ ჩვენ საქმე გვაქვს სქელტანიან რომანთან და არა რამდენიმე ფურცლიან მოთხოვნასთან, ეს პროცესი ბუნებრივად უნდა მოგვეჩვენოს.

ფილმის მხატვრული იერსახეები და დრამატული სიუჟეტი მაყურებლის წინაშე შლის მთელი ეპოქის სურათს. მიმდინარე მოვლენების საზოგადოებრივი არსი და პერსონაჟთა მოქმედების ფსიქოლოგიური მოტივები განუყოვლად უკავშირდებან ერთმანეთს.

„სამი სიცოცხლე“ პირველი სოციალურ-ფსიქოლოგიური დრამა იყო არა მარტო ქართულ, არამედ მთელ იმდროინდელ საბჭოთა კინოში. ავტორები დამაჯერებლად გვისახავენ იმ სიციალურ და ყოფით ნიადაგს, რომელშიც საზოგადოებრივი ურთიერთობანი და მოქმედება იშლება. პირველივე კადრებიდან ბახვა ფოთის ნავსადგურში სულმოუთმენლად ელოდება გეშს, რომელმაც მისთვის გამოგზავნილი ტვირთი უნდა ჩამოიტანოს. ჩვენთვის ნათელია მთავარი მოქმედი გმირის ინტერესი და მისწრაფებანი. ფილმში ლიტერატურული პირველწყაროსგან განსხვავებით მხატვრული სახეე-

ბი შედარებით გამარტივებულია. იერემიას სახე მექრთამეობას, ბანდიტიზმს, ამორალურობას და ზნედაცემულობას უკავშირდება და პირუტყვის ინსტიქტებში გადადის.

ასეთი ხასიათების სპექტრში რით დაამახსოვრა მაყურებელს თავი ნატო ვაჩნაძის ესმამ? იგი ერთობ უშუალო ემოციების მქონე პერსონაჟია. მის მიერ ჩვენამდე მოტანილი ბედნიერი, უზრუნველი ცხოვრება, თუ მტარვალი იერემიას ცხოველური ინსტიქტის ქვეშ მოქცეული ემოცია ბუნებრივად აღიმება.

მსახიობის სიღამაზეში გასხივოსნებული კეთილშობილება მაყურებლის თანაგრძობასა და სიყვარულს იწვევდა.

„ესმას როლი ნატო ვაჩნაძის უდიდესი შემოქმედებითი მიღწევაა. აქ იგი უკვე დასრულებულ მსახიობად გვევლინება. აღარ არის ის შემოქმედებითი მორცხვობა და გაუბედაობა, რომელიც მსახიობს ნენოსა და ნუნუს როლების შესრულების დროს ახასიათებდა. დაძლეულია პარატის წინ დგომის შიში, რომელსაც მის პირველ სურათებში ვამჩნევთ. რომანის გმირის ღრმა გაგების საფუძველზე ახალგაზრდა მსახიობი ქალი ქმნის ფეოდალური და კაპიტალისტური წყობის ურთიერთ ჭიდილში უსამართლოდ დაღუპულ — შრომის მოყვარე პატარა მკერავი ქალის გულის სიღრმედე ჩამწვდომ, დაუკიწყარ სახეს. ამ ფილმმა ნატო ვაჩნაძეს დიდი კინომსახიობის სახელი მოუპოვა“.<sup>2</sup>

ნატო კი არ თამაშობდა, ეკრანზე ცოცხლობდა ესმას სიცოცხლით, ის იყო ესმას ხორცესხმული ხატება. დღემდე ლეგნდასავით არის მოსული მოარული ამბავი, თითქოს, როცა ეკრანზე იწერებოდა: „გარდაიცვალა პატარა მკერავი ქალი და მასთან ერთად მოკვდა მისი პატარა ბედნიერებაცო“, მაყურებელს ეკონა განსახორციელებელ პერსონაჟთან ერთად ეთხოვებოდა თავად ნატო ვაჩნაძესაც და ამის გამო ცრემლად იღვრებოდა...

მსახიობი ესმას როლში მხოლოდ იმვიათი სიღამაზისა და მომხიბვლელობის მქონე ახალგაზრდა ქალად როდი გვევლინება, არამედ ისეთ შემსრულებლად, რომელიც თავისი გმირის ფსიქოლოგიურ არსებ ჩასწვდა. მას, როგორც არავის, ეხერხება უმახვილესი შინაგანი განცდის გამოსახვა მინიმალური გარეგნული საშუალებებით.

„სამ სიცოცხლემდე“ ნატოს პოპულარობასა თუ მის ღვთაე-



ბრივ სილამაზეს მიაწერდნენ, ესმას როლმა ყველა დაარწმუნა, რომ კინოში მოვიდა არა მარტო კარეგნულად მომხიბლავი ქალი, არამედ საოცარი შინაგანი მშვენიერებისა და დიდი შემოქმედებითი პოტენციის მქონე მსახიობი.

ფილმში ნატოსთან ერთად მეტად მნიშვნელოვანი სამსახიობო ანსამბლი შეიკრიბა. უპირველს ყოვლისა, აღსანიშნავია ბახვას როლში თეატრისა და კინოს შესანიშნავი ოსტატი მიხეილ გელოვანი. მის მიერ განსახიერებული პერსონაჟი სრულ წარმოდგენას იძლევა საქართველოში კაპიტალიზმის შემოჭრის პირველ პერიოდში წარმოშობილ ვაჭარზე, რომელმაც ეს-ესაა გლეხური ჩოხა გაიხადა და თავისი ცხოვრების მიზნად ფულის მოგება და გამდიდრება დაისახა. გელოვანის ბახვა, ეს ნამდვილი ვაჭარი, სხვისი მოტყუების ცდაში მყოფი ადამიანი, მოკლებული არ არის ზოგიერთ ღირსებას, თბილ გრძნობებს, სიყვარულის უნარს. მსახიობი ოსტატურად მიმართავდა კინემატოგრაფის სპეციფიკურ საშუალებებს, რათა როლისთვის განსაკუთრებული აზრი და ემოციურობა მიენიჭებინა. ბახვას შინაგანი სამყარო ლიტერატურული პრივალენტარის შესავერისი გულმოდგინებითა და სიცხადით წარმოადგინა მსახიობმა. სახის ასეთი გაგებით კიდევ უფრო გამოიკვეთა ბახვას ტრაგედია.

იერემია წარბას შესასრულებლად პერესტიანმა მოიწვია დიმიტრი ყიფუანი, რომელსაც არაფერი პქონდა საერთო ხელოვნებასთან, მაგრამ თავისი გარეგნობით ძალიან უხდებოდა ამ როლს. ურცხვი გამომეტყველებით იგი იერემია წარბას ერთობ პრიმიტიულ ნატურას და სულიერ დეერადინებას კაღმოსცემდა.

სამსახიობო ტანდემი შედგა. მსახიობები პარმონიულად მოერგნენ მთავარ როლებს. ბუნებრივია, ეს შეუმჩნეველი იმდროინდელ პრესას არ დარჩენია: „...თქვენ გავიწყდებათ, რომ ეს მხოლოდ კიოსურათია. გერმენებათ, თითქოს თქვენ წინ გაცოცხლდა მომხილელი რომანი. ამ, პირველი მთაცემდილება... დაძაბულად აღევნებთ თვალყურს მოქმედებით დამუხტულ „სამი სიცოცხლის“ კადრებს და მისი ცხოვრებისეული, თანამედროვე დინამიკის გვერდით ადამიანის გაშიშვლებულ სულს ხედავთ. სურათი მართალი, ფსიქოლოგიური დრამა, მხატვრული კინომანია“.<sup>3</sup>

გაზეთი „საქართველოს კინო“ იმავე წლის 13 დეკემბერს წერდა (ავტორი ვასილ იგნატოვი): „ნატო ვაჩნაძის შემოქმედების

ორიგინალობა და თავისი ბურება მდგომარეობს იმაში, რომ მას, როგორც არავის, ეხერხება უღრმესი და უმახვილესი შინაგანი განცდის გამოსახვა მინიმალური გარეგნული საშუალებებით. საქართველოს კინომრეწველობამ მოგვცა ნატო ვაჩნაძის სახთ შესანიშნავი კინო-არტისტული ძალა და თუ ეს ფრიად ნიჭიერი მსახიობი ქალი არ მიაძინებს თავის ნიჭს უკვე მიღწეულ დაფინის გვირგვინებზე და შეუწყვეტლად იმუშავებს ახალი შესაძლებლობების მისაღწევად, უთუოდ იტყვის მომავალში გაღრმავებულ-რეალისტური კინოშემოქმედების ახალ სიტყვას“.<sup>4</sup>

მსახიობის ქებას განაგრძობს უურნალი „ჩირაღდანი“: „ნატო ვაჩნაძეს სურათში ქართველ ვერა ხოლოდნაიას უწოდებენ. ჩვენ კინოს შეუძლია, მარტო ამ მსახიობის აღმოჩენით იამაყოს. რამდენ გრძნობას და გულგრილობას აქსოვს იგი “პატარა მკერავ ქალს” როლში. მისი ესმა მიმზიდველი და მომხიბვლელია როგორც ახლად გაშლილი ყვავილი. დამთავრებულია მისი ღიმილი. მსახიობი თავიდანვე იპყრობს მაყურებლის გრძნობას და თავისი ბეჭნიერების ყველა ხეეულში ატარებს მათ“.<sup>5</sup>

უურნალ „თეატრსა და ცხოვრებაში“ გამოქვეყნდა კაიუს კელის (ეს ფსევდონიბია ამ უურნალის გამომცემელ იოსებ იმედაშვილის ვაჟისა – გაიოზ იმედაშვილისა, რომელიც შემდგომში ცნობილი მკვლევარი, ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი გახდა) სტატია. რეცეზზენტი მოკლედ მოგვითხრობს საქართველოში კინოხელოვნების განვითარების შესახებ, ხოლო ფილმი „სამი სიცოცხლე“ მას მიაჩნია ქართული კინოს უდიდეს გამარჯვებად. იგი ხაზს უსვამს რეჟისორ ივ. პერესსტანის შემოქმედებით ნიჭს და განიხილავს თითოეული მსახიობის თამაშს. ნატო ვაჩნაძეზე იგი წერს: „... დიდი ტალანტის მქონე მსახიობია, რომელსაც აქვს კინომსახიობის ყველა მონაცემები, მხოლოდ ესაჭიროება თავისი ცოდნის გაღრმავება და განმტკიცება“.<sup>6</sup>

საერთო აღფრთოვანებას გაზეთი „კომუნისტიც“ უერთდება: „ცენტრალური ფიგურა ნ. ვაჩნაძეა. მომხიბლავი ღიმილი, წარმტაცი თამაში, სევდა ნაზი. არც ერთი ზედმეტი უესტი, არც პოზა. შეუძლებელია მსახიობი ქალის შემოქმედებითი სიფაქიზის გადმოცემა. მსახიობმა მოგვცა ახალი ფერები, გაშალა თავისი თამაშის მრავალფეროვნება“.<sup>7</sup>

ამ ძველი რეცენზიების ფონზე საინტერესოა ერთი პუბლიკაცია, რომელიც ამ ორმოციოდე წლის წინ გაზეობა „ლიტერატურულმა საქართველომ“ გამოაქვეყნა. საქმე ისაა, რომ კინოსტუდია „ქართულმა ფილმმა“ 1966 წელს „სამი სიცოცხლის“ აღდგენა გადაწყვიტა. როდესაც მოიძიეს, აღმოჩნდა, რომ იმ მომენტისათვის ფილმში მონაწილე მსახიობთაგან მხოლოდ დიმიტრი ყიფიანი იყო ცოცხალი. რედაქციამაც არ დააყოვნა და თავისი კორესპონდენტი დოდო ზურაბიშვილი აფრინა ყიფიანის ბინაზე. აი, რას იგონებს მსახიობი: „— თუ კი მე დღეს ხალხი მიცნობს როგორც კინომსახიობს, ეს მხოლოდ ი. პერესტიანის წყალობაა... 1923 წელს დასი მახარაძეში „სამ სიცოცხლეს“ იღებდა. ჩემ გმირს — იერემია წარბას უნდა მოეტაცნა ნატა ვაჩნაძის — ესმა. საჭირო იყო კარგი გაწვრთნილი ცხენი. მე ცხენს მოვახტი, ნატა ავიტაცე, მუხლებზე გადავიწვინე და ცხენი მოსწყდა ადგილს. ნატამ საშინელი კივილი გააბა, ცხენი რაც ძალი და ღონე პქონდა მიპქოდა. ნატა უფრო კიოდა. ცხენი მიურინავდა, ნატა უცებ გაჩუმდა, ცხენიც შეჩერდა. გულშეწუხებული ნატა ძირს გადმოიღეს. უნაგირის ზურგზე წელი სტკივლა და და ნატა სიმწრით კიოდა, ოპერატორმა და რეჟისორმა ეს კივილი როლში შესული მსახიობის შემოქმედებით კივილად მიღეს, ხოლო ცხენმა კი, რომელიც მიჩვეული იყო კივილზე გაჭრილიყო და წინ არავინ გაეშვა, თავის შეგულიანებად მიიღო და თავდავიწყებით გარბოდა...“<sup>8</sup>

ნატო ვაჩნაძე საქმაოდ ვრცლად და დაწვრილებით მოგვითხრობს „სამი სიცოცხლის“ გადაღების ამბავს. ჩენ მხოლოდ ერთ ამონარიდს მოვიტანთ: „პირველი ორი სურათის გადაღების დროს უმთავრესად ვთამაშობდი როლს საკუთარი შეგრძნებით. ამ სურათში კი უკვე შევხვდი რეჟისორს, რომელიც გადაღების დროს განწყობილების შექმნას ახერხებდა, მსახიობს ამა თუ იმ როლის თუ სცენის ხასიათსა და მის შინაგან შინაარსს უხსნიდა. პირველად მისგან გავიგე, თუ როლის შესრულების დროს რა მნიშვნელობა აქვს მსახიობის მდგომარეობას, თუ ყოველ სცენაში თავს როგორ გრძნობს იგი... ესმას პკლავს თავადი იერემია წარბა, რომელმაც დაარღვია პატარა მკერავი ქალის მყუდრო ცხოვრება. მე გამიტაცა ესმას გასაოცარმა თავგადასავალმა, მისმა ამაღლვებელმა ისტორიად.“<sup>9</sup>


როგორც უკვე აღვნიშნეთ ნატო ვაჩნაძე ერთდროულად ი.

პერესტიანის ორ სურათზე მუშაობდა. დღემდე უცნობია, რა ყოფილმა ან სხვა აუცილებლობამ გამოიწვია, რომ რეჟისორს ერთდროულად ორ ფილმზე ემუშავა, მაგრამ „ტარიელ მკლავაძის მკვლელობის საქმე“ ამით რომ დაზარალდა ჯჭვგარეშეა. ხოლო „სამი სიცოცხლე“ დღემდე ითვლება ქართული უხმო კინოს ერთ-ერთ წარმატებულ ნაწარმოებად. ბუნებრივია, ამ აღიარებაში ნატო ვაჩნაძის წვლილი განუზომლად დიდია.

### გამოყენებული ლიტერატურა:

1. ფილმოგრაფია, ქართული მხატვრული კინოსურათები, 1916-1975, თბილისი, „ხელოვნება“, 1979 წ., გვ. 13.
2. კ. გოგოძე, ნარკვევები ქართული კინემატოგრაფიის ისტორიიდან, თბილისი, „ხელოვნება“, 1950 წ., გვ. 48.
3. გაზ. „ზარია ვასტოკა“, 1924 წ., 20 ნოემბერი (რუსულ ენაზე).
4. გაზ. „საქართველოს კინო“, 1924 წ., 13 დეკემბერი, №1.
5. უურ. „ჩირალდანი“, 1924 წ., №22, გვ. 8.
6. უურ. „თეატრი და ცხოვრება“, 1924 წ., №17, გვ. 10-11.
7. გაზ. „კომუნისტი“ 1924 წ., 11 დეკემბერი, გვ. 4.
8. გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1966 წ., 22 ივლისი, გვ. 3.
9. ნ. ვაჩნაძე, მოგონებები და შეხვედრები, თბილისი, „ლიტერატურა და ხელოვნება“, 1966 წ., გვ. 33.

# ხელოვნების ვიზუალური



## „ნაციონალისტური ტრაგედია“

იდეოლოგიურ მარწუხებში მოქცეული ქართული სივრცე სოციალური ასლების კოლიფიკაციას, „მჟავე“ რეალობიდან გამომდინარე, სემანტიკურად მწირ და პრიმიტიულ მხატვრულ ენაზე ახდენს. თუმცა მნელია უწოდო ენა პუბლიცისტიკისა და ბულვარული მაკულატურის იმ ნაზავს, რომელსაც თუნდაც თანამედროვე ქართული დრამატურგია თუ თეატრალური პროცესი ეწოდება. მაგ, კ. მარჯანიშვილის თეატრის სცენაზე განხორციელებული გ. ქართველიშვილის „ქაქუცა“. თავად ავტორები საკუთარ ერზაცს „შეთქმულთა საგად“ მითჩნევენ. ჩემი აზრით, „იდეოლოგიურად“ სწორი, გამართლებული იდეური მიმართების მიღმა სერიალის ესთეტიკის სერიოზული ზეგავლენა (მაგ, პოპულარული განქსტერული საგა „ბრიგადა“ და ა. შ.) და საბჭოური პერიოდის რევოლუციის წლისთავისადმი მიძღვნილი სამოყვარულო დადგმების ტრადიცია იკვეთება. ჩვენი თეატრი მაღალმხატვრული დონის დრამატურგით არასოდეს ყოფილა განებივრებული. დღეს კი, როდესაც ეროვნული ცნობიერებისა და კულტურის სტაგნაცია კრიტიკულ ზღვარს უახლოვდება, ეს კრიზისი უფრო მეტად აშკარა ხდება. ხოლო თეატრის, როგორც ეროვნული ტრიბუნის როლი და მისი რევოლუტიურობა, ესოდენ გამჯდარი ჩვენ კულტურულ თუ ისტორიულ მეხსიერებაში, კვლავ არ კარგავს აქტუალობას, ხოლო, სამწუხაოოდ არა სათქმელის მასშტაბურობისა და ფორმის უნივერსალობის ხარჯზე. თითქოს ისტორია მეორდება. 80-იანი წლების მიწურულს ერთი ცნობილი კრიტიკოსი რუსთაველის თეატრსა და ამის ლიდერს ანტიეროვნულ სულისკვეთებაში ადანაშაულებდა, რათა ეს უკანასკნელი უ. შექსპირისა და ბ. ბრეჰტის დრამატურგიაზე აკეთებდა აქცენტს. დღესაც, თუკი ზერელედ გადავხედავთ უკანასკნელი წლების თეატრალურ პროცესს, აშკარაა, რომ „გოდოს მოლოდინში“ თუ „მტრის ნიღაბი“ ბევრად უფრო ნაყოფიერი გამოდგა სათქმელის ზეპოლიტიკური განზოგადოებისათვის ვიდრე ეროვნული დრამატურგის ერზაცები. ეპოტაჟი, ეპოქის თანადროული იდეოლოგიური კლიმები, პოლიტიკური თუ მხატვრული ანგაუირება ესოდენ სახასიათო თანამედ-



როვე თეატრალური პროცესისათვეს ჩემში პირადად არა პოსტმოდენული, არამედ სოცრეალისტური ესთეტიკის ასოციაციებს ბადებს. თუმცა სპექტაკლის პოლიტიკური ანგაუირება პოსტმოდენული თეატრის კრიტიკოს მახასათვებელსა, მხატვრულობისა და იდეოლოგის ოპოზიცია დასავლურ თეორიულ აზროვნებაში განსხვავდებულია, ანუ, ღომინანტურ (იდეოლოგიურ თუ მედიურ) დისკურსს უპირისპირდება, რითაც მასობრივი ცნობიერების სტერეოტიპიზაციას ეწინააღმდეგება. პოსტმოდენული დრამა და თეატრი რეალობის მედიური მისტიფიკაციის ანტითეზაა. ჩვენთან კი უმთავრესად სწორედ მედიური დისკურსის ერთგვარი ანალოგი და გაგრძელებაა, ხოლო სოცრეალიზმისგან განსხვავებით ერთგვარ სიღრმესა თუ ფსიქოლოგიურ დამაჯერებლობასაა მოკლებული. მსოფლიო თეატრსა და ლიტერატურაშიც გარკვეულწილად პრიმიტივიზაციისა თუ იდეოლოგიური ანგაუირების ნიშნები იყვეთება. ფორმალისტი ჰ. პინტერი თავის მხატვრულ ინტენციებს უმთავრესად პრაგმატიკის სფეროში ახორციელებს. თანამედროვე პოლიტიკანიურა-ანტიგლობალისტური მიმართება შესაძლოა ნობელის პრემიის საფუძველიც გახდეს.

დასავლურისაგან განსხვავებით ქართველ შემოქმედთა ამბიციები ვიწრო ეროვნულ ნატურალისა და ყოფით რეალიებს ვერ გასცდა. აგრეთვე რუსულ-საბჭოური მოთოლოგებიცაა აქტუალიზირებული და თავად წარსულისაგან თავის დაღწევის, განთავისუფლების ფაქტი ეჭქვეშ დაება. ეს გარემოება სოციალურ სივრცეზე სათანადოდ აისახება. საზოგადოების ერთი ნაწილი დიქტატორზე ოცნებობს (სტალინის რეინკარნაციას ნატრობს), მეორე კი ე. წ. „უძრაობის ხანისადმი“ ერთგვარი ნოსტალგიითაა განმსჭვალული. აკი სერიალი „ორი ბედი“, რომელიც სწორედ ამ ეპოქის მანერებია სტილიზებული ძალზე რეიტინგული გამოდგა. ვაცნობიერებულად თუ გაუცნობიერებლად ჩვენ კვლავ რუსულ-საბჭოური კულტურული იდეოლოგიური დისკურსის გავლენას განვიცდით (ეს გარემოება არ ვრცელდება მსოლოდ იმ ფენაზე, რომელთაც სხვადასხვა მიზეზთა გამო ენა არ იციან. და კიდევ, უფრო მძაფრად დგას საკითხი ე. წ. დაკარგული ტერიტორიიებთან დაკავშირებით, სადაც ენობრივი და კულტურული ბარიერი ჯერ კიდევ იფიციალურ გამიჯვაამდე არსებობდა).

90-იანი წლების მიწურულიდან მოყოლებული ქართველი ერი

არასტაბილურ სოციოპოლიტიკურ გარემოში ცხოვრობს. რაც შემდეგ ეხება საბჭოურ წარსულს, იქ დარჩა სტაბილური ხელფასი თუ სოციალური გარანტიები, გავლენიანი მეგობრები თუ მშობლები და საერთოდ, ცხოვრება მეტად „საამური“ იყო. დღეს კი, მას (სოციალურ აგენტს) გამუდმებით უხდება ბრძოლა არსებობისა და თვითდამკვიდრებისათვის. აღარაა ე. წ. ისტებლიშმენტისათვის კუთვნილი პრივილეგიები. ადრე ჩემი უბანი ვაკე პრესტიულად ითვლებოდა. თუმცა თბილისის სხვა უბნები ბევრად უფრო ძვლი და ისტორიულია, მაგრამ აქ ხომ ე. შევარდნაძე და პოლიტიკუროს წევრები ცხოვრობდნენ. დღეს ეს ინერციით გრძელდება და „ვაკის ინტელიგენცია“, როგორც ცნება კვლავაც აქტუალური რჩება. თუკი ადრე გარკვეული პრივილეგიებით ე. წ. „შეოთხე სამმართველოს“ კონტიგენტი სარგებლობდა, დღეს ერთადერთ პრივილეგიას ფული წარმოადგენს. და კიდევ, თვალ ინტელიგენციის ცნება, როგორც ასეთი, რევრესულია და შესაძლოა, ჩვენი სოციალური სივრცის ჩამორჩენილობის ერთ-ერთი მიზეზიც იყოს. გავიხსენოთ მ. მამარ-დაშვილის ცნობილი ფრაზა: „ინტელიგენციის არახალხურობა“ და „განათლების არახალხურობა“, ანუ, ის უფსკრული, რომელიც XIX საუკუნიდან მოყოლებული რუსულ-ქართულ სივრცეში არსებობდა და არსებობას განავრძობს.

აქვე შევეცდები გარკვეული ფილოსოფიური კონცეპტების ტრანსპონირებას თანამედროვე რეალიებსა და კულტურულ პროცესზე. ორიენტალიზმი XX საუკუნის კულტურული ცნობიერების ერთ-ერთი ძირითადი კონცეპტია, ეს იყო „კოლონიალური კომპლექსის“ მიერ ინსპირირებული ინტერესი აღმოსავლური ფილოსოფიის, რელიგიისა და კულტურისადმი. ჰეგელი „ისტორიის ფილოსოფიის ლექციებში“ ორიენტალიზმზე დაუუძნებულ ისტორიზმის კონცეფციას აყალიბებს: მსოფლიო ისტორია მომდინარეობს აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ, რამეთუ ევროპა ისტორიის დასასრულია, ხოლო ორიენტი (მისი) საწყისი... აქ (აღმოსავლეთში) გარეგანი, ფიზიკური მზე ამოდის, დასავლეთში კი ჩადის; აქ თვითშემცნების მზე ამოდის და თავის ამაღლებულ ნათებას ასხივებს...“! ორიენტალიზმი XIX საუკუნის ევროპელ ინტელექტუალთა ცნობიერებაში რუსული რევოლუციითაც იყო მანიფესტირებული. ექსპრიმენტმა არ გაამართლა. სოციუმმაც საგრძნობი სახეცვლა განიცა-

და. გლობალიზაციის ეპოქამ ორიენტაციზმს ახალი შინაარსი მთაბერა. აღმოსავლეთი ერაყი, ავღანეთი, ირანი ჩინეთისა და იაპონიის გამოკლებით, სადაც პოლიტიკურ-ეკონომიკური სისტემა მოდერნიზებულია და ისლამური ფუნდამენტალიზმისაგან განსხვავებული რელიგიური საფუძველი არსებობს, სერიოზულ საფრთხეს უქმნის დასავლურ ცივილიზაციას. აღმოსავლური სამყაროს რევანში მესამე ათასწლეულში ნაწილობრივ გაცხადდა (თუნდაც დემოგრაფიული უპირატესობის ხარჯზე) დღეს, დასავლური ფსევდორიენტაციზმის ინვესტირების არეალს ყოფილი საბჭოთა კავშირისა და სოციალისტური ბანაკის ქვეყნები წარმოადგენს. ქართული სივრცე „ვარდების რევოლუციის“ შემწეობით ერთგვარ ორიენტაციების „ვარდების რევოლუციის“ შემწეობით ერთგვარ ორიენტაცია იქცა. მედიური ეპოქა „ფასეულობათა ინვესტირების“ ახალ პორიზონტებს სახავს „ჩვენ CNN -ზე ვართ“, — დღესაც ჩამესმის აღტკინებული ლიდერის ნარცისიზმით აღსავსე სიტყვები და ჩვენც „რევოლუციის ექსპორტისა“ თუ ერაყის კომპანიაში შეტანილი „წვლილის“ ხარჯზე კაცობრიობის წინაშე ვაღმოხდილნი წარმოვჩინდებით. ასე რომ, საქართველოს გლობალიზაციის ეპოქის ორიენტი თამამად შეიძლება ეწოდოს.

უაკ დერიდას „ყოფნა – შენებაშია“ (ჰაიდეგერისული „ყოფნა – როგორც – ყოფნას“ ანტითეზა) კარგად ესადაგება ქართული სულის სწრაფვას მონუმენტალური კიჩისადმი. თუკი სტალინური არქიტექტურა და მონუმენტური ხელოვნება ფსიქოლოგიური პრე-სის საუკეთესო საშუალება იყო, ახალი ქართველი კანდიდი სტალინური კოოქის მასშტაბებს ვერ გასწვდა. სტრატეგიამ „ყოფნა – შენებაშია“ სახეცვლილება განიცადა. პარკები და შადრევნები სახ-ელმწიფობრივი შენების განუყოფელ ატრიბუტად იქცა და რაც მთავარია, სოციალური სივრცის კარნავალიზაცია კარგად მოერგო ქართველი ერის ინფანტილურ ბუნებას.

სოციოკულტურული იდენტურობის ორი ძირითადი ფაქტორი ანალიტიკური აზროვნება და რელიგიაა. ვინაიდან ჩვენში აკადემიური დისკურსი, როგორც ასეთი, თითქმის არ არსებობს, შევქრდებით რელიგიურობაზე, უფრო ზუსტად – „მრევლობანაზე“. ამ მოვლენას არავითარი კავშირი არა აქვს აღმსარებლობასთან. სერგო რატიანი მუსლიმანური მართლმადიდებლობის კონცეპტს აყალიბებს, რის მიხედვითაც ქართველთა რელიგიურობა ფუნდამეტალ-

იჩმის ნიშნებს ატარებს ანუ სოციოლოგიური გამოკითხვების თანახმად მად მორწმუნეთა დიდი უძრავლესობა თავს მართლმადიდებელ ადამიანად თვლის, მაგრამ რეალურად საერთოდ არ იცნობს ამ სწავლებას. ეს „რწმენა“ ისტორიულ-კულტურული მეხსიერებითაა მოტივირებული. ამოქმედებულია შემდეგი მექანიზმი: ჩემი მამა, ბაბუა და ა. შ. მართლმადიდებელი იყვნენ და მეც ქრისტიანი ვარ!... სწორედ აქ იკვეთება ფუნდამეტალიზმის ნიშნები.

ჩემი აზრით, სხვა ფაქტორებაც ითამაშა გარკვეული როლი. XIX საუკუნის მიწურულამდე სეკულარიზებული ხელოვნება და ლიტერატურა ვერ ახდენდა მასობრივი ცნობიერებისა და სოციალური სივრცის დეტერმინირებას. პლანეტის მოსახლეობის მხოლოდ 3% (საუნივერსიტეტო განათლების მქონე ფენა იგულისხმება) ახერხდა ლიტერატურული თუ სხვა სახის ტექსტების ატრიბუტირებას. რელიგია და ეკლესიის ინსტიტუტი სწორდებული განანათლებლურ ფუნქციას ასრულებდა. წერა-კითხვის საგალდებულო გავრცელებას მოჰყვა მასობრივი კულტურის (ბულვარული ლიტერატურა, პრესა) კულტივირება. თანდათანობით მასკულტურამ ჩაანაცვლა რელიგია მასობრივ ცნობიერებაში. ქართული სივრცე გარკვეულწილად არქაული კულტურის მოდელზეა ორიენტირებული. ჩვენში იდეოლოგიური, მენტალური თუ სხვა მიზეზების გამო არ არსებობს სრულფასოვანი მასობრივი კულტურა. შესაძლოა, ამიტომაც ერთს სოციოკულტურული ინდენტიფიცირება რელიგიურობასთან მიმართებაში სორციელდება.

ამ უკანასკნელს კი სერიოზულ კონკურენციას პოლიტიკა უწევს. მასების პოლიტიზაცია ცნობიერებისა და ყოფის ტოტალური დეინდივიდუალიზაციისკენ მიმართული ყველაზე „წარმატებული“ პროექტია. ფრაგმენტირებული და დეცენტრირებული სუბიექტი ისტელიშენტის ენით აღაპარაკდა, რაც მდაბიო ინსტიქტების სუბლიმაციათაც შეიძლება ჩაითვალოს. ერთმა თეორეტიკოსმა ამ მოვლენას ‘ტექტურბაცია’ უწოდა. იგივე ეს სუბიექტი მასობრივი სხეულისადმი ნოსტალგიით გამსჭვალული ლიდერის სახეში პოულობს განსხვეულებას. ცივილიზაციებულ სამყაროში კონფენსიონალურ-კათარზისტული კომუნალობის ფუნქციას მასკულტურა ითავსებს. (ბოლო დროს განსაკუთრებით გაიზარდა რეალიტყ და ტალკ სპონტ-ს როლი, ხოლო ლიტერატურაში ნონფიცტიონ ჟანრი დომინირებს).



ამ სახის სამამულო ერზაცები კონკურენტუუნარონი აღმოჩნდება იდენტურობის სხვა ფორმები და მათი ასიმილირება მოახდინა. ეს პროცესი, ჯერ კიდევ გასული საუკუნის 20-30-იან წლებში დაიწყო, როდესაც გლეხობაში გარკვეული ცნობიერების ინსპირირება და მასობრივი რეპრესიები მოხდა. პროგრესისტულ პროცესებში ჩაბმული ეს კლასი საკუთარ იდენტურობას საბოლოოდ გამოემშვიდობა. ქართულ სინამდვილეში ეს პროცესი უფრო მახიჯ ფორმას იღებს. ქალაქი გახდა „მომუშავე მხეცის“ (ჰაიდეგერის ტერმინია ანუ, ადამიანი, რომელმაც საკუთარი ჭეშმარიტება დაკარგა) ერთადერთი თავშესაფარი. ვაჭრობა ბევრად მასაღები გახდა, ვიღრე მიწაზე მუშაობა. და კიდევ ერთი, ყველა პროგრესული სოციოლოგიური ოეორია საშუალო ფენას არა შემოსავლით, არამედ კრეატიულობით საზღვრავს. ამ კლასიფიკაციის მიხედვით, სახელმწიფო სტრუქტურებში დასაქმებული ხალხი უმცირესობას უნდა შეადგენდეს. ესაა ფენა, რომელსაც არ შეუძლია ქონდეს საკუთარი ბიზნესი (ინტელექტუალური შრომით მოიპოვოს სოციალური თუ მატერიალური სტუდიები). საქართველოში კი დასაქმების ყველაზე მსხვილი სეგმენტი სახელმწიფო სტრუქტურებია (?!)...

ტელე-კინო სიერცეში ჩემთვის ყველაზე „ლირებული“ ლ. თუ-თბერიძე – ა. მორჩილაძის „ქალაღდის ტყვია“ გამოდგა. ფილმის რემინისცენტული მიმართება თუთბერიძეს პირველ ქართველ პოსტ-მოდერნისტ რეჟისორად აქცევს (იმ დროს, როდესაც ამ უკანასკნელმა საკუთარი თავი სრულიად ამოწურა და კულტურის ხრწნის სინონიმად იქცა). ქართველი მაყურებელი, სამწუხაროდ, „მოუმზადებელი“ აღმოჩნდა „ნოვატორული“ კინოენის დეკონსტრუქციისათვის. ერთ-ერთმა ობივატელმა ისიც კი შემომჩივლა, რომ ეგონა დისტანციური მართვის პულტეს უნებლიერ ხელი დააჭირა. მე კი იმითაც დავკმაყოფილდი, რომ გამოსახულების ხარისხი (ტექნოლოგიური თვალსაზრისით) უჩვეულოდ მაღალი იყო და კიდევ, მსახიობები ე. წ. second hand-ის ტანისამოსში არ იყვნენ გამოწყობილნი.

აქვე მინდა აღვნიშნო, რომ მორჩილაძე-თუთბერიძის ტანდემი ფინანსურად გამართლებული, შემოქმედებითი თვალსაზრისით არ შედგა (უკვე მეორედ). ა. მორჩილაძის პროზის სპეციფიკური

ირონიული მოდუსი რეალობის კომპრომეტირებისკენაა მიმართული და „მკვდარ რეალობას ცოცხალი ტექსტის“ მითოლოგებით ანაცვლებს. პაროდიის რერულიცირებული ფორმა კი მასობრივ ცნობიერებაში ატრიბუტირებული სამყაროს სურათის დისკრედიტაციას ეწევა. პოზიტივისტების მიერ ისტორიის სანაგვეზე გარიყელი მეტაფიზიკა პოსტმოდერნიზმში (კერძოდ, აკა მორჩილაძესთანაც) ტექსტის ორგანული სტრუქტურული ელემენტია. ლევან თუთერიძე, პოსტსაბჭოური ქართული კინოს ტრადიციების გათვალისწინებით, აქცენტს თემატიკაზე აკეთებს და ახდენს არა მწერლის პოეტიკის, არამედ ფორმის კოპირებას. თუთერიძის სააკტორო მითოლოგია კვლავ ძველბიჭობის ინსტიტუტს უკავშირდება. იქმნება შთაბეჭდილება, რომ ქართველ რეჟისორებს სერიოზული მენტალური პრობლემები აქვთ (მათ შორის ყველაზე გამორჩეულად ნიჭიერ გიო მგელაძესაც, რომლის „ჩემი თვითმფრინავიც“ ამას ადასტურებს). მათვის დრო თითქმის გაჩერდა. „აფხაზეთისა“ და „მხედრიონის“ კომპლექსი ჯერ კიდევ აქტუალურია. დრო შეიცვალა. დღევანდელი სოციუმისათვის (მათ შორის მოზარდეთათვის) ბურუჟიული კეთილდღეობის „წარმატებული“, „მემდგარი“ ადამიანის მითოლოგება აქტუალური. რატომ უბრუნდება ჩვენი ეკრანი სოციალური ქმედების ძველ მოდელებს? რატომ ხდება ხელახლა ძველბიჭური ცნობიერების ინსპირირება?

ე.წ. ქალაქური მენტალიტეტის მანიფესტირება – უბანი, კლასი, საბმო, ეს რეჟისორისათვის იმავე დატვირთვის მატარებელია, როგორც ციცერონისათვის რომი – („რომი – ჩემი ოჯახია“). ამ შემთხვევაში ვერა რომის ტოლფასია. ეს იმის მანიშნებელია, რომ თბილისში ქალაქის კულტურა არაა. ანონიმურობა, როგორც ასეთი, აქ არ არსებობს. თითოეული ფილმის გმირი ერთმანეთის კლასელი და მეგობარია. ერთგვარი მოჯადოებული წრის (სივრცის) შთაბეჭდილება იქმნება, საიდანაც თავის დაღწევა შეუძლებელია. ასე რომ, თბილისი ერთი მოზრდილი სოფელია და მისი ცივილურობა მხოლოდ შარდენითა და ბენდუქიძის აუზით არ განისაზღვრება.

სალომე ჯოგლიძის სადიპლომო ფილმი ერლომ ახვლედიანის ამავე სახელწოდების მოთხრობის მიხედვითაა გადაღებული. მიუხედავად ამისა, კინოენა, როგორც ასეთი, ნარატიული სტრუქტურის დამხმარე ელემენტად არ იქცა. ახალგაზრდა ავტორი



„ჩვენებისა“ და „თხრობის“ დიქოლიმიდან გამომდინარე აქცენტს არა დრამატულ, არამედ ხმოვან-ვიზუალურ რიგზე აკეთებს. რე-ჟისორი ე. წ. ფენომენოლოგიურ (ძროისა და სივრცის ტოპოლო-გია; ვიზუალური ფაქტურა; ხმოვან-აკუსტიკური დიზაინი) ფაქ-ტორებზე დაყრდნობით ახდენს ეკრანული სივრცის კონსტრუირებას. ფილმი უხმო კინოს მანერაშია სტილიზებული. ერთმანეთში გარდამავალი სიუჟეტი-სტილი ზედმიწევნით პირობითი ენის მეშ-ვეობით რეალიზდება. (მსახიობური პლასტიკითა და ნიღბებით დაწყებული ცალკეული დეტალებით დამთავრებული, მაგ, სარეცხ-ის თოკზე მოარული „გრძნობები“ და ა. შ). იმავდროულად შავ-თერ გამოსახულებასთან აპელირება ფილმს ინტიმურ, ადრეული კინემატოგრაფისთვის სახასიათო სამყაროს აღქმის უბიწოებას ანიჭებს. ერთი ცნობილი გამონათევამის თანახმად „კინო-ნიღბაბია“ და მოცემული გამოშახველობითი სტრატეგია შესაძლოა, კინოე-ნის სიმბოლოდაც მივიჩნიოთ.

„სიყვარული სამყაროს შეცნობის ხერხია“, — უანა მოროს გმირის ეს მოარული ფრაზა ვანოს შემთხვევაშიც გამართლებუ-ლია. და ეს ერთი შეხედვით ნაივური ისტორია კათარზისტულ ეფექტს ახდენს. კომიკური „სლეპსტიკი“ კი ლირიულ ელეგიად გარდაიქმნება. რაოდენ სასიამოვნოა, როდესაც ახალგაზრდა ავ-ტორი თავისუფლდება მისი თანადროული ეპოქის „მუავე“ რეალი-ებისა თუ ესთეტიკური კლიშეების კონიუქტურისაგან და საკუთარ ინდივიდუალობას მაქსიმალურად ავლენს. იმედია, სამომავლოდ ინდივიდუალიზმი პროფესიონალიზმითაც გამყარდება და რეჟისორი ქართული კინოსთვის ესოდენ სახასიათო ერთჯერად გამონათებად არ იქცევა.


ადამიანი ინტენციონალური არსებაა, თუკი ის აზროვნებს. მა-ტერიალური ცივილიზაცია მეტაფიზიკური თვალსაზრისით ნეი-ტრალურია. დგება ე. წ. „გამოტანილი ცნობიერების პრობლემა, სადაც სხვადასხვა ციფრული თუ ელექტრონული მატარებელი ადამიანის ტვინის ფუნქციას ითავსებს. „სულიერი სიზარმაცე“ ჰასიურ ცნობიერებას აყალიბებს. ჩვენს რეალობაში ადამიანი უმთავრე-სად მედიურ განზომილებაში არსებობს. დგება დემისტიფიკაციის აუცილებლობა. კულტურა სწორებ ის მექანიზმია, რომელიც სო-ციალურ სივრცეში გარკვეული აზრებისა და ფასეულობების

ტრანსლაციას ახდენს. ექსტრემიზმი ჩვენი ცნობიერებისა და კულტურულის „ოფიციალური“ სტრატეგია ხდება. ხოლო რაც შეხება ამ სტრატეგიის მანიფესტირების რეალურ ფორმებსა და შედეგებს, ეს უკვე მეორადი მოვლენაა. ისე გარკვეულწილად მეც ექსტრემისტი ვარ და ჩემი ესოდენ „ანტიეროვნული“ ცნობიერება დღეს-დღეობით არსებული სინამდვილისაგან თავის დაღწევის ერთად-ერთ საშუალებად მიმაჩნია. ჩემთვის ყველაზე ფასეული მაინც სამყაროს პუმანიტარული (ფილოსოფია, ლიტერატურა, ხელოვნება) განზომილებაა...

### გამოყენებული ლიტერატურა:

1. Hegel, Introduction, in: Lectures on the Pilosophy of History, Ney York/, p. 109. უფრო დაწვრილებით Edvard Said, Orientalism Ney York, p. 177.

# ବେଦାନ୍ତଲଙ୍ଘନ



## ქართული სატელევიზიო სიცრცის თავისებურებები

თანამედროვე ადამიანის ცხოვრება წარმოუდგენელია ტელევიზიის გარეშე, რომელიც არა მხოლოდ ინფორმაციის მიწოდების საშუალებაა, არამედ განმანათლებლის უუქჯიასაც თავსებს და მნიშვნელოვნად განსაზღვრავს კიდეც დღევანდელი კულტურის ხარისხს. ადამიანმა დროის განსხვავებული აღქმა დაიწყო და მისთვის მნიშვნელოვანი „აწმყო“ გახდა. აქტუალური ახლანდელს, ამ მომენტს, მიმდინარეს დაუკავშირდა. ტელევიზიამ დროისა და სივრცის მონოპოლიზმისა და სრული ათვისების პრეტენზია რეალობად აქცია და გახდა მომენტალური, ყველგან შეღწევადი და ყველაფრის დამნახავი. ის, რაც მთელი დღის მანძილზე ხდებოდა, პრესის საშუალებით აისახებოდა, საათის განმავლობაში – რადიოს დახმარებით, დღეს კი თვალის დახამხამებაში დროში დისტანცია მინიმუმად დაყვანილი. ჩვენ აღარ გვრჩება მოვლენებისათვის შესამზადებელი დრო, ვინაიდან „ის“ უკვე „აქ“ არის. „ის“ მხოლოდ მწირი არჩევნის შესაძლებლობას გვიტოვებს, ან მივიღოთ, ან უარყოთ. გარკვეული ულტიმატუმი, რომლის წინაშეც დგება თანამედროვე მაყურებელი, ერთვება პირდაპირ ტრანსლაციაში და ექვემდებარება მას. დრო, რომელიც ასახავს დროს. მოქმედების ადგილი რეალური და არა ხელოვნურად შექმნილი, პერსონაჟები – ნამდვილი ადამიანები. ტრანსლაცია მიწაზე, პარტში, წყალში, კოსმოსში. ტელევიზიაში თანაარსებობის უფექტი გაცილებით მძლავრია, კიდრე კინემატოგრაფში. ამასთან, მას არა მხოლოდ ჩვენება, არამედ მოვლენებში მაყურებლის ჩართვა და მასზე ზემოქმედების მოხდენის შესაძლებლობაც გააჩნია.

„აჯანყების ჩვენება, აჯანყებისკენ მოწოდებაა“,<sup>1</sup> – ნაწილობრივ ამგვარი შეხედულება გამართლდებოდა, რომ არა თავად სატელევიზიო სივრცეში მრავალათასიანი სისტემის არსებობა. შესაბამისად, ერთი და იმავე ინფორმაციის მოწოდების ერთმანეთისგან განსხვავებული ინტერპრეტირების შესაძლებლობა (მაგ.: „ვარდების რევოლუცია“ პირდაპირ ეთერში განსხვავებულ არხებზე მოვ-



ლენქებისადმი სხვადასხვაგვარ დამოკიდებულებას ავლენდა), რომელიც ანაც პირდაპირ კავშირშია ტელემართვაში არსებული განსხვავებული მოდელები და, ამასთან, მნიშვნელოვანია თავად მაყურებლის კრიტიკული დამოკიდებულება ეკრანზე ნანახისადმი.

ტელევიზიის განვითარების სხვადასხვა ეტაპზე მაყურებელმა თანდათან ისწავლა სატელევიზიო ინფორმაციის პირობითობის წაკითხვა და ინფორმაციის გადამოწმება.

მასობრივ კომუნიკაციათა საშუალებების ყოვლისშემძლეობის დასამტკიცებლად ორსონ უელსის რადიოდადგმის „სამყაროთა ომის“ მაგალითს ასახელებენ, სადაც უელსის ფანტაზია მარსიანელებზე მოთხრობილ რეპორტაჟად იქცა. მსმენელებში ამ ფაქტმა მასობრივი ფსიქოზი გამოიწვია და დიდი ძალისხმეული დასჭირდათ, რომ მარსიანელების ჩამოსვლის ისტორია გაექარწყლებინათ. 60-იან წლებში პოლანდის რადიოსადგურებმა ექსპერიმენტის სახით და მთავრობასთან შეთანხმებით ხალხს მესამე მსოფლიო ომის დაწყება ამცნეს. თუმცა ეს ინფორმაცია მაყურებელმა სხვა სატელევიზიო არხზე გადართვით გადაამოწმება და სრული სიშვიდეც შეინარჩუნა.

გასული საუკუნის 80-იანი წლების ბოლომდე ჩვენ სამყაროს 1/6-ზე არსებული ერთიანი სატელევიზიო სივრცის წევრები ვაყავით. ჩაკეტილ, შემოსაზღვრულ სიკრცეში არსებობა პრაქტიკულად შეუძლებელს ხდიდა გამეფებული იდეოლოგიის პირობებში არა მხოლოდ ინფორმაციის გადამოწმებას, არამედ თავად ფაქტებზე აგებული ინფორმაციის მიღებას.

საჯაროობა საგაზეთო რევოლუციით დაწყო, პრესა გაცილებით საინტერესო იყო, ვიდრე ცხოვრება, თუმცა შემდეგ ტელევიზორის ყურება კითხვაზე უფრო საინტერესო ხდება და იწყება საზოგადოებრივი ცხოვრების პოლიტიზაციის ეპოქა. ჩნდებიან ახალი სახეები, ახალი სატელევიზიო უანრები, ა'ხალი სატელევიზიო არხები და ერთიანი საკავშირო სატელევიზიო სივრცე ნაწევრდება. კომუნისტური იდეოლოგიისაგან გათავისეუფლებულ ეთერში საინტერესო პროცესები იწყება. უალტერნატივო სახელმწიფო ტელევიზიის (I არხი) გვერდით ჩნდება კომერციული არხები, რომლებიც საეთერო სივრცეში საკუთარი ადგილის დამკვიდრებისათვის იძრძვიან, ერთარხიანიდან მრავალარხიანზე გადასვლის პროცესის თანმდევი

კონკურენცია და მაღალი რეიტინგის მოპოვებაზე ზრუნვა.

ტელესივრცეში ჩნდება მაუწყებლობის ის ფორმები და მოდელები, რომლებიც დანარჩენ მსოფლიოში არსებობდა, ჩნდება ასევე სატელევიზიო ჟანრები – პოლიტიკური და თემატური თოქ-შოუები, ინტერვიუთა სხვადასხვა ტიპები, ტელეხიდები, ტელედებატები, საპირისო ინტერვიუთა ტიპები, რეალითი-შოუები, რეკლამა და სხვ. იდეოლოგიის დიქტატით იცვლება.

90-იანი წლებიდან იწყება ახალი ამბების პერსონიფიცირების პროცესი (როდესაც საინფორმაციო გადაცემათა წამყვანები ცნობადი სახეები, პირველხარისხოვანი ტელევარსკვლავები ხდებიან) განვითარებას იწყებს დოკუმენტური საეთერო პოლიტიკა, მკვიდრდება მრავალსერიული დრამატურგია და იზრდება არხებს შორის კონკურენცია, თუ ვინ უფრო სწრაფად მოახერხებს თამაში, ტექნიკური იდეების რეალიზებას“.

მასობრივი კომუნიკაციები მასობრივი აუდიტორიის გემოვნებას ერგება და იწყება სამამულო პროდუქციის იმპორტირებული „მასკულტურით“ ჩანაცვლების პროცესი. საგანმანათლებლო და შემეცნებითმა პროგრამებმა ნაკლებ პრესტიულ დროს გადაინაცვლა ან, საერთოდ, მოიხსნა ეთერიდან. მათ რეკლამა არ ყიდულობდა და, შესაბამისად, რეიტინგისათვის წამებიანი აღმოჩნდა. რეიტინგი კი მაუწყებლობის ფორმირების გადამწყვეტ ფაქტორად იქცა.<sup>3</sup>

რეიტინგისთვის ბრძოლას იგებს ის, ვინც უკეთესად ართობს და ის, ვისი მიწოდებული ინფორმაციაც უფრო აქლოს დგას სინამდვილესთან, ის, ვისაც უახლესი ტექნოლოგიების სწრაფი დანერგვის საშუალება აქვს. შესაბამისად, იზრდება სატელევიზიო პროდუქტის მყიდველთა რიცხვი და თავისუფლების ხარისხიც, ვინაიდან კომუნიკაციათა ჭეშმარიტ თავისუფლებას მხოლოდ საბაზრო ურთიერთობები უზრუნველყოფს.

ქართულ ტელესივრცეში დღეს არსებულ სატელევიზიო მართვის მოდელთა შორის სხვაობა რამდენიმე ასპექტით განისაზღვრება. უმთავრესი და განმსაზღვრული მათ შორის ტელევარხის დაფინანსების წყაროა, ვის ინტერესებს გამოხატავს იგი და რა ტიპის მაუწყებლობას ეყრდნობა, რა ურთიერთობები ყალიბდება ტელევიზიასა და კულტურას შორის.

მსოფლიო სამაუწყებლო სივრცეში ჩამოყალიბებული სამი



წამყვანი მოდელი – კომერციული, საზოგადოებრივ-სახელმწიფო ფონდივი და ტოტალიტარული -- დროთა განმავლობაში შეიცვალა და თანამედროვე ეტაპზე გაცილებით კონკურენტუნარიანი შერეული ტიპის მაუწყებლობა აღმოჩნდა.<sup>4</sup> საზოგადოებრივი მაუწყებლისა და კომერციულის ურთიერთქმედებამ ბუნებრივი მარეგულირებლის ფუნქცია შეასრულა. ქართულ სამაუწყებლო სივრცეში ძირითადად კომერციული და სახელმწიფო დაფინანსებაზე მყოფი ტელეარხები ფუნქციონირებს, თუმცა ისინიც კარგავენ მკვეთრ კონტურებს. ტელევიზიის სუბიექტი საზოგადოებაა და დღევანდელ ეტაპზე უმთავრესი ხდება, გამოხატავს თუ არა ის ამ საზოგადოების ინტერესებს, თუ წომენკლატურული ტელევიზიის ტრადიციების გამგრძელებლად იქცევა. ამ თვალსაზრისით გაცილებით დიდ ხითათს შეიცავს და ზემოქმედების მძლავრ ბერკეტებს იგდებს ხელთ ის კომერციული არხი, რომელიც ამ ფუნქციას საკუთარ თავზე აიღებს.

სახელმწიფო ტელევიზია ისეთი, როგორსაც ამას დასავლეთ ევროპა იცნობს, სადაც პროგრამათა სუფსიდირებას მაყურებელი ყოველთვიური სააბონენტო გადასახადით ახდენს, ეკრანს რეკლამის განთავსების აუცილებლობისაგან ათავისუფლებს და საშუალებას იძლევა საზოგადოების მოთხოვნები გათვალისწინოს. ამერიკაში საზოგადოებრივ ტელევიზიას დაფინანსების სხვადასხვა წყარო აქვს: საუნივერსიტეტო და მუნიციპალური შენატანები, საქველმოქმედო შემოწირულობა და რეკლამა (PBS). განსხვავებით სხვა დემოკრატიული ქვეყნებისაგან საქართველოში არ მუშაობს საზოგადოების დევიზი: „მე თქვენ გარჩენთ, შესაბამისად, მე ვარ დამკვეთი“. საზოგადოებრივი მაუწყებელი როგორც წარსულში, ასევე დღესაც არც სააბონენტო გადასახადით და არც რეკლამით არ ფინანსდება. ფორმაციათა ცვლამ არსებითი კვალი ვერც თავისუფლების ხარისხზე დატოვა, ვერც ტექნიკურ და ვერც მხატვრულესთეტიკურ მხარეზე აისახა. ის იმ ერთგვარ სომნამბულურ მდგომარეობაში რჩება, რომლისთვისაც უცხოა „აწმყოს“ გაცნბიერება და მით უფრო სარეიტინგო ბრძოლაში ჩაბმა. კონკურენციის გარეთ დარჩენილს მაყურებლის გარეშე დარჩენა ემუქრება. საკადრო პოლიტიკაში რეფორმათა წარუმატებლობის მიზეზი არასდროს არ არის დირექტორატი, ვინაიდან არა ადამიანები განსაზღვრავენ ამ

სისტემას, არამედ თავად სისტემა იკრებს იმ ადამიანებს, რომელმა-  
შიც მათი ინტერესების შესაბამისი თვისებები ფორმირდება. ნომენ-  
კლატურული ტელევიზიის უპირველესი ნაკლი მისი სახელმწიფო  
კუთვნილებაში არსებობაა.

ათწლეულების მანძილზე ამ ტიპის მაუწყებლობაში ინფორმა-  
ცია ფაქტებისგან დამოუკიდებლად არსებობდა და „ფაქტებს“ კატ-  
ეგორიულად ეკრალებოდა წამყვან მსოფლიხედველობასთან და-  
პირისპირება. სინამდვილე ეკრანზე ნაკლებ ჰგავდა იმ სინამდ-  
ვილებს, რომელიც ეკრანს მიღმა არსებობდა, ნებისმიერ დროს შესა-  
ძლებელი იყო ეთერიდან თუნდაც პოპულარული გადაცემის მოხ-  
სნა იდეოლოგიური მომენტების გამო (ეს პროცესი ჩვენთან არაერთ  
კომერციულ არხზეც არის შესამჩნევი, დაწყებული პოლიტიკური  
დებატების, თოქ-შოუების მოხსნიდან, დამთავრებული საერთოდ არხის  
დახურვით) და ეს ყველაფერი, როგორც წესი, „საშუალო მაყურე-  
ბლის“ (აბსტრაქტული სიმბოლო) სახელით ხდებოდა, როდესაც  
არა თუ ცალკეული მაყურებლის ან თუნდაც ჯგუფის, არამედ  
უმრავლესობის აზრსაც კი მნიშვნელობა არ პქონდა. აღნიშნული  
ტრადიცია დღემდე გრძელდება და მისი მიზეზები არა შემო-  
ქმედებით კადრების ან თანამედროვე ტექნოლოგიების სიმწირეა,  
არამედ სისტემა. ტელემართვის ის მოძველებული მოდელი, რომელიც  
სატელევიზიო არხს ტელესივრცემი დაკვიდრებისათვის, კონკურე-  
ტუნარიან გარემოში რეიტინგისათვის ბრძოლაში მონაცილეობის  
უფლებას ართმევს.

ისტორიის ყოველ გარდამტებ მომენტს, ყოველ ახალ ისტორი-  
ულ ეტაპს თან სდევდა ახალი საკომუნიკაციო საშუალებებით  
ძალაუფლების ხელში ჩაგდება. დღეს ტელევიზია წარმოადგენს  
ძალაუფლების (პოლიტიკური, ეკონომიკური თუ კულტურული)  
მოპოვებისათვის ბრძოლის ყველაზე ეფექტურ საშუალებას. პოლი-  
ტიკოსები წარმატებით იყენებენ თანამედროვე საკომუნიკაციო სა-  
შუალებებს. „ტირაჟირებული სინამდვილე“ და „ტირაჟირებული  
კულტურა“ განსხვავებულ ელოფერს იძენს ტელემართვის განსხ-  
ვავებულ მოდელში. დღევანდელი ქართული სატელევიზიო სივრცე  
მკვეთრად პოლარიზებულია. ერთ სიბრტყეში ლაგდება ტელეარხ-  
ები: „იმედი“ და „კავკასია“, მეორე მხრივ, „საზოგადოებრივი მაუწ-  
ყებელი“, „რუსთავი 2“, „მზე“, „ალანია“, „აჭარა“, „საქართველო“.

ჩნდება რელიგიური არხი, მუსიკალური და სამხედრო არხები. თუმცა ყველაზე მძლავრ საკომუნიკაციო ვებს ორი არხი: ტელეკომპანია „იმედი“ და ტელეკომპანია „რუსთავი 2“ ქმნის. მაუწყებლობაში სანახაობის მასობრივი ფორმები — გასართობი პროგრამისა და საინფორმაციო „ახალი ამბების“ საეთერო დროში გადანაწილების სტრატეგია განსაზღვრავს როგორც რეიტინგს, ასევე არხთა შორის კონკურენციის, მაყურებლისათვის ბრძოლისა და გადაბირების ძირითად საშუალებებს. ნებისმიერი სატელევიზიო არხი, მოუხვდავად იმისა, თუ რომელ მოდელს განეკუთვნება, გარკვეული იდეოლოგიური ფუნქციის შემსრულებელია, ამავე დროს სოციალური თერაპიის ფუნქციასაც ითავსებს. მაუწყებლობა არა მხოლოდ ინფორმაციისა და კულტურის გაცვლის საშუალებაა, არამედ ფასულობების შექმნასაც გულისხმობს.

არხთა შორის კონკურენცია სარეიტინგო ქულების მოპოვებისთვის უმთავრესი პირობაა. თავად კონკურენციას მართვის განსხვავებული მოდელების ერთ სატელევიზიო სივრცეში არსებობა განაპირობებს და მასზეა დამოკიდებული, თუ ვის ინტერესებს გამოხატავს და ვის ინტერესებზეა ორიენტირებული ესა თუ ის არხი. მაყურებლის გადაბირების მეთოდი საეთერო პოლიტიკის შემადგენელი ნაწილია, ე. წ. „მენიუ“, რომელშიც პრიორიტეტული ადგილი სანახაობის მასობრივ ფორმებს და საინფორმაციო „ახალ ამბებს უკავია“. მისი ტრანსპორტულება კი მაყურებლამდე საშოგადოებასთან ურთიერთობის განსხვავებული ტექნოლოგიების საშუალებით ხდება.

### გამოყენებული ლიტერატურა:


1. Кино: методология исследования; москва; 1984 г., стр. 216.

2. იქვე, გვ. 218.

3. Вартанов А.С., Актуальные проблемы телевизионного творчества, Москва, 2003 г.

4. Жост Ф., Телевидение на границах реальности, [www.Kinozapiski.ru](http://www.Kinozapiski.ru)

# ପରମାତ୍ମା



## ანტიკური საბერძნეთის კულტურა

თანამედროვე ადამიანისათვის დამახასიათებელი ცივილიზაციული აზროვნება, ადამიანური შემეცნებითი კულტურა, ძველი საბერძნეთიდან იღებს სათავეს. ბერძნებს უძველესი დროიდან ახასიათებდათ კულტურულ სიახლეთა სწრაფი შეთვისება და შემოქმედებითი გააზრება, რითაც შეუდარებელ სიმაღლე – მწვერვალებს მიაღწიეს.

ბერძნულ ცივილიზაციაზე დიდი გავლენა მოახდინა გეოგრაფიულმა გარემოებამ, ნაყოფიერი მიწების უკმარისობა, დიდი მდინარეების სიმცირე მოსახლეობის შრომის ფერხულში ჩაბმას აფერხებდა. ყოველივე ამან მნიშვნელოვნად განაპირობა ბერძნული პოლიტიკური და სოციალური სტრუქტურის ჩამოყალიბება. ბერძნებს ერთი სოფლიდან მეორეში მისასვლელად ზღვის ან მთის გადალახვა უხდებოდათ და მაღლ ისე შეეთვისნენ ზღვას, რომ იქ დასახლება იწყეს. ბერძნები დახელოვნებული მეზღვაურები გახდნენ და გადააქციეს თავისი ქვეყანა მძლავრ საზღვაო სახელმწიფოდ. ზღვით შემოქმნდათ მატერიალური და კულტურული ფასეულობები. ბერძნებმა კარგად გაითვითცნობიერეს მათ მიერ შექმნილი საზღვაო სახელმწიფოს უპირატესობანი, დამოკიდებულება ცვალებად ბურებასთან და იწყეს ბრძოლა სივრცეების ასათვისებლად, კოლონიზაციისა და ვაჭრობის გზით.

ცივილიზაციის ბერძნულ კერად იქცა კუნძული კრეტა ჩვენს ერამდე ათასწლეულის მიჯნაზე. ლეგენდის მიხედვით ოდესლაც კუნძულს მართავდა ძლიერი მეფე მინოსი – „ზღვათა მპყრობელი“.

ძველი კრეტის ისტორია წარმოდგენილია მინოსის სახელის მქონე სამი პერიოდით. ჩვენს ერამდე XX საუკუნიდან XX საუკუნემდე პერიოდს უწოდებდნენ ადრემინოსურ პერიოდს. ამ პერიოდის კუნძულის მოსახლეობა ნეოლითის სტადიაზე იმყოფებოდა. მოსახლეობა მიმთვისებელი მეურნეობიდან მწარმოებლურ მეურნეობაზე გადადიოდა, ეცნობოდა ძველი ეგვიპტისა და აზიის კულტურებს, ბრინჯაოს წარმოების ტექნოლოგიებს.

ბერძნებმა ლითონის წარმოებაზე გადასვლა დაიწყეს ჩვ. ერამ-

დე XX საუკუნეში, საშუალო მინოსურ პერიოდში. ეს პერიოდი გამოირჩეოდა საქალაქო ცხოვრებით. ქალაქებიდან აღსანიშანვია კნოსოსი მონუმენტური ნაგებობებით და სასახლეებით. დიდი იყო ქალაქის გავლენა კუნძულ კრეტაზე, ეგეოსის ზღვის კუნძულებზე და ბალკანეთის ნახევარკუნძულის ნაწილებზეც. ამ პერიოდში გამოირჩეოდა ქალაქი კრეტა ლითონის დამუშავებით, იარაღის: ხანჯლების, მახვილების, ჩუგლუების – საბრძოლო ცულების დამზადებით. კრეტაში განვითარებული იყო ხელოსნობის დარგები: საიუველირო, საფეიქრო, სამეოუნეო, გემთმშენებლობა და სხვა. XV საუკუნეში ჩევნები ერამდე გაჩნდა: თიხის ფირფიტები „A“ ხაზოვანი დამწერლობით, რომელიც დღემდე გაუშიფრავია. XV საუკუნეში კრეტაში შემოჭრილმა აქეველთა ტომებმა /ძველი ბერძნების წინაპრებმა/ გაანადგურეს კრეტის კულტურა, კრეტაში დასახლდნენ, და დროთა ვითარებაში შეერწყნენ ადგილობრივ მოსახლეობას. ამგვარმა მდგომარეობამ გამოიწვია ძველი კულტურული ცენტრების ხელახალი აღორძინება. დაიწყო მესამე, გვიანმინოსური პერიოდი /ვ. ერამდე XV – XIX/. ამ პერიოდში „A“ ხაზოვანი დამწერლობის ნაცვლად გავრცელდა „B“ ხაზოვანი დამწერლობა, რომელსაც საფუძვლად დაედო ბერძნული ენის ერთ-ერთი დიალექტი. ამ დროს აქეველებმა ბალკანეთის ნახევარკუნძულზე შექმნეს რამდენიმე მსხვილი ცენტრი, რომელთაგანაც განსაკუთრებით გამოირჩეოდა ქალაქი მიკენი, რომელიც კულტურული დონით გაუთანაბრდა კრეტას.

კრეტისა და აქეველთა კულტურამ საფუძველი ჩაუყარა ბერძნული ცივილიზაციის განვითარებას.

საბერძნეთის კულტურიდან მინოსურმა ცივილიზაციამ უდიდეს სიმაღლეებს მიაღწია ხელოვნების მრავალ დარგში: არქიტექტურა, ოქრომჭედლობა, მხატვრობა. განსაკუთრებულად გამოირჩეოდა კრეტული მხატვრობა.

კუნძულ კრეტაზე ბრინჯაოს ხანის ცივილიზაციას მისმა პირველმა აღმომჩენმა, ინგლისელმა სერ არტურ ევანსმა მინოსური უწოდა, კრეტის ლეგენდარული მმართველის, მინოსის, სახელის მიხედვით ევანსმა კნოსოსში! (თანამედროვე ირაკლიონი) გათხარა მინოსის სასახლე, რომელიც ბერძნული მითების ლაბირინთს გვაგონებს.

არქეოლოგიური მასალების მიხედვით მონოსური კრეტის



უზენაესი დევთაება მიწის ქალღმერთი უნდა ყოფილიყო, ქალღმერთის  
თის ატრიბუტი იყო ორმაგი ცული. რომელთანაც გარეულწილად  
დაკავშირებულია ხარის კულტიც.

ძვ. წ. 1500 წ. კუნძულ თერაზე (სანტორინი) მოხდა ვულკა-  
ნის უძლიერესი ამოფრქვევა, რის შედეგადაც კუნძული სანახ-  
ევროდ წყალმა შთანთქა, ამოფრქვევის ტალღა კრეტასაც მისწვდა,  
განადგურდა და დაინგრა სასახლე, დანგრეულ სასახლეთაგან  
მხოლოდ კონსისა აღდგა, ძვ. წ. XV საუკუნეში ახალი დიდი  
შემოსევა ანგრევს სასახლეს და კრეტა მთლიანად ცივილიზაცი-  
ისა და სახელმწიფოებრიობის ფარგლებში ექცევა.

ბერძნების მიერ შექმნილი პირველი ცივილიზაცია იწოდება  
მიკენურად მისი აღმომჩენი მიკენის სახელის მიხედვით, მიკენის  
ციხესიმაგრე, ძვ. წ. XV საუკუნეში არის აგებული, მის დაარსებას  
ბერძნული მითოლოგია პერსევისის სახელს მიაწერს, მინოსურმა  
კულტურამ უდიდესი გავლენა მოახდინა მიკენის კულტურაზე  
მონოსური და მიკენური რვაფეხას მინოსური და მიკენური სახე.  
მინოსური რვაფეხა მშვიდად, ლაღად მიცურავს წყალში, მიკენური  
კი თავდასასახმელად არის შემართული.

„ამ ილუზიას პერნის სიმეტრიის ვერტიკალური ღერძი, სიმ-  
ეტრიისა და ნახატის სქემატიზაციისაკენ ბერძნთა მისწრაფება  
თანდათან აცილებს მათ ნაწარმს მინოსური პირველწყაროსაგან  
და თავის კულმინაციას ბევრად უცრო გვიან გეომეტრიულ პერი-  
ოდში აქცევს.“<sup>4</sup>

ძველი წელთაღრიცხვის XV საუკუნიდან დაიწყო მიკენური  
ცივილიზაციის აღმავლობა. აღამელიბის ცენტრი გახდა არგოლიდა,  
რომელმაც მთელი საბერძნეთი მოიცავა: პელოპონესის ნახევარკუნძუ-  
ლი, ატიკა, ბეოტია და ფოკისი, შუა თესალია ჩრდილო საბერძნეთში,  
ზღვაზე მონოსური პეგეონის დაცემის შემდეგ კი – ეგეოსის  
ზღვის კუნძულებიც. ძვ. წელთაღრიცხვის XV საუკუნის შუა ხანიდან  
მინოსურის გავლენის ქვეშ მოექცა მილეტი – მცირე აზიაში, მელო-  
სი, როდოსი, კვიპროსი, ძვ. წელთაღრიცხვის XV საუკუნის დასაწყ-  
ისიდან აშკარაა მიკენის ექსპანსია ეგეოსის ზღვის აუზში. ამ დროიდან  
მიკენს ემორჩილება კრეტა, მცირე აზიაში და კვიპროსზე აქაველები  
უპირისპირდებიან ხეთების სამეფოს. ამავე პერიოდში ტროადაში  
აღმოჩენილ იქნა უძველესი მიკენური კერამიკა, რაც აქაველთა მიერ

შევის ზღვის ათვისების დასაწყისშე მიანიშნები. მეცნიერები მიიჩნია ევენ, რომ შავი ზღვის ათვისების დასაწყისი აქაველთა მიერ იყო ტროაზე ლაშქრობის ერთ-ერთი მიზეზი.

არქეოლოგიურმა გათხრებმა დაადასტურეს, რომ ტროას ომი ძველი წელთაღრიცხვის X საუკუნის დასაწყისში მოხდა, კრეტის პოლიტიკური ჰეგემონის მიერნურმა შეცვლამ დიდი ზემოქმედება მოახდინა აქაველთა კულტურაზე. ერთი მხრივ, დაწინაურდა ბერძნული კულტურა, მეორე მხრივ, ეგვიპტის, სირია-პალესტინის და ხეთების კულტურა, რომელთა პირდაპირმა კონტაქტებმა ზოგი სიახლეც შემოიტანა კულტურაში. ეგვიპტური გავლენა განიცადა აქაველ მბრძანებელთა ბრწყინვალე გუმბათიანმა. სამარხებმა /მც. წელთაღრიცხვის XIV საუკუნე/ და ხეთურმა „ლომების“ კარიბჭემ /ძველი წელთაღრიცხვის 1250 წ./.

მოხდა აქაველთა კულტურის მინოსური კულტურის გავლენისაგან განთავისუფლება, აქაველებმა შექმნეს თვითმყოფადი კულტურა.

ჩვ. ერამდე X საუკუნის ბოლოს შემოქრილმა დორიელმა ტომებმა გაანადგურეს კრეტა-მიკენის კულტურა. აქაველთა ნაწილმა თავი შეაფარა ძნელად მისადგომ მთიან რაიონებს, ზოგი კი შეერივნენ დამპყრობლებს. ყოველივე ამის შედეგად ჩამოყალიბდა ბერძნი ხალხი, რომელიც დასახლდა ბალკანეთის ნახევარკუნძულის სამხრეთ ნაწილში, ეგეოსის ზღვის კუნძულებზე და მცირე აზიის სანაპიროზე.

კრეტა-მიკენის კულტურამ სათავე დაუდო ბერძნულ ცივილიზაციის, გაიზიარეს მათი გამოცდილება, მაგრამ საზოგადოების დაბალ საფეხურზე მყოფი დორიელები საზოგადოების შემფერხებლებად იქცნენ, ამიტომ ამ პერიოდს /ჩვ. ერამდე X-V ს. ს. ნახევარი/ „ბნელი საუკუნეები“ ეწოდა. ამ პერიოდის ყოფა და კულტურა აისახა პომერისის პოემებში „ილიადასა“ და „ოდისეაში“. „ბნელ საუკუნეებში“ მოხდა ბერძნული მოსახლეობის დიფერენციაცია, მოსახლეობა დაიყო ორ კლასად: მიწათმფლობელ და დიდგვაროვნებად – არისტოკრატიად და ხალხად, რომლებმაც ძველი უფლებები დაკარგა – დემოსად.

„ბნელ საუკუნეების“ დასასრულს განვითარდა რკინის კულტურა, ხმარებაში შემოვიდა რკინის იარაღები. პოლისები გადაიქცნენ



ქალაქებად, სადაც დამკვიდრდა ვაჭართა და ხელოსანთა ფენა და თეტები / უმიწო მეთემები, რომლებიც იძულებით მოიჯარადებად მუშაობდნენ / . დამძიმდა მოსახლეობის მდგომარეობა, ამიტურა თავის-უფალი მიწების რეზერვები. ჩვ. ჯრამდე VI საუკუნეში მიწათმოქმედებამ ვეღარ დაკმაყოფილა ბერძნული ქალაქების მოთხოვნილებები... სოფლად გაჩნდა ჭარბი აგრარული მოსახლეობა, რომელიც ერთ-ერთი უმთავრესი ხელშემწყობი ფაქტორი გახდა ბერძნული კოლონიზაციური მოძრაობისა. ხმელეთშუა ზღვის მცირე აზის სანაპიროზე მცხოვრები ბერძნები ითვისებენ ჩრდ. აღმოსავლეთ სანაპიროს, გადას შავ ზღვაზე და იწყებენ შავი ზღვისპირეთის ათვისებას, აღწევენ აპენინის ნახევარკუნძულს, სადაც არსებენ ბერძნულ ახალშენებს. კუნძულ სიცილიაზე – ქ. სირკუზას, მდინარე რონას ზღვის შესართავთან – ქ. მასილიას / დღევანდელ მარსელს /. კოლონიზაციამ აპენინის ნახევარკუნძული მოიცავა. არაუგვიანეს V საუკუნისა ისინი კონტაქტებს ეგვიპტესთანაც ამყარებენ.

კოლონიზაციამ ხელი შეუწყო საეპრო ურთიერთობის გაშლას, დააჩქარა გემთშენებლობის და ხელოსნობის სხვადასხვა დარგის განვითარება. კოლონიებში სწრაფად აღმოცენდნენ ბერძნული ქალაქ-სახელმწიფოები: მილეთი, კორინთი, ქალკიდა, ერიტრია და სხვა. ამ ახალშენებისა და მეტროპოლიას შეირის დამყარდა მჭიდრო სავაჭრო, პოლიტიკურ-სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობები. კოლონიებმა და საბერძნეთმა გაცვლით ურთიერთობაში მოაქცია ხე-ტყის, ლითონის, კვების, ხელოსნობის ნაწარმი, ღვინო, ზეითუნის ზეთი და სხვა.

პოლისში გაიზარდა საშუალო შეძლების მოქალაქეთა რიცხვი, მდიდარ წარჩინებულებს პოლისებში მყარი სოციალური დასაყრდენი მოეშალათ, რაც წინააღმდევობაში მოაქცია ქვეყნის ერთპიროვნული მმართველობა, დამყარდა ტირანია. თავისუფლებისმოყვარე ბერძნებისათვის ძნელად ასატანი იყო დამორჩილებოდა ერთი კაცის ხელისუფლებას, შეესრულებინა მისი ბრძანებები. დემოსმა დაიწყო ტირანის დამყარების წინააღმდევ ბრძოლა. დემოსი – ხალხის პირველ გამარჯვებას არისტოკრატიაზე კანონების ჩაწერა მოჰყვა. პირველი წერილობითი კანონები აღრეულ შუამდინარულ კანონებთან შედარებით თუმცა პრიმიტიულად გამოიყურებოდა, მაგრამ მათ გაჩენას მაინც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. კანონმა შეზღუდა

წარჩინებულ მოსამართლეთა თვითხებობა. ბერძნებმა დაკანონები რომ დროდადრო შეცვლილიყო კანონი, რადგან მათ მიაჩნდათ, რომ კანონი ერთხელ და სამუდამოდ კი არ იყო დადგენილი ღმერთების მიერ, არამედ ნებისმიერად შეიძლებოდა მისი შეცვლა ხალხის მოთხოვნის, ინტერესების შესაბამისად. ბერძნული კოლონიზაციის შედეგად დაარსებულ ქალაქებში ვითარდება ტაძრების არქიტექტურა. წარჩინებულები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ ტაძრების აგებასა და მათ მართვაში, ლაშქრობიდან დაბრუნებულები ნადავლის დიდი ნაწილს ღმერთებს სწირავდნენ. ტაძრებში გროვდებოდა დიდი სიმდიდრე. ტაძრის მოწყობაზე მთელი პოლისები ზრუნავდნენ. დაიწყეს ქანდაკებების გამოკვეთა, მათი მოხატვა. საკუთარი განდიდებისა და ხალხის კეთილგანწყობის მოპოვების მიზნით ტირანები მფარველობდნენ ხელოვნების სხვადასხვა დარგს. დროთა ვითარებაში დაიწყო პოლისებს შორის ბრძოლა პირველობისათვის. პირველობა ათენმა იგდო ხელში. ათენის პოლისის პოლიტიკურმა ცხოვრებამ დაიწყო დემოკრატიზაციის გზით განვითარება. ათენის დემოკრატიის გამარჯვებას წარმოადგენდა დიდი კანონის შემუშავება სოლონის კანონის სახელწოდებით. ღარიბ მოსახლეობას მიეცათ უფლებები... სოლონის კანონმა მდიდარ მოქალაქეებს საკმაოდ მძიმე მატერიალური დანახარჯების მქონე დავალებები დააკისრა: გემების აშენება, საზოგადოებრივი ზეიმებისა და სანახაობების მოწყობა, თანხების გაღება ქალაქთმშენებლობაზე. V საუკუნეში დაიწყეს აკროპოლისის – ძველი ბერძნული არქიტექტურის მწვერვალის მშენებლობა, რომლის ცენტრსაც წარმოადგენდა ქალღმერთ ათენასადმი – ქალაქის მფარველისადმი, მიძღვნილი დიდებული ტაძრის, პართენონის, მშენებლობა. ათენთანა დაკავშირდებული ბერძნული თეატრის აყვავებაც. ათენმა თავი მოუყარა სახელგანთქმულ სკულპტორებს, მწერლებს, ფილოსოფოსებს, რომლებმაც ათენში შექმნეს კულტურული ტრადიციები. ათენში დაიწყეს მოღვაწეობა და თავიანთი სკოლები შექმნეს სახელგანთქმულმა ფილოსოფოსებმა: პლატონმა და არისტოტელებმ.

ჩვ. ერამდე V საუკუნეში ღმერთ დიონისესადმი მიძღვნილი სახალხო ზეიმებიდან აღმოცენდა ბერძნული თეატრი. თეატრალური წარმოდგენები, რომლებიც სახალხო ზეიმების ღროს იმართებოდა, ხშირად სამი დღე გრძელდებოდა. მხიარულ, მახვილგონივრულ



კომედიებში, რომელთა ავტორებიც ცინიკურად გადმოსცემდნენ — ამიანთა მანკიერ მხარეს, მაყურებელთა მოწონებას იმსახურებდა.

ტრაგიკულ სცენებში აისახებოდა ძლიერი აღამიანების არასა-სურველი დამოკიდებულება უძლურთა მიმართ. ტრაგედიები ჩშირ-ად გმირების სიკვდილით მთავრდებოდა. მაყურებელი განსაკუთრე-ბული სიამოვნებით ხვდებოდა სცენაზე წარმოდგენილ კომედიებს.

პიროვნებისადმი დამოკიდებულება აისახებოდა არამარტო თე-ატრის სცენაზე, არამედ მოქანდაკებისა და მხატვრების ნამუშევრებ-შიც. მხატვრები და მოქანდაკები ცდილობდნენ, რაც შეიძლება ცოცხლად წარმოედგინათ ცოცხალი აღამიანის სხეული არა გაყ-ინულ-სტატიკურ მდგომარეობაში, არამედ მოძრაობაში — დინამი-კაში გადმოეცათ მისი ხასიათი და განწყობილება.

ძველი ბერძნული კულტურა მკვეთრად გამოიხატა ლიტერ-ატურაშიც. ბერძნულმა ლირიკამ ასახა აღამიანის შინაგანი ბუნება და ფასეულობანი. ძველმა ბერძნულმა პოეზიამ წარმოგვისახა აღამიანის სული, რომელიც სხვადასხვა სატანჯველით იტანჯებო-და და ერთადერთ შევბას შინაგან სიმშვიდეში ხედავდა.

ბერძნულ კულტურაში გადმოიცა ფილოსოფოსთა ნააზრევიც. ძვ. წ. აღრიცხვის V-IV საუკუნეებში ბერძენ ფილოსოფოსებს აინტერესებდათ გარემომცველი საჟყაროს წარმოშობა და მოწყო-ბა. ამ საკითხების გადასაწყვეტად ისინი მიმართავდნენ უშუალოდ ბუნების შესწავლას. ასეთმა დამოკიდებულებამ ფილოსოფია მჭიდროდ დაკავშირა ასტრონომიასთან, მედიცინასთან, მათემატიკასთან და სხვა მეცნიერებებთან.

ბერძნულ კულტურაში განსაკუთრებული წვლილი შეიტანეს ფილოსოფოსებმა: თალესმა, ანაქსიმანდრემ, პერაკლიტემ, პლატონმა, სოკრატემ და სხვა.

ფილოსოფოსმა თალესმა პირველად შემოიღო ფილოსოფიაში „არქეს“ ცნება, რაც ნიშნავს ყოველივეს საფუძველს. მან საფუძვე-ლი დაუდო ციურ სფეროთა თეორიას, შეადგინა პირველი გეოგრაფი-ული რუკა და პირველმა გააკეთა საბერძნეთში მზის საათი.

ფილოსოფოსმა ანაქსიმანდრემ სამყაროს საწყისად გამოაცხა-და პაერი. პირველმა შენიშნა განსხვავება ვარსკვლავებსა და პლანეტებს შორის, ახსნა მზისა და მთვარის დაბნელების არსი. პერაკლიტემ ახსნა სამყაროს მოძრაობის, წინააღმდეგობისა და

ცვალებადობის არსი. მისი აზრით, ერთსა და იმავე მდინარეში ორჯურ შესვლა შეუძლებელია.

ბერძნულ კულტურაში ჩვ. წ. აღრიცხვამდე VI-V საუკუნეებში მნიშვნელოვანი გახდა ძიება შემეცნებაში იმ მიმართებით, რომელიც აისახებოდა მიწილი და ზეცილის შორის.

დღიძმა მოაზროვნე სოკრატემ ჩქ. ერამდე 469-399 წ. წ. ადამიანისათვის უმთავრეს მიზნად დასახა ზნეობრივი სრულყოფილება, რომელიც მას უფლებას აძლევდა მიახლოებოდა ზეციურ შვენიერებას და პარმონიას. სოკრატეს მიაჩნდა, რომ ადამიანის სრულყოფილება ცოდნაზე, განათლებაზე უნდა ყოფილიყო დამყარებული, რომელიც დაეხმარებოდა ადამიანს საკუთარი თავის ნაკლოვანების შეცნობაში. მან დაიცვა ჭეშმარიტება უარყოფისაგან. მისი აზრით, ჭეშმარიტების უარყოფა შეუძლებელია, რადგან ჭეშმარიტება თვით უარყოფილი დებულების ჭეშმარიტების უარყოფაა. მისი აზრით, ცოდნა მარად შეფარდებითა, ყოვლად მცოდნე მხოლოდ ღმერთია, ადამიანი მხოლოდ შეიძლება მაძიებელი იყოს ცოდნისა, საკუთარი არცოდნის გაცნობიერებისა. ბოროტება უცოდინარობის გამო ხდება. ცოდნას ადამიანისათვის სასიკეთო სარგებლობა მოაქვს, მან შეიძლება სათნოებასთან მიგვიყვანოს. სოკრატეს გაგებით ადამიანის ცხოვრებისეული დევიზი უნდა იყოს: „შეიცან თავი შენი“<sup>3</sup>

სოკრატეს ღირსეულმა მოწაფე პლატონმა მოგვცა ანტიკური ფილოსოფიური აზროვნების კლასიკური შეჯამება. მან პირველმა შექმნა ობიექტური – იდეალისტური ფილოსოფიის მწყობრი სისტემა, რომელიც თავისი ეპოქისათვის დამაჯერებელ პასუხს იძლეოდა ბუნების, საზოგადოებისა და ადამიანთა აზროვნების ურთულეს და უზოგადეს პრობლემებზე. პლატონმა განავითარა სოკრატეს მიერ მოცემული სათნოების თეორია. პლატონის აზრით, ზნეობრივი მოქმედება არ არსებობს მისი ცოდნის გარეშე. სათნოება ზოგადად ოთხ სახედ იყოფა: სიბრძნე, სიმამაცე, ზომიერება, სამართლიანობა. პირველი გონების სათნოებაა, მეორე – ნებისა, მესამე – სურვილისა, მეოთხე მათ აერთიანებს გონების ხელმძღვანელობით. პირველი იცავს სათნო მოქმედების თავისთავად ღირებულებას, თვლის, რომ სჯობს უსამართლოდ დაისაჯო, კიდრე უსამართლობა ჩაიდინ. ბოროტება მტრის მიმართაც არ უნდა ჩაიდინ. ზნეობრივი მოქმედების საზომი არ შეიძლება სიამოვნება იყოს, რადგან იგი თავად ქმნადობა.<sup>4</sup>

პლატონი წარმოგვიდგენს ხილულ და უხილავ სამყაროს. პლატონი  
ნის აზრით ეფოსები სრულყოფილი და უცვლელია, რომლებიც  
მიწიერი, მატერიალური გარდაქმნისას კარგავენ იმ თვისებებს, რომ-  
ლებიც მათ გააჩნიათ. პლატონს მიაჩნდა, რომ ადამიანების სულები  
თავიდან უცოდველი იყვნენ, მაგრაც დედამიწაზე მოხვედრისას კარ-  
გავდნენ სიწმინდეს და სრულყოფილებას. ადამიანის სულს რყვნის  
ცული ქვენა გრძნობები და სურვილები, მაგრამ პლატონი, ისევე  
როგორც სოკრატე, ამტკიცებდა, რომ ადამიანს შეუძლია აღიდგინოს  
სულიერი სრულყოფილება, თუკი ქვენა გრძნობების ნაცვლად აირჩევს  
ამაღლებულსა და კეთილშობილ გრძნობებს, მაშინ ადამიანის სული  
ჯერ კიდევ მის სიცოცხლეშივე დაიწყებს დაცემიდან ამაღლებას  
ერთოსების სამყარომდე, ე. ი., მიაღწიეს ზეციურ იდეალს.<sup>5</sup>

ამრიგად, ძველმა ბერძნებმა, რომლებიც არც რიცხობრივად,  
არც ძლევამოსილებით გამოირჩეოდნენ ძველი სამყაროს სხვა  
ზაღანებთაგან, ინტელექტუალური გონით შექმნეს ცივილიზაცია,  
რომელიც საზოგადოებრივი ცხოვრების სრულიად ახალ კონცეფ-  
ციას ემყარებოდა. მათ შეძლეს ჩასწვდომოდნენ ადამიანთა გონს,  
ეჩვენებინათ ადამიანთა პიროვნების გონების ძალა და ამით უდიდესი  
გავლენა იქონიეს კაცობრიობის შემდგომ განვითარებაზე.

ბერძნული ცივილიზაცია მსოფლიო ცივილიზაციის განვითარების  
საწყისად შეგვიძლია მივიჩნიოთ.

### გამოყენებული ლიტერატურა:

1. კულტუროლოგია, თბ., 2003 წ., გვ. 336.
2. გ. ბოლოთაშვილი, მსოფლიო ცივილიზაციის ისტორია, თბ.,  
2005 წ., გვ. 65.
3. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, თბ., 1985, 89, გვ. 453-  
456.
4. ფ. ლომაშვილი, ისტორიის ფილოსოფიის ისტორია, თბ., 2003  
წ., ტ. 1, გვ. 17.
5. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, თბ., ტ. 8, გვ. 104.



**ბგერითი სიმბოლიკის გზით ფარმაცევტი  
ზოგიერთი ქართული  
ეთნოპოლიტიკური  
ტერმინის ნაირსახეობისათვის**

(ფუნდრუკ, ხუნტრუც, ცუნდრუკ, ჯუნდრუკ და ბუნდრუკ  
სიტყვაფორმათა ლინგვისტურ-ეტიმოლოგიური ანალიზი)

მსოფლიოში იშვიათია ენა, სადაც იმდენი ქორეოგრაფიული და ქორეოლოგიური ტერმინი იყოს, რამდენიც ქართულ ენაშია შთა აყურსული, ოღონდაც საჭიროა ამ სულიერი ფენომენის უფრო მეტი სივრცული განვითარება – დანახვა და დანახვება იმისა, თუ ვინ ვიყავით, ვინა ვართ, ვის და რას ვეთაყვანებით.<sup>1</sup> მართლაც, ქართული ენა ამ მხრივაც „მსოფლიო ენაა“. ეს რომ ოდენ მხოლოდ „ჰაერზე ნათქვამი“ ფრაზა და ლიტონი სიტყვები არაა, აქვე ამ წერილში შევეცდებით.

ნებისმიერი სიტყვა, ფრაზეოლოგიური გამოთქმა თუ გამონათქვამი სულიერ არსებასავითაა: იგი იბადება, ცოცხლობს, ვითარდება, იზრდება და იხვეწება ფორმობრივ-სემანტიკურად, ლექსიკოლოგიურ-სტილისტიკურად ან ვიწროვდება, ბერდება (არქაულ გამოთქმად ყალიბდება), ან სულაც იყარგება და კვდება (ზოგჯერ, საჭიროებისამებრ, ცოცხლდება კიდეც). ასეთი რამ მსოფლიოს თითოეულ ენაში შეიძლება მოხდეს. მით უფრო, ამ მხრივ, გამონაკლისი არც ჩვენი ძირძველი ქართული ენაა.

ამჯერად, ყურადღება გვინდა გავამახვილოთ ერთი სიტყვისგან წარმოქმნილ რამდენიმე სიტყვაფორმაზე, რომელიც საფუძვლად დასდებია რამდენიმე ქართულ ეთნოქორეოგრაფიულ ტერმინს. ესაა ბუნდრუკ არქაული ლექსება და მისგან ნაწარმოები ბგერწერული გზით წარმოქმნილი რამდენიმე ვარიაციული სიტყვა, რომლებიც ძირითადად ქართული ენის დიალექტებს შემოუნახავს, უფრო აღრე კი ძეელ ქართველ ლექსიკოგრაფებს აღუნესხავთ. მაგალითად, ეთნოქორეოგრაფიული სახელდება ფუნდრუკი, სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით, არის ვაჟების მიერ სრბოლა, ხლომა, ხოლო ხუნტრუცი ქალთა ფუნდრუკია.<sup>2</sup> დ. ჩუბინაშვილს ფუნ-



**დრუკ // ფუნდუკი** // სპარსულ სიტყვად მიაჩნია, რაც, მისივე  
თქმით, ნიშავს პანდუქსიონს, ქარვასლას, საკუჭნაოს, გოსტინიცა-  
ს, კარავანსარაი-ს, კლადოვაი-ს. ცნობილ ღერძიკოგრაფის იქვე  
ფუნდრუკი ცალკე, დამოუკიდებელ ღერძიკურ ერთეულად აქვს  
შეტანილი, რომელიც ასე განუმარტავს: თამაშობა, როკვა, პლასკა,  
იქვე დამოწმებული ფუნდრუკობაც, რომლის სახელური ძირი  
ფუნდრუკია.<sup>3</sup> 6. ჩუბინაშვილის განმარტებით კი ფუნდრუკი  
მრავალგვარი საკისკასო მღერაა ჭაბუქთა, პლასტა, პლასკა,  
ხოლო ხუნტრუცი ქალთა ცეკვად არის განმარტებული.<sup>4</sup> ეს  
უკანასკნელი ტერმინი (ხუნტრუცი) დ. ჩუბინაშვილს მხოლოდ  
ცეკვად, როკვად, პლასკა-დ, ფუნდრუკად აქვს განმარტებული.<sup>5</sup>

ძველ ქართულ წერილობით ძეგლებში მხოლოდ ფუნდუკ  
ღერძება ცნობილი, რაც ქარვასლას, სასტუმროს მინაარსის შემ-  
ცველია.<sup>6</sup>

თურქეთში მცხოვრებ ქართველთა მეტყველებაში ფუნდრუკობს  
ნიშნავს: სიხარულით მირბი-მორბის, ბრუნავს, ცეკვავს; „შიო ფადიმეი  
ფუნდრუკობს საკოცნელად რავაია?!“; „ხბიები ფუნდრუკობენ ბახ-  
ჩაში“.<sup>7</sup>

ქართული ენის ფშაურ კილოში ფუნდრუკი კუნტრუშის მნიშ-  
ვნელობით იხმარება.<sup>8</sup> იმავე ფშაურში ეს სახელდება ფუნტრუკ  
ფორმითაც გვხვდება და გაჯავრება, ტლინკვას აღნიშნავს.<sup>9</sup> ღირს-  
საცნობია, რომ იმავე კუთხეში ფუნდრუკის სახეცვლილი სიტყ-  
ვაფორმა ფუნდუკი მთასაც ეწოდება, რომლის შერქმევა ასეა  
ახსნილი: „ფუნდუკი მთაა, გადასავლელი ფშავსა და გუდამაყარს  
შეა. მთავარი ტრასაა ცხვრისა. კახეთიდან თიანეთზე და ფშავზე  
(ჩარგალზე და კაწალხვზე) გავლით ასე მიღიოდა გზა დარიალ-  
ისკენ, ჩრდილოეთისკენ. ამიტომ შეიძლება უკავშირდოდეს ძველი  
საქართველოს ფუნდუკებს (ღამის სათვეებს). ადგილობრივი „ფუნ-  
დრუკს“ უკავშირებენ: „ქალს ვიღაცას დაუჭენებია ცხენი, გაღმო-  
ვარდნილა და მომკვდარაო“!<sup>10</sup> აქ საყურადღებო ისიცაა, რომ ხალხური  
ეტიმოლოგია ფუნდუკ და ფუნდრუკ ღერძებს ერთმანეთთან  
აიგივებს, რაც იმას მეტყველებს, რომ ეს ორი სიტყვა, მართლაც,  
ერთი საერთო არქეტიპიდან შეიძლება მომდინარეობს.

აღსანიშნავია ისიც, რომ ქართული ენის დასავლურ კილოებში,  
კერძოდ იმერულში, ფუნდრუკი ხტუნვის, კუნტრუშის, თამაშის

გამომხატველია.<sup>11</sup> ასეთ განმარტებას გვთავაზობს ქართული უნის განმარტებითი ლექსიკონიც.<sup>12</sup>

ღირსსაცნობია მოხეური დიალექტის მონაცემებიც, სადაც ზმნის პირიანი ფორმა აფუნდრუკებს ნიშნავს: ხელში ათამაშებს, აფრენს ახტომებს.<sup>13</sup>

ამრიგად, ზემოთქმულის საფუძველზე უნდა გავარჩიოთ ფუნდრუკ ლექსიების ორი სხვადასხვა წარმომავლობა: 1. ფუნდრუკი სპარსული სიტყვაა და ქარვასლას, სასტუმროს ნიშნავს, 2. ფუნდრუკი ცეკვის აღმნიშვნელი ტერმინია (რომელიც შეიძლება მიგვეღო წარმოშობით სპარსული ფუნდრუკ სიტყვისაგან: ფუნდრუკ → ფუნდრუკ, რაეს განვითარებით?)

ჩვენი აზრით, ფუნდრუკის ქართულ წარმომავლობაზე საგულისხმო ჩვენებას იძლევა ნიკო და დავით ჩებინაშვილების ლექსიკონებში არსებული სიტყვა ფუნდრურა // ფუნდრური, რომელიც ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის მიხედვითაც ნეხვის ჭიას ჰქვია. ამრიგად, ფუნდრუკ (-უკ → უკ // → -უჭ)-ში -უკ სიტყვასაწარმოებელი (კნინობითი) ბოლოსართია, რომელიც ძველი ქართული ენის სხვა სიტყვებშიც (უბადრუკი <- \*უბადურუკი...>) გვაქვს,<sup>14</sup> სახელური ძირია ფუნდრურ: \*ფუნდრურ-უკ → ფუნდრუკ, რომელშიც უ ხმოვანი დაკარგულია. როგორც ვიცით, უ ხმოვნის დაკარგვა-რედუცირება მორფოლოგიაში ბრუნებისას სახელთა ფუძეში არ მოგვეპოვება, მაგრამ სიტყვაწარმოებაში ეს პროცესი აუცილებლად უნდა გვქონდა. შდრ. ტურ-ტური → ტურტლი, ჩურჩული – ჩრის, ჩასჩარა, ჩურჩნის, ჩუჩხური → ჩუჩნის // ჩუჩქნის. ამ ლექსიებში ყველგან ხმაბაძვით-ბგერწერული ვითარება გვაქვს. ასე რომ, ზემორე ფუნდრუკიც ძველად ამგვარი „ქცევით“ მიღებული, ნარედუქციალი სიტყვაფორმა უნდა იყოს. ფუნდრუკი ძველად არევ-დარევას, ანუ არეულ-დარეულ, მოქმედებას გულისხმობდა. ეს მნიშვნელობა დღემდე შემორჩინა ქართული ენის იმერულ კილოს: აფუნდრიაკებს – აფუნდრიაკება – ფუნდრიაკი, რაც ნიშნავს აყალმაყალს, არევდარევას (შდრ. ჩვენ მიერ შეკრებილი მასალისეული ამონარიდი: „ნუ აფუნდრუკეფ, ბოშო, პრასტინას“ = ნუ არხევ, ნუ აქნევ აქეთ-იქით, მტვერს ნუ აყენებ). ვფიქრობთ, აქედან უნდა განვითარებულიყო ის მნიშვნელობა, რაც ადრევე, ძველად (და იშვიათად ახლაც), ფუნდრუკს ჰქონდა: კუნ-



ტრუში, ხტომა, თამაში; ამრიგად, ფუნდრუჟი – (არევდარუება//  
აყალმაყალი → კუნტრუში, ხტომა, თამაში) → ფუნდრუჟი  
(ცეკვის ერთ-ერთი სახეობის აღნიშვნა).

საყურადღებოა, რომ ორონიული მნიშვნელობით ზმნას „დაფუნ-  
დრუჟობს“ ახლაც იტყვიან ისეთ ქალზე, რომელიც ასაკოვანია და  
სიარული გასძნელებია ან დაღლილ-გადაღლილია და გარჯა-საქმი-  
ანობა გასჭირვებია.

რაც შეეხება სიტყვა ხუნტრუჟს, სულხან-საბას განმარტებით,  
იგი ქალთა ფუნდრუჟია. ხუნტრუჟი კი ქართული ენის განმარტე-  
ბითი ლექსიკონის (რვატომულის) მიხდვით ხტუნვას, ცუნდრუჟს,  
ნიშნავს, რომლისგანაც განვითარებულა ამ სიტყვის მეორე მნიშ-  
ვნელობა: უშნოდ ამსუბუქება, შეუფერებელი საქციელი, ლაზლანდარო-  
ბა: „დავლიეთ, მოვსძახეთ „ორიდელა“, ვიხაბალეთ, ვისუნტრუჟეთ“.<sup>15</sup>  
შდრ. რაჭული ხლარცუნი – ულაძაზოდ შემოხვევ(ნ)ა, ხუნტრუჟი.

იმერულ კილოში ხუნტრუჟის ორივე მნიშვნელობა გვაქვს,  
რაც ამჟამად უფრო მეტად ქალის ულამაზო, შეუფერებელ, დაუოკე-  
ბელ მოძრაობა-მოქმედებაზე ითქმის. ხუნტრუჟი, ისევე როგორც  
ფუნდრუჟსა და ცუნდრუჟ სიტყვებს, ბგერწერული ხასიათი აქვს,  
ისინი წარმოშობით საკუთრივ ქართული სიტყვათორმებია. ასეთი  
ბგერწერით-ხმაბაძეითი ლექსიმები ქართული ენის დიალექტებში  
დღესაც მრავლად მოვეპოვება. მაგ., ხურხური (ქიზიყური)<sup>16</sup> –  
ბევრი ხალხის ერთად მოძრაობა, უსუსფუსი. ხუსხუსი (ქიზიყური,  
ფშაური) – მოხუცის სწრაფი სიარული; ხუბუცი (<– ხურხუცი  
= ბერი კაცის ტრფობა),<sup>17</sup> ახალფეხადგმული ბავშვის რბენა,<sup>18</sup>  
ხუშტუჟი (ქიზიყური) თავნებობა, უხასიათობა; ხუშტური (ქიზ-  
იყური), შდრ. ხუშტური (მესხური) უნინ, კაპრიზი, ფხუკი, იგივეა,  
რაც ხუშტურა, ხუშტურიანი, ავზნიანი.<sup>19</sup>

ვფიქრობთ, ფუნდრუჟი (რომელიც მეგრულში, როგორც ჩანს,  
ქართული ენიდან შესულა, შდრ. „გილეფუნდრიაკუქ“ = „დაფუნ-  
დრიაკუბ“) და ხუნტრუჟი, რომლებიც ძველად საფერხულო ცეკ-  
ვა უნდა ყოფილიყო (პირველი ვაჟთა, მეორე – ქალთა), მიგვი-  
თითებს ამ ცეკვათა ძუნბულით, უშნოდ მოძრაობით გამოშსახველ  
(იქნებ სახუმარო) სახასიათო ცეკვის შესრულების მანერაზე,  
როგორც ეს ფარცაკუკუში გვაქვს (ამის შესახებ სხვა დროს...).  
სწორედ ამიტომ განირჩა იმთავითვე ქალთა და ვაჟთა საფერხუ-

ლო ცეკვის ამ სახეობის სახელდებაც და შემსრულებელთა სქემიც (საფიქრებელია, ადრე, იმთავითვე, ვაჟთა ფერხულში ქალს ეკრალებოდა მონაწილეობის მიღება და პირუკუ – ქალთა ამ საფერხულო ცეკვაში (ხუნტრუცი) ვაჟს არ შეეძლო თანამონაწილეობა). ღირსსაცნობია ისიც, რომ დღემდე იმერეთში ვისი ცეკვაც არ მოეწონებათ, ქალის იქნება თუ კაცის, ან ორივესი ერთდროულად, „რავა დამუნებულობებ“ „ჭურუს ცეკვავნო“, – იტყვიან. სწორედ მოწონება-არმოწონება, ირონიულობა და სახუმარო მოძრაობა და „ილეტები“ უნდა დასდებოდა ამ საფერხულო ცეკვას საფუძვლად, რამაც იმავდროულად გამოიწვია მათი სახელწოდების „ბერწერული“ წარმოქმნა. აქვე შევნიშნავთ, რომ ეს ცეკვა ნიუანსობრივ დასადგენია, აღსაწერია, აღსადგენია, ვინ იცის, იქნებ რომელიმე კუთხეში რელიეფის სახით ახლაც იყოს შემორჩენილი.

ასეთი ბერწერული ხასიათისაა ჯუნდრუკიც, რომელსაც ნ. ჩუბინაშვილი ცეკვის ერთ-ერთ სახეობად ასახელებს.<sup>20</sup> ცხადია, ჯუნდრუკ ლინგვისტური თვალსაზრისით, დიდად არ განსხვავდება ცუნდრუკ და ფუნდრუკ // ხუნტრუც სიტყვებისაგან. ყველა ეს სახელდება ბერითი სიმბოლიკის გზითაა წარმოქმნილი.

რაც შეეხება ბუნდრუკ სიტყვას, რომელიც ნაშრომის შესავალში ვახსენეთ, ისიც ზემოთ განხილული სიტყვაფორმების ანალოგიურია, მათი ვარიაციული სახეა. იგი, როგორც დამოუკიდებელი ლექსება და როგორც სალექსიკონი ერთეული, ფუნდრუკ და ცუნდრუკ-ის გვერდით ახლაც შემორჩენია გურულ კილოს. სამივე მათგანი ამ კილოში უხეიროდ ხტუნვას ნიშნავს: „დაბუნდრუკის, დახტის“<sup>21</sup> ს. ყლენტის განმარტებით, ბუნდრუკი თავისუფლად თარეშს, თავის ნებაზე სიარულის მნიშვნელობის მქონეა.<sup>22</sup>

ამრიგად, თუ ზემოთქმული ლექსემების ფონეტიკურ-ეტიმოლოგიურ მსჯელობებს შევაჯამებთ, ლინგვისტურ-ეტიმოლოგიური თვალსაზრისით, შეიძლება დაგასკვნათ, რომ თითოეული ‘ხტუნვის’ აღმნიშვნელი სიტყვაფორმა ერთი საერთო, არქაული, პირვანდელი სიტყვისაგან მომდინარეა. ეს სიტყვაა -უკ სუფიქსით ნაწარმოები ბუნდრუკი (<-\*ბუნდურ-უკ-ი).

ბ უ ნ დ რ უ კ-ი:  
/                  ↓                  ↓                  \

ფუნდრუკი ცუნდრუკი ჯუნდრუკი ხუნტრუცი




ყველა, ხუთივე, ბგერწერულ-ვარიაციულ ფორმას თანამედროვე ქართული ენის დიალექტებში დღესაც შენარჩუნებული აქვთ ჰავდა-პირველი მნიშვნელობა – უხეირო, ულამაზო მოძრაობა, ხტომა-კუნტრუში, როგორთაგან ზოგიერთი ქართულ ენაში ეთნოქორეოგრაფიულ ტერმინ-სახელდებადაც ჩამოყალიბდა. სამომავლოდ ეთნოქორეოგრაფიულ ტერმინთა კვლევა ამ კუთხით, ვფიქრობთ, არაერთ ანალოგიურ ძირს, სიტყვა-ფორმასა და ნაირგვარ სპეციფიკურ სახელდებას გამოავლენს.

### გამოყენებული ლიტერატურა:

1. ბ. ცხადაძე, ცეკვა – ქართული სულის ნათელი, დაბეჭდილია წიგნში: რ. ჭანიშვილი, ქართული ცეკვის საღიღებელი (გამოჩენილი ადამიანები ქართული ხალაური ქორეოგრაფიის შესახებ), თბ., 2007. გვ. 140.
2. ს-ს. ორბელიანი, ოზურებანი. ტ. IV, ქართული ლექსიკონი, ავტოგრაფული ნუსხების მიხედვით მოამზადა ილია აბულაძემ, თბ., 1965, გვ. 302.
3. დ. ჩუბინაშვილი, ქართულ-რუსული ლექსიკონი, მეორე გამოცემა, აღდგენილი ოფსეტის წესით, სასტამბოდ მოამზადა და წინასიტყვაობა დაურთო ა. შანიძემ, თბ., 1984, გვ. 1318.
4. 6. ჩუბინაშვილი, ქართული ლექსიკონი რუსული თარგმანითურთ, ალ. ღლონტის რედაქციითა და გამოკვლევით, თბ., 1961, გვ. 229.
5. დ. ჩუბინაშვილი, დასახ. ნაშრ, გვ. 1759.
6. ი. აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი (მასალები), თბ., 1973.
7. შ. ფუტკარაძე, ჩვენებურების ქართული, წიგნი პირველი, ბათუმი, 1993, გვ. 595.
8. ვაჟა-ფშაველას მცირე ლექსიკონი, შეადგინა ალ. ჭინჭარაულმა, თბ., 1969, გვ. 272.

9. გ. ხორნაული, ფშაური ლექსიკონი, თბ., 2000, გვ. 240.
10. გ. ხორნაული, დასახ. ნაშრომი, გვ. 240.
11. ქ. ძოწენიძე, ზემოიმერული ლექსიკონი, თბ., 1974, გვ. 344.
12. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი (რვატომეული), არნ. ჩიქობავას საერთო რედაქციით, თბ., 1956-1964.
13. ი. ქავთარაძე, ქართული ენის მოხეური დიალექტი (გამოკვლევა, ტექსტები, ლექსიკონი), თბ., 1985, გვ. 173.
14. ბ. ცხადაძე, უკ, უც, უჭ სუფიქსების წარმომავლობისათვის ქართულში, სმა ენათმეცნიერების ინსტიტუტის XLII სამეცნიერო სესიის მუშაობის გეგმა და მოხსენებათა ოზისები, თბ., 1985.
15. ტარტაროზი, №9, 1909, გვ. 3, სვეტი 1.
16. სტ. მენთეშაშვილი, ქიზიყური ლექსიკონი, ვ. თოფურიას რედაქციით. თბ., 1943.
17. ა. შანიძე, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. I, ქართული კილოები მთაში, მთის კილოთა ლექსიკონი, თბ., 1984, გვ. 466.
18. ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა, შეადგინა ალ. ღლონტმა, II, თბ., 1975, გვ. 385.
19. ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა, II, შეადგინა ალ. ღლონტმა, თბ., 1975, იქვე, გვ. 386.
20. ნ. ჩუბინაშვილი, დასახ. ნაშრომი,
21. გ. შარაშიძე, გურული ლექსიკონი, ქართველურ ენათა ლექსიკა, I, ვ. ბერიძის რედაქციით, თბ., 1932, გვ. 10.
22. ს. ჟღენტი, გურული კილო, თბ., 1936, გვ. 214.

# გეგმებებითი ვსიქოლოგია





## ინფორმაცია განსჯისათვის

დემოკრატიული საზოგადოება წარმოადგენს მანამდე მიღწეული საკაცობრიობო კულტურის მემკვიდრეს. წარსული საუკუნეების გამოცდილება — წარმატებანი და განხილანი, მართებული და ცრუ თეორიები — არა მხოლოდ შემთხვევითი ხასიათის ბუნებას ატარებს.

მეცნიერის წინაშე დგას ამოცანა გაარკვიოს თეორიათა წარმოშობისა და გაქრობის კანონზომიერებანი. განსაზღვროს ადამიანთა საზოგადოების განვითარების გზაზე მომხდარ მოვლენათა ბუნება, მათი პროგრესული თუ რეაქციული როლი, დაადგინოს, რა არის ისტორიულად განწირული და რა გამოხატავს ზოგად კანონზომიერებას, რომელიც აუცილებლად გამოყენებულ უნდა იქნას კაცობრიობის პერსპექტიული განვითარების გზაზე. სწორედ ეს სწრაფვა განვითარებისაკენ, ეს ხედვა მომავლისა წარმოუდგენელია ქვეყნის მომავალი თაობის აღზრდისა და სწავლების გზების დახვეწის გარეშე. ამ მიზნის აქტუალური მნიშვნელობა არც ერთი ეპოქის მოაზროვნეთათვის ეჭვს არასოდეს იწვევდა. მაგრამ, თუ მიზანი ყოველთვის ნათლად და გამოკვეთილად წარმოდგებოდა, ამ მიზნის მიღწევის გზები, საშუალებები და მეთოდები ყოველთვის სადაც იყო და ხშირ შემთხვევაში ერთმანეთის გამომრიცხავი. ბავშვისა და მოზარდის აღზრდისა და განათლების კანონზომიერებათა შესწავლის პრობლემა სხვადასხვა ასპექტით განიხილებოდა. არაერთმა დიდმა მოაზროვნებ იგი კვლევის საგნად აქცია. მეცნიერება, რომელიც ამ საქმის საკვლევდაა მოწოდებული, პედაგოგიკა.

პედაგოგიური მეცნიერების თეორიული პრობლემების შესწავლა წარმოუდგენელია ისტორიულ ეპოქათაგან მოწყვეტით, რადგანაც კაცობრიობის განვითარების თითოეული ისტორიული მონაკვეთი ყოველთვის საზოგადოების განვითარების გარკვეული ეტაპის ხედვისათვის დამახასიათებელ აყენებდა მიზნებს. ასე მაგალითად: მოზარდთა აღზრდის საკითხში სხვადასხვა ეპოქაში მონაცემებდა ისეთი პრიორიტეტები, როგორიცაა: ფიზიკური ძალა, ვაჟკაცობა, მორჩილება, ასკეტიზმი, მიწიერი სიამტკბილობანი და ა. შ.



მონაცემება ამ მიზნებისა, ბუნებრივია, განპირობებული იყოს და არის იმით, თუ რა სახის საზოგადოებასთან გვაქვს საქმე მოცემულ ეტაპზე და რა სახის მოთხოვნებს უყენებს იგი მოქალაქეებს, რა სახის ცნობიერება ბატონობს. მაშასადამე, აღზრდისა და განათლების არსი თავისი ბუნებით უთუოდ სოციალური მოვლენაა.

თვალსაჩინოებისთვის ვიხილავ, სწავლა-აღზრდის თვალსაზრისით, განსხვავებულ მოთხოვნებს: 1. ილია ჭავჭავაძე, 2. სპარტა, 3. პლატონი, 4. არისტოტელე, 5. ამერიკული თანამედროვე სკოლა.

„სავსება ერთობ ადამიანისა იმაშია,

რომ მის გონების აღმატებულებას შეწონილ

ჰქონდეს აღმატებულება ზნე – ხასიათისა“.

/ილია ჭავჭავაძე/.

ის მოვლენები, რომლებიც ჩვენ თვალწინ დატრიალდა და მთელი ჩვენი საზოგადოება ტვინით – გულამდე შეძრა: მოზარდთა მიერ ჩადენილი მკლელობანი, მიზეზთა დაუყოვნებლივ გამოაშკარავებასა და ამ ვითარების აღკვეთას მოითხოვს. საზოგადოება და თავად მეცნიერნი, რომლებმაც გულისტკივილით მიაქციეს ყურადღება მოზარდთა ქცევის ამ საზარელ და უნუგეშო სურათს, გვერდს ვერ უვლიან იმ ფაქტს, რომ საზოგადოება, რომლის მოვალეობაა აღზარდოს ქვეყანას ჯანსაღი (სულით და ხორცით) მომავალი თაობა, თავად დახვეწას მოითხოვს და მასში ყველაფერი წესრიგში როდია! ბავშვის სული და გონება მეტად მგრძნობიარეა და მასში ადვილად იტვიფრება ავი და კარგი და ამიტომაც გარემოცვა უთუოდ ღრმა და წარუშლელ კვალს ტოვებს ხოლმე მის ფსიქიკაზე. თუ როგორ პიროვნებად ჩამოყალიბდება ბავშვი, როგორც მოქალაქე, ზემოქმედებას მის გარშემო არსებული ყოფა და საზოგადოებრივი ეთიკურ-ზნეობრივი ნორმები განსაზღვრავენ. არსებობს კიდევ ერთი, ძლიერი ფაქტორი მოზარდის პიროვნებად ჩამოყალიბების გზაზე – სკოლა.

ილია ჭავჭავაძე ხაზგასმით აღნიშნავს, რომ სკოლის დანიშნულებაა ერთსა და იმავე დროს წვრთნიდეს ბავშვს და ასწავლიდეს კიდევც. ეს ორი ერთმანეთის გვერდი-გვერდ, ერთდროულად უნდა მოქმედდეს.

ილია მიუთითებს, რომ, მართალია, წვრთნასა და სწავლას მი-

ზანი ერთი აქვთ, მაგრამ საგანი მათი სხვადასხვაა. წვრთნა მომართულია ზნე-ხასიათის განვითარებაზე, ხოლო სწავლა კი გონიერი გახსნაზე. იღიასათვის მეცნიერი, რომელიც „კაი კაცად“ არ ჩამოყალიბებულა, საზოგადოებისთვის საშიშარი და მავნებელია.

იღია ჯერ კიდევ საუკუნის წინათ მოზარდის აღზრდა-განათლების საქმეში უდიდეს მნიშვნელობას ოსტატს – მასწავლებელს, ცალკე და, საზოგადოდ, სკოლის მოწყობის საქმეს ცალკე ანიჭებდა.

სკოლამ, იღიას თვალთაზედვით, ისე უნდა ასწავლოს და წვრთნას ახალგაზრდა, რომ მასში ქვეყნისათვის სასარგებლო საქმის კეთების სურვილი გააღვიძოს. სწორედ ეს სურვილია ის ძლიერი მოტივაცია, რომელიც ახალგაზრდას შესაფერი სწავლა-ცოდნის შექნის წყურვილს აღუძრავს, რაც, თავის მხრივ, მას ყოველგვარ დაბრკოლებასა და სირთულეს დაძლევინებს.

კარგა ხანია ჩვენს ქვეყანაში იღიას ეს შეგონებანი დავიწყებულია. საზოგადოებამ ამ ვითარებას კი მიაქცია ყურადღება და აკი სასწავლო-საგანმანათლებლო სისტემაში რეფორმებიც ტარდება, მაგრამ საკითხავია – შეძლებენ ახლადშემოღებული სიახლენი მოზარდის არა მარტო გონიერის გასხვივნებას, არამედ მისგან ნამდვილი ადამიანის, ჭეშმარიტი მოქალაქის, ქვეყნის ბედ-ილბლის მესაჭის აღზრდას?... დრო განსჯის.

## ელადა

### სპარტანული აღზრდის სისტემა

### სოციალურ – პოლიტიკური სიტუაცია

ჩვენს წ. აღ-მდე V-IV საუკ. ლაკონისკური წარმოშობის დორიელებმა დაიპყრეს პელოპონესის ცენტრალური ოლქები, რამაც განაპირობა მონათმებლობელური ურთიერთობების თავისებურ ფორმათა შექმნა. ადგილობრივი დაპყრობილი ხალხები სახელმწიფო საკუთრებას და ექსპლოატაციის ობიექტს წარმოადგენდნენ. დამპყრობელნი განსახლებულნი იყვნენ ქ. სპარტის ტერიტორიაზე და გაერთიანებულნი იყვნენ საჯარისო თემებში. სპარტის მთელი საზოგადოებრივი და სახელმწიფო მოწყობა იღვწოდა იმისათვის, რომ მუდმივ მზადყოფნაში პყოლოდა საომარი თემები, რაც განაპირობებდა სპარტანული ახალგაზრდების უწყვეტ საომარ წვრთნას.

## აღმზრდელობითი სისტემა

**აღმზრდის ამოცანები –** სპარტანული არისტოკრატიული აღმზრდის ძირითად ამოცანას შეაღენდა სამხედრო ოემის წევრის მომზადება. როგორც პლატონი თვალის „კანონებში“ მიუთითებს: „ჩვენ ვამტკიცებთ, რომ კანონმდებლობა ლაკედემონში დააწესა სისიტიები და გიმნასიები სამხედრო მიზნებისათვის“! იმავეს იმეორებს არისტოკრატებს: „ლაკედემონში... მოქალაქეთა თითქმის მთელ აღმზრდასა და საკანონმდებლო სისტემას გააჩნია სამხედრო მიზნები“.<sup>2</sup>

**საოჯახო აღმზრდა –** (დაბადებიდან – 7 წლამდე) სახელმწიფო კონტროლი ჩვილთა აღმზრდაზე პირველივე დღეებიდან ხორციელდებოდა. ახალდაბადებულს საგანგებოდ გამოყოფილ ადგილას – ლესხეში, სახელმწიფოს მიერ დანიშნული მოხელენი ყოველმხრივ ამოწმებდნენ (სამედიცინო შემოწმება). მხოლოდ ჯანმრთელი ბავშვები უბრუნდებოდნენ შშობლებს. ავადმყოფი ბავშვების ბედი გარკვეული არა. არსებობს პლუტარქეს მიერ მოწოდებული ცნობა, რომლის მიხედვით, ავადმყოფ ბავშვებს ტაიგეტის ხრამში ყრიდნენ და თუ ეს ცნობა ეჭვს ბადებს, ცნობები იმის თაობაზე, რომ ავადმყოფი ბავშვები სპარტანული დახურული თემებიდან მოშორებით იზრდებოდნენ, საქმაოდ სანდოა.

ჯანმრთელი ბავშვები 7 წლამდე ოჯახში რჩებოდნენ. პლუტარქე ხაზს უსვამს სპარტანული ძიძების ღირსებებს. (ამ ცნობების ამოკითხვა შესაძლებელია მის ცხოვრებისეულ შედარებით აღწერებში). პლუტარქეს მიხედვით, ჩვილს არტისტებში არ აკრავდნენ, რათა სხეულის ნაწილებისათვის თავისუფლად მოძრაობისა და განვითარების საშუალება მოეცათ. ჩვილს კვებავდნენ სადა და უხეში საჭმლით.

**სახელმწიფო აღმზრდის ორგანიზაცია –** 7 წლის ასაკში ბავშვები ოჯახს სტოკებდნენ და ჟაგანგებო სახელმწიფო საერთო საცხოვრებლებში სახლდებოდნენ. სპარტის სახელმწიფო აღმზრდის სისტემის ყველაზე ვრცელი აღწერა პლუტარქემ დაგვიტოვა. იმავე თემაზე ძალზე მნიშვნელოვან შენიშვნებს თავის „კანონებში“ პლატონი აკეთებს.

თემში ძალაუფლებას გვარში უხუცესნი ფლობდნენ. ამავე დროს, ასაკის გათვალისწინებით, მკაცრად იყო განსაზღვრული ზედამხედველთა უფლებანი და მოვალეობანი. ახალგაზრდა მამაკაცთა პოპულაცია 3 ძირითად ქვეჯგუფად ნაწილდებოდა: 1. „არასრულწლო-

ვანნი” (ოცდაათ წლამდე), 2. “მამაკაცნი” (ოცდაათი წლიდან სამოც წლამდე) და 3. უხუცესი (სამოცი წლის – ზემოთ).

„არასრულწლოვანთა“ აღზრდა-განათლება, თავის მხრივ, სამ ასაკობრივ საფეხურს მოიცავდა: 1) 7 წ. – 15 წ.; 2) 15 წ. – 20 წ.; 3). 20 წ. – 30 წ. როგორც ვხედავთ, აღზრდის პირველი საფეხური 7 წელი გრძელდებოდა. ამ პერიოდში აღსაზრდელების ცხოვრების სტილი მთლიანად ემორჩილებოდა სამხედრო წესებს. როგორც პლუტარქე აღნიშნავს, აღზრდის მთელი ამ პერიოდის განმავლობაში აღსაზრდელები ერთად ცხოვრობდნენ, ეჩვეოდნენ შეთანხმებულ თამაშებსა და შრომას. წერა-კითხვა ისწავლებოდა იმდენად, რამდენადაც შეუძლებელი ხდებოდა მინიმალური ცოდნის გარეშე არსებობა. მოზარდთა მიმართ უმთავრესი მოთხოვნა იყო: მორჩილება, გამძლეობა და ჭირთა ატანის ჩვევის გამომუშავება.

ეს თავისებური „კადეტთა კორპუსი“ მთლიანად ექვემდებარებოდა სახელმწიფო ცენტრალურ ხელისუფლებას.

აღზრდის პირველი პერიოდი სრულდებოდა არტემიდას საკურთხეველთან გამართული შეჯიბრითი. გიმნასტურ და მუსიკურ შეჯიბრებების დასრულებისთანავე, იწყებოდა მოზარდების „გაწკეპვლის“ ცერემონიალი, როგორც მოზარდის გამძლეობის ერთგვარი გამოცდა. სამწუხაროდ, ასეთმა ცერემონიალებმა არა ერთი ახალგაზრდის სიცოცხლე შეიწირა. პირველი ეტაპის შემდეგ იწყებოდა აღზრდის ახალი ეტაპი, ე. წ. „გამოცდის წელი“, რომლის მიზანი მოზარდის სამხედრო მომზადების გამოვლენა იყო. ამ დროიდან მოყოლებული მოზარდი იარაღს ატარებდა.

ჯგუფებად დაყოფილი მოზარდები მთელ სპარტანული სახელმწიფოს ტერიტორიაზე პოლიციურ და სამხედრო სამსახურს ეწეოდნენ. თუ გავითვალისწინებთ, რომ დამონებული, დაპყრობილი, სრულიად უუფლებო ადგილობრივი მოსახლეობა ვერ ურიგდებოდა თავის ხევდრს და ხშირად იარაღით ხელში იბრძოდა თავისუფლების დასაბრუნებლად, ადვილი მისახვედრია, რომ არა ერთი თხუთმეტი წლის მოზარდი ეწირებოდა ამ ბრძოლებს.

„გამოცდის პერიოდი“ ქ. სპარტაში დაბრუნებით და კვლავ საჯარო შეჯიბრებით სრულდებოდა.

ახლა უკვე მოზარდები ორ ჯგუფად იყოფოდნენ: 1) 15 წ.-17 წ.; 2) 17 წ. – 21 წ.

ახალგაზრდებს ჯერ კიდევ არა აქვთ მინიჭებული მოქალაქის უფლებანი, თუმცა ისინი უკვე იღებენ მონაწილეობას აღმზრდელობით საქმიანობაში, როგორც უფროს აღმზრდელთა თანაშემწენი.

არ შეიძლება არ აღინიშნოს, თუ რაოდენ დღიდ ყურადღება ექცეოდა სპარტაში მოზარდთა მეტყველების კულტურას. საუბარი მოზარდისა უნდა ყოფილიყო, მართალია, სარკასტული, მაგრამ – მოხდენილი და დახვეწილი. ფრაზები მოკლე, მსმენელთა ფიქრის აღმზრული. სიმღერასა და მუსიკას ისეთივე მონდომებით ასწავლიდნენ, როგორც სიტყვის წარმოთქმის გამართულობასა და მკაფიობას.

მხოლოდ ოცდათ წელს მიტანებული ახალგაზრდა მამაკაცი ხდებოდა სპარტის სახელმწიფოს სრულუფლებიანი მოქალაქე.

გოგონათა აღზრდა დიდად არ განსხვავდებოდა ვაჟთა აღზრდისაგან; სხეულის დახვეწა და გაკაუება. მოტივი – ჯანსაღი და ძლიერი ქალ-ვაჟი ძლიერ შთამომავლობას წარმოშობს.

სპარტანული აღზრდის მეთოდი, როგორც დავინახეთ, მცირედიყო დაინტერესებული ცოდნის გაღრმავებით, რაც, თავის მხრივ, აისახა სპარტის კულტურის დონეზე. ამითაა განპირობებული, რომ ბერძნული ფილოსოფიის, ლიტერატურისა და ხელოვნების განვითარებაში სპარტას თითქმის არავითარი მონაწილეობა არ მიუღია.

პლატონის პედაგოგიური შეხედულებანი – ანტიკური პედაგოგიკის იტორიაში პლატონის პედაგოგიურ თეორიებსა და პრაქტიკულ მოღვაწეობას ამ სფეროში განსაკუთრებული ადგილი უკავია.

მისი შეხედულებანი პედაგოგიკაზე გაბნეულია ისეთ ნაშრომებში, როგორიცაა: „სახელმწიფო“, „ნადიმი“, „კანონები“ და სხვა. უან-უაკრუსო, „ემილიში, ანუ აღზრდის შესახებ“, მიუთითებს: „თუ გსურთ წარმოდგენა იქონიოთ, თუ რა არის სახელმწიფო აღზრდა, იკითხეთ პლატონის „რესპუბლიკა“.<sup>3</sup>

პლატონის პედაგოგიური სისტემის ისტორიული წინაძლევები – ისტორიული ფესვები, რომელთა საფუძველზე შეიქმნა სახელმწიფოს პლატონისეული სისტემა, საოცრად რთულნი და მჭიდროდ დაკავშირებულნი არიან ბერძნული ფილოსოფიის ისტორიასთან.

სოფისტებამდე ადამიანის აზროვნება მიისწრაფოდა სამყაროს სურათში საერთო კანონზომიერებებს სწვდომოდა. ამავე დროს, სოფისტებამდე არსებული აზროვნება აღიარებდა ადამიანის ცნო-

სანამ განვიხილავდეთ პლატონის მოსაზრებებს ახალგაზრდობის სწავლა-აზრდის პრობლემებზე, საინტერესოა, თუ როგორ წარმოუდგენია პლატონს ის სახელმწიფო, რომლის მოქალაქედ და ინტერესთა დამკალადაც უნდა აღიზარდოს ახალგაზრდობა.

იდეალური სახელმწიფოს შექმნის საფუძვლად იგი ყველაზე უფრო მძაფრ სოციალურ პრობლემათა მოწესრიგების საკითხს აყენებს. სახელმწიფოს მოწყობის მთავარ პრინციპად პლატონი სამართლიანობას მიიჩნევს. სამართლიანობა კი გულისხმობს ქვეყნის თითოეული მოქალაქისათვის მისთვის შესაფერი მდგომარეობისა და ადგილის მიკუთვნებას. სამართლიანობა სახელმწიფოში ერთ პარმონიულ მთელში კრავს განსხვავებულ და ხშირად არაერთგვაროვან ნაწილებს.

საინტერესოა სახელმწიფოს დემოკრატიული პრინციპით მოწყობის პლატონისეული ხედვა: „დემოკრატია, ჩემის აზრით, იმარჯვებს მაშინ, როდესაც ღარიბი და უცოვარნი იმარჯვებინ... დემოკრატია თვრება განუზავებელი თავისუფლებით და კიდევ უფრო აღრმავებს მდიდარ და ღარიბ კლასებს შორის გათიშულობას. იწყება ბრძოლა ძალაუფლებისათვის. რაღაც ქმედება, რომელიც დიდი ძალისხმევით ხორციელდება, ამ ქმედების საწინააღმდევო შედეგს შობს. ზედმეტი თავისუფლება ბადებს სახელმწიფოს, რომელშიც არავითარი თავისუფლება აღარ არსებობს. ქვეყანაში მძლავრდება უკანონობა, კორუფცია, პარტოკრატია, იდევნება თავისუფალი აზროვნება, „არასასურველ“ ელემენტთაგან ქვეყნის წმენდა მიმდინარეობს“.<sup>4</sup>

პლატონის პედაგოგიური სისტემის მეტაფიზიკური საფუძვლები – პლატონის მსოფლიხედვის საფუძველთა საფუძველია მისი მოძღვრება იდეათა შესახებ. იდეათა სამყარო გასულია



ჩვენი რეალური ყოფიდან და განიხილება, როგორც თვითგმარიცვა მთლიანობა, ერთიანი თავისი მრავალგვარობით და მჭიდრო კავშირში მყოფი რეალურ სამყაროსთან.

რეალურ სამყაროს პლატონი აღიქვამს, როგორც ქმნადობის უწყვეტ პროცესს, ჯერ კიდევ ჩამოუყალიბებელი მატერიის გადასვლას იმ მრავალგვარობაში, რომლითაც ხასიათდება ჩვენ ირგვლივ არსებული სიცოცხლე და ეს მრავალგვარობა არ წარმოადგენს საკუთარ თავში დახშულობის მიზანს, არამედ იგი გარდამავალი ეტაპია იდეების სამყაროსთან ზიარებისა.

ინდივიდუალური ადამიანური ცნობიერება სამყაროს სულთან ორგანულად შერწყმული ნაწილია და იგი დაბადებაძლევც არსებობს. სულის საუკეთესო ნაწილი (გონიერება) განუხრელად ისტრაფვის იდეათა სამყაროსთან სრული შერწყმისაკენ, მაგრამ ინდივიდუალურ ცნობიერებაში არსებობს ბოროტი საწყისიც, რომელიც მარადიულ ქაოსს შეესატყვისება და ქმნადობის სამყაროში მუდმივ მერყეობას განიცდის. მანამ, სანამ კეთილი საწყისი ბატონობს, ადამიანის სული იდეათა სამყაროსთანაა კავშირში. მაგრამ საკმარისია თავი წარმოპოს რომელიმე ბოროტმა საწყისმა, ირლვევა ინდივიდუალური ადამიანური ცნობიერების ჰარმონია. ადამიანის შემდგომი ბედი ამ, ერთმანეთისადმი მტრულად განწყობილ ელემენტებს შორის სულის დანაწევრებაზეა დამოკიდებული. თუ ეს გახლეჩა ძალიან შორის წავიდა, ადამიანი, რომელმაც განვლო მაღალი ინტერესებიდან მოწყვეტილი მიწიერი ცხოვრება, დაივიწყა რა საკუთარი ზეციური სამშობლო, სიკვდილის შემდევ იძირება არყოფნაში.

თავის სისტემაში პლატონი უდიდეს მნიშვნელობას სილამაზეს, მშვენიერებას ანიჭებს, რომელიც მისთვის ის ხილია, მიწიერ ყოფიერებას იდეათა შორულ სამყაროსთან რომ აკავშირებს. თავად სილამაზეც იდეათა სამყაროდანაა და სხვა იდეათაგან განსხვავებით, მიწიერ ყოფაში თვალხილულად, გრძნობათა ორგანოების საშუალებით გვეძლევა. სილამაზე, მშვენიერება გრძნობად სამყაროში პლატონისათვის მხოლოდ ერთი საგნის თვისებაა, მაგრამ იდეათა სამყაროსთან შერწყმით, ერთი, კონკრეტული მშვენიერება ყველა მისი გარენული გამოვლენის თვისებას და ყველგან და ყოველთვის იგივეობის ნიშანს იძენს. ამრიგად, ადამიანი თავისუფლდება ერთი, რომელიმე მშვენიერებისადმი მიჯაჭვულობისაგან

და მისი შზერა მიმართულია ყველა მშენებელის ჭვრეტისკენ, ეს მიმართვა კი ბადებს მშენებრ სიტყვებსა და აზრებს, რომელნიც, თავის მხრივ, სიბრძნისაკენ ისწრაფვიან.

**განათლების ფსიქოლოგიური საფუძვლები** – პლატონი მიიჩნევს, რომელიც ყოველი ახლად შეძენილი ცოდნა, იმ ცოდნის გახსენების პროცესს წარმოადგენს, რაც ადამიანს მიწიერ ცხოვრებამდე გააჩნდა. თხზულებაში „მენონი“ ფილოსოფოსი ავითარებს აზრს, რომ თუ სულმა, რომელიც უკვდავია, ყველაფერი ნახა და ამიტომაც არ არსებობს საგანი, რომელსაც სული არ იცნობს, მაშინ უკვე მასშია შესაძლებლობა გაიხსენოს როგორც, სიკეთე, ისე სხვაც. ასეთ გახსენებას ადამიანები მეცნიერებას უწოდებენ. კვლევა და სწავლება სხვა არაფერია, თუ არა სრულყოფილი გახსენება.

სწავლება შემცნების შესახებ პლატონის სისტემის უმნიშვნელოვანესი ქვაკუთხედია, რომლის გაების გარეშე წარმოუდგენელია პლატონის პედაგოგიურ შეხედულებათა წვდომა.

შემცნების გზა მრავალსაფეხურიანია. პირველი საფეხურია შემცნება – მარტივი, შეგრძებითი აღქმის საფუძველზე განხორციელებული. მაგრამ ჭეშმარიტი ცოდნა შეგრძებებისა და მარტივი აღქმების საფუძველზე არ მიიღწევა. შესამცნებლად სული იმ მდგომარეობაში უნდა იმყოფებოდეს, როდესაც იგი უშუალოდ დაკავდება ყოველი არსებულის არსში წვდომით.

პლატონისეულ ამ ჭეშმარიტებაზე იგება აღზრდისა და განათლების მისეული სისტემა. დაბადებიდან ბავშვის აღზრდა მთლიანად სახელმწიფოს გამგებლობაში გადადის. ბავშვს სამუდამოდ აშორებენ მშობლებს ოჯახის მავნე გავლენის ასარიდებლად.

სულისა და სხეულის დასახვეწად პლატონი აღზრდისა და განათლების სისტემაში რთავს გიმნასტიკასა და მუსიკას (კლასიკური, ფართო გაგებით), მაგრამ ამ დისციპლინათა სწავლებაზე მკაცრ შეზღუდვებს აწესებს. მისი პურიტანული პოზიცია იშლება „სახელმწიფოს“ მეორე და მეათე წიგნების ფურცლებზე.

სწავლა-აღზრდის გზაზე უპირველეს ყურადღებას პლატონი ზღაპრებს მიაპყრობს, იმ მოტივით, რომ ბავშვის ჯერ კიდევ ჩამოუყალიბებელ სულსა და ცნობიერებაზე ზღაპრებს შეუძლია წარუმლელი კვალი დატოვოს და ხელი შეუმალოს სულის შემდგომ



დახვეწას. ამავე მოტივით ეს მოაზროვნე უფურადღებოდ არ ტოვებს ბერძნულ ეპონსა და დრამებს.

„ილიადას“ შესავლის ანალიზისას პლატონი ადგენს ლიტერატურული შემოქმედების სამ სახეობას: „თხრობას“, „მიბაძვას“ და „შერეულ სტილს“.

„თხრობა“ გულისხმობს ავტორისეულ თხრობას, „მიბაძვაში“ ავტორი საკუთარ აზრებს ნაწარმოების გმირს ათქმევინებს, „შერეულ სტილში“ კი ერთ ლიტერატურულ ქმნილებაშია გაერთიანებული წინა ორი სტილი. სწავლების სისტემაში პლატონი მხოლოდ „თხრობისა“ და „მიბაძვის“ სტილის სწავლებას უშვებს და უარს ამბობს „შერეული სტილის“ სწავლებაზე, რადგანაც, მისი თვალთახედით, „ადამიანს არ ახასიათებს გაორება და რომ თითოეული აკეთებს მხოლოდ ერთ საქმეს“.<sup>5</sup> მისთვის რეალური სამყარო მეორად ადგილს იყავებს ჭეშმარიტების სამყაროსთან მიმართებით. ამიტომაც ხელოვნების ნიმუში ბუნდოგანნი არიან ჭეშმარიტებასთან შედარებით.

გასაოცარია ამ დიდი მოაზროვნის მიგნებანი. მან მიაქცია ყურადღება, რომ მომავალი დედის სულიერი მდგომარეობანი ძლიერ მოქმედებს ბავშვის ორგანიზმზე, ამიტომაც მთელი ორსულობის პერიოდის განმავლობაში დედა უნდა განერიდოს როგორც გადამეტებულ ვწებას, ასევე მწუხარებასაც და მთელი ეს პერიოდი დედის ცხოვრებაში ისხარულით უნდა იყოს შეფერადებული.

არანაკლებ ყურადსაღებია ფილოსოფოსის შემდეგი დაკვირვება: არამდგრადი ადამიანური ბუნება ადვილად ექცევა ცვალებადი განწყობილებების გავლენის ქვეშ, რაც არღვევს ადამიანური ბუნების სისუფთავესა და გარკვეულობას. მრავალფეროვან გარეგნულ მოძრაობებს კი ფიქიური ენერგიის სიჭარბე სხვა ვექტორზე გადაჰყავს და ხელს უწყობს სულიერი ცხოვრების გაწონასწორებულობას.

პლატონი მომხრეა სწავლების თამაშის ფორმით წარმართვისა. თავად თამაშებს ახალგაზრდის მომავალ ცხოვრებაში დიდი ადგილი ეთმობა, თანაც თამაშის დროს ბავშვი უნდა იყენებდეს იმ შრომით იარაღებს, რომელიც ნამდვილთა შეგავსია და რომელთაც ზრდასრულობაში ადამიანი ოსტატობითა და დახვეწით მოიხმარს. თამაშებიც კონტროლირებადი უნდა იყოს. თუ თამაშში ბავშვს სიახლე შეაქვს, ზრდასრულობისას ასეთი პიროვნება ახალ იდეებს

წარმოშობს, რაც შესაძლებელია, წინააღმდეგობაში მოვიდეს სახელმწიფოებრივ იღებისა და კანონებთან და გამოიწვიოს კანონსაწინააღმდეგო ქმედება.

სულიერ და ფიზიკურ ძალთა აღზრდისა და დახვეწის უმთავრესი პრინციპი, პარმონიულობაა. სიკეთე მშვენიერია, მაგრამ არ არსებობს მშვენიერება პარმონიის გარეშე. ამიტომაც ადამიანურ ძალთა დახვეწა ერთდროულად, ერთმანეთის პარალელურად უნდა ხდებოდეს, გიმნასტიკური და მუსიკური – ერთი ამოცანის მიღწევის ორი საშუალება.

წერა-კითხვის სწავლებისათვის გამოყოფილია სამი წელიწადი. პარალელურად ისწავლება მათემატიკის საწყისები (არითმეტიკა, გეომეტრია და ასტრონომია). და ყველა ეს სწავლება – მხოლოდ თამაშის გზით.

სამწუხაროა, რომ აქ მიხდება სტატიის გაწყვეტა და ის ძირითადი მოტივი, რომელმაც მიბიძგა მის დასაწერად, ნაოლად წარმოჩენილი არ არის. იმედია, უურნალის მომდევნო ნომერში მექნება შესაძლებლობა, ჩემი სათქმელი ბოლომდე მივიყვანო.

### გამოყენებული ლიტერატურა:

1. Жураковский Г. Е., Очерки по истории античной педагогики, М., 1963, Изд. Академии педагогических наук, стр. 16.
2. დასახელებული წიგნი, გვ. 16.
3. დასახელებული წიგნი, გვ. 47.
4. Платон, Государство, Кн.3, from: Ихтик <http://www.ufacom.ru/ihtik/>
5. Платон, Государство, Кн. 5, address.<http://bank.referatoff.ruu/006181.html>

**გარდასახვის ფსიქოლოგიური  
შესაძლებლობის შესახებ  
(ფსიქოლოგიური როლიდან სცენიურ როლამდე)**

თეატრალურმა ხელოვნებამ და, უფრო კონკრეტულად, თეატრისთვის ტრადიციულად დამახასიათებელმა გარემომ, მისმა ატრიბუტიკამ, ძირითადმა მახასიათებლებმა, ზემოქმედების ხერხებმა, მისმა არსობრივმა და ფუნქციურმა რაობა-მნიშვნელობამ განსაკუთრებული აღილი დაიმკვიდრა თანამედროვე არტ-თერაპიულ მეთოდთა შორის. ფსიქო-დრამა და დრამა-თერაპია, როლური თერაპია, მოქმედებით-თერაპია, ჰეპენინგი, პერფორმანსი, mask-making (ნიღბების დამზადება და ნიღბებით თერაპია) – თანამედროვე არტ-თერაპიის თითოეული სახე არა მხოლოდ პირდაპირ კავშირს ავლენს თეატრალურ ხელოვნებასთან, არამედ ზოგიერთ შემთხვევაში ზღვარსაც შლის ხელოვნებას, მეცნიერებასა და მედიცინას შორის. არსებობს თვალსაზრისი, რომელიც ამ პარადოქსულ ინტეგრაციას პოსტ-მოდერნულ „აღრევასა“ და „მიქსს“ უკავშირებს და, შესაბამისად, არტ-თერაპიას (და მის „თეატრალურ“ ფორმებსაც) თანამედროვე ხელოვნების სპეციფიკურ სახედ მიიჩნევს. იმ თავისებურ მხატვრულ მიმდინარეობად, რომელიც სპონტანურობით, თავისუფალი თვითგამოხატვითა და თვითრეალიზებით ხასიათდება, რომელიც უარს აბნობს აკადემიზმზე, ნებისმიერ კანონებსა თუ „ჩარჩოებზე“, რომელთაც პიროვნების კრეატული თავისუფლებისა და თამაშის სპონტანური იმპულსის შეზღუდვასა და ჩახშობასთან აკავშირებს.<sup>1, 2, 3, 4, 5, 6</sup>

„თამაშისული მეთოდები“ არა მხოლოდ შინაარსობრივად თუ ფუნქციურად ამდიდრებენ თანამედროვე არტ-თერაპიას, არამედ ასევე პროდუქტიულ ნიადაგს ქმნან თავად თეატრის ფენომენის მეცნიერული შესწავლისა და ანალიზისთვისაც. ამ მხრივ, ფსიქო-დრამა და დრამა-თერაპია (როგორც ერთდროულად თავისებური ლაბორატორია და არტ-სტუდია) თეატრის თეორიისა და ფსიქოლოგის ინტერესთა კვეთის არედ, მათი ერთობლივი ძიების სფეროდ შეიძლება (და, ალბათ, უნდა!) იქცეს.

არტ-თერაპიის დრამატული მეთოდები არა ერთ პრაქტიკულსა

და თეორიულ პრობლემას აშკარავებს და ყურადღების ფოკუსიში აქცევს. ასეთად, უპირველეს ყოვლისა, ისახება ისეთი ზოგადი, ესთეტიკასა და ხელოვნების ფილოლოგიაში დიდი ტრადიციის მქონე საკითხი, როგორსაც როლური თამაშისა და გარდასახვის საკითხი წარმოადგნს. არტ-თერაპია საშუალებას იძლევა, აღნიშნული საკითხი განსხვავებული, ახლებური რაკურსიდან იქნეს აღქმული. ამავე დატვირთვას და მნიშვნელობას იძენს არტ-პრაქტიკასთან დაკავშირებული თეორიული შეხედულებებიც, რომელთა შორისაც უნდა საგანგებოდ აღისიშნოს იუნგიანელი ფილოლოგისა და არტ-თერაპევტის რობერტო ასაჯოლის, თეორიული სისტემა – „ფილოსინთეზი“.<sup>7</sup>

გარდასახვის საკითხი არტ-თერაპიის ფუნდამენტურ საკითხებს განეკუთვნება. გარდასახვა, შედარებით პრიმიტიული იმიტაციისგან განსხვავებით, თერაპიის არა მხოლოდ ხელშემწყობ პირობად, არამედ ფისიკაზე ზემოქმედების მძლავრ და ეფექტურ ფაქტორადაც მიიჩნევა! შესაბამისად, არჩევანი გარდასახვის და არა წარმოლგენის (იმიტაციის) თეატრზე კეთდება.

თუმცა აქვე დგება მთელი რიგი პრობლემისა: რა უნდა ჩაითვალოს გარდასახვის კრიტერიუმად? რამდენადაა რეალურად შესაძლებელი გარდასახვა? ხომ არ გულისხმობს გარდასახვა იმიტაციას? და ბოლოს, ხომ არაა თანამედროვე ეტაპზე გარდასახვის ფენომენზე საუბარი ჲაზოგადოდ მოძველებული?

მითითებული საკითხებიდან თითოეული პრობლემური ხასიათისაა. ასე მაგალითად, გარდასახვის ობიექტური კრიტერიუმის ერთმნიშვნელოვანი განსაზღვრა, თითქმის შეუძლებელია. ერთი შეხედვით, ეს პრობლემა მოჩვენებითა და მსახიობის გარდასახვის, როგორც ფაქტის, კრიტერიუმად უნდა მიღებულ იქნეს სასცენო მოქმედების „რეზულტატი“, ანუ, ფართო აუდიტორის და ალბათ, უწინარესად კრიტიკის მიერ წასახიობის მოქმედების სათანადო, პოზიტიური შეფასება. მაგრამ, როგორც ნათელი ხდება, სასცენო მოქმედების შეფასება და მით უმეტეს, მყისიერი შეფასება (ისევე, როგორც შეფასება საზოგადოება) ფრიად სუბიექტურ ხასიათს ატარებს. ასევე სუბიექტურია და უნიკალურიც აუდიტორის თითოეული წევრის ემოციურ-ავეჯტური, კოგნიტურ-აზრობრივი თუ მოტორულ-ფიზიკური რეაქციებიც. მეორე მხრივ, კრიტერიუმად

შეიძლება მიჩნეულ იქნეს თავად მსახიობის შინაგანი, სუბიექტური განცდები, მაგრამ ვინაიდან ოეატრალური ხელოვნების არსეს მსახიობის სწორედ აუდიტორიასთან მიმართება შეადგენს, ამიტომაც მსახიობის ინტიმური განცდები ამ შემთხვევაში ნაკლებ მნიშვნელოვანია.

გარდასახვის საკითხს არტ-თერაპია წმინდა პრაქტიკული პოზიციიდან აშუქებს; კერძოდ, თუკი ფსიქო-ლრამისა და ლრამა-თერაპიის შედეგად პაციენტის ფსიქიკური თუ ფიზიკური მდგო-მარეობა უმჯობესდება (რისი ობიექტური რეგისტრაციაც შესა-ძლებელია სხვადასხვა ფსიქოლოგიური და სამედიცინო მეთოდებით!), მაშინ შეიძლება ჩაითვალოს, რომ პაციენტმა წარმატებით გაართვა თავი მხატვრული გარდასახვის ამოცანას და შეძლო ახალი როლის გათავისება. აქვე უნდა აღინიშნოს, თუ კონკრეტუ-ლად რას გულისხმობს თანამედროვე ფსიქოლოგია „როლის“ (ან, უფრო სწორედ, ფსიქოლოგიური როლის) ფენომენში.

რ. ასაჯოლის „ფსიქოსინთეზის“ („ფსიქოსინთეზი“ თეორიულ  
შეხედულებათა და პრაქტიკულ სავარჯიშოთა სისტემაა, რომელ-  
იც, უწინარეს ყოვლისა, ფსიქო-პროფილაქტიკის, კორექციისა და  
თერაპიის მიზნებს (ისახავს) საბაზისო იდეის მიხედვით: ყოველი  
პიროვნება ცალკეულ როლთა ან ქვე-პიროვნებათა (SUB-EGOS)  
ერთობლიობაა. პიროვნებისთვის დამახასიათებელი ყოველი რო-  
ლის (მშობლის, პროფესიონალის, მეგობრის, შეყვარებულის, მო-  
ქალაქის და ა. შ.) შეიძლება გაგებულ იქნეს, როგორც ცალკეუ-  
ლი ქვე-პიროვნება ან სუბ-ეგო (ქვე-მე), ვინაიდან მას საკუთარ  
მოთხოვნათა, განწყობათა და ორიენტიროთა სისტემა ახასიათებს.  
მაგალითად, ერთი და იმავე პიროვნების „როლთა რეპერტუარში“  
არსებული მშობლის როლი მნიშვნელოვნად განსხვავდება შვი-  
ლის როლისგან (ფაქტობრივად, ეს ანტაგონისტური როლებია),  
მიუხედავად იმისა, რომ მას ერთი და იგივე კონკრეტული პიროვნება  
ასრულებს. მშობლის როლის არს აქტიური ზრუნვა და პასუხ-  
ისმებლობა შეადგენს მაშინ, როდესაც შვილის როლისთვის  
დამახასიათებელი პასიური მორჩილებაა. (მაგალითისთვის შეგ-  
ნებულად ავიღეთ სტერეოტიპად ჩამოყალიბებული ვარიანტი: აქ-  
ტიური მშობელი – პასიური შვილი. თუმცა, რა თქმა უნდა,  
რეალურად შეიძლება სრულიად შეიცვალოს როლური შინაარსი:

შვილმა აქტიური, ხოლო მშობელმა პასიური როლები ანდა ორივემ ერთგვაროვანი როლები იტვირთონ.)

„ჩვენში ბრძოა!“ – ამ ფრაზით ასაჯოლი ადამიანში არსებულ, ერთმანეთისგან განსხვავებულ, მრავალრიცხოვან და მრავალფეროვან როლებზე (ან სუბ-ეგოებზე) მიუთითებს. პიროვნება ქვე-პიროვნებათა ერთობლიობაა და ყოველი ქვე-პიროვნება, თითოეული როლი თვითგამოვლენისა და თვითრეალიზებისკენ ისწრაფვის. პიროვნებას, სარდლის მსგავსად, მისი „ფსიქიკური არმიის“ ინტეგრაცია, კოორდინირება და გარკვეული მიზნებისადმი მიმართვა-ორიენტირება ევალება. ამ ამოცანას ართულებს ის გარემოებაც, რომ „ფსიქიკური არმიის“ ან „როლთა რეპრეტუარის“ ყოველი ცალკეული წარმომადგენელი (სუბ-ეგო თუ როლი) საკუთარი მოთხოვნებისა და „პრეტენზიების“ მატარებელია და, ამასთან ერთად, ახასიათებს ფიქსირების, ანუ, საკუთარი მოთხოვნებისა და პრინციპების პიროვნებისთვის თავზე მოხვევის ტენდენცია.

პიროვნების ყოველი როლი თუ ქვე-პიროვნება მენტალურ სტრუქტურაში დომინირებისაკენ და გამორჩეული, „ცენტრალური აღილის“ დაკავებისაკენ ისწრაფვის; მას მთელი პიროვნების მოცვა და ფსიქიკაში საკუთარი, მისთვის დამახასიათებელი მოთხოვნების განვენა სწადია. ამიტომაც განსაკუთრებული მნიშვნელობას იძენს ფსიქიკური ინტეგრაციისა და კოორდინირების ფენომენი, რომელშიც მთელი ფსიქიკური არსენალის ურთიერთ შესაბამისობაში მოყვანა, გამოლიანება ან, ასაჯოლის ტერმინის შესაბამისად, ფსიქო-სინთეზი იგულისხმება.

საკუთარ შეხედულებათა საილუსტრაციოდ ასაჯოლი მისი პაციენტის სიზმარს წარმოადგენს. პაციენტს ესიზმრა „აფრიკული სოფელი“; ერთი მოედნის გარშემო წრიულად განლაგებული ქოხები. მოედნის ცენტრში მდგომი პაციენტი ასეთ წარწერებს კითხულობდა ქოხებზე: „ბუზლუნა“, „ჭკუის-კოლოფი“, „მტირალა“, „მხიარული“ და ა. შ. თითოეული ქოხი გარკვეული თვისების ან განწყობის მეტაფორა იყო. პაციენტი სურვილისა და არჩევნის შესაბამისად, ერთი ქოხიდან მცორეში თავისუფლად ინაცვლებდა. სიზმარმა პაციენტს ფსიქო-სინთეზის რაობა „მხატვრულად განუმარტა“; პიროვნება როლთა ერთიანობაა და როლებით თავისუფა-



ლი მანიპულირება ჯანსაღი, მოწიფული ფსიქიკის ნიშნად და რანტად იქცევა!

ფსიქოლოგიურ ლიტერატურაში „როლს“ უწოდებენ არა მხოლოდ პიროვნებაში არსებულ, პროფესიასთან თუ სოციალურ ასპარეზზე საქმიანობასთან დაკავშირებულ განწყობათა ან ტენდენციათა სისტემებს (ამ უკანასკნელთა აღსანიშნად გამოიყენება უფრო კონკრეტული ტერმინი – „სოციალური როლი“. მაგალითად, ასეთია მშობლის, შვილის, პროფესიონალის, სტუდენტის, მოქალაქის და სხვ. როლები), არამედ პიროვნების კონკრეტულ თვისებებსაც, უნარებსა და სურვილებსაც. მაგალითად, სიჯიუტე, ფილანტროპია, სიზარმაცე, პატრიოტიზმი, აღტრუიზმი, კრეატულობა, პესიმიზმი, პასიურობა და სხვ. – პიროვნული როლებია ან სუბ-ეკონიმი.<sup>7, 8</sup>

მითითებული თვისებების აღსანიშნად ტერმინი „როლი“ შემთხვევით ან მხოლოდ მეტაფორული მნიშვნელობით როდი შეიძრა. აღნიშნული ტერმინით ხაზი გაესმის პიროვნების შედარებით თავისუფლებას მისივე თვისებების მიმართ; მსახიობის მსგავსად, პიროვნება ირგებს, სწავლობს და ითვისებს ამა თუ იმ როლს (ან ამა თუ იმ თვისებას), განკუთვნილს გარკვეული სიტუაციისადმი. ზოგიერთი როლის (პიროვნული თვისებისა თუ მიღრეკილების) ათვისება შედარებით იოლია, ზოგიერთის კი – რთული და პიროვნებისგან მნიშვნელოვან ძალისხმევას საჭიროებს. მაგალითად, ქალისთვის დედის როლის ათვისება ამ როლის წმინდა ბიოლოგიური ძირებიდან გამომდინარე ჩვეულებრივ „თავისით“, დიდი ძალისხმევის გარეშე ხდება. თუმცა ამ შემთხვევაშიც კი არსებობს გამონაკლისები. აღტრუიზმი, პატრიოტიზმი, კრეატულობა კი ის პიროვნული ნიშნებია, რომელთა გამომუშავება სერიოზულ, მიზანმიმართულ მუშაობას მოითხოვს.

პიროვნება, როგორც მსახიობი-აქტიორი „როლთა რეპერტუარის“ მფლობელია, რომელთა შერჩევაც ხდება არა მხოლოდ გარემოს კარნაციო, არამედ თავად პიროვნების მიერ მიღებული გადაწყვეტილების ძალითაც. უნდა აღინიშნოს, რომ პიროვნების ზრდა (არა მხოლოდ ასაკობრივი, არამედ პიროვნულიც!) ხელს უწყობს „როლთა რეპერტუარის“ გაფართოებასა და გამდიდრებას. რაც უფრო მაღალ-განვითარებულია პიროვნება, მით უფრო მრავალმხრივია მისეული „როლთა რეპერტუარი“, ანუ, მით უფრო მრავალი თვისე-

ბის, უნარის, განწყობისა და ტენდენციის მატარებელი თუ მფლობელი ხდება იგი.

